ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

სამეცნიერო ნაშრომების კრებული

თბილისი

2021

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

ISBN 978-9941-491-19-1 (pdf)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

სამეცნიერო ნაშრომების კრებული

თბილისი
2021

ს ა რ ჩ ე ვ ი

ანა აბესაძე, ღვინის ტურიზმის გამოწვევები პანდემიის დროს კახეთის რეგიონში 3

მარიამ დადუნაძე, COVID 19 პანდემიის გავლენა ქალთა დასაქმებაზე საქართველოში 9

სალომე ბერიძე, ინფლაციაზე მოქმედი გარე ფაქტორები საქართველოში 16

ზურაბ აბრამიშვილი, პანდემიის გავლენის შედეგები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში 23

ანა ბეშიძე, გარემოს დაცვითი ღონისძიებებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების კვლევა 34

ლუკა გაზდელიანი, უმაღლესი სასწავლებლის ციფრული ტრანსფორმაცია - ციფრული უნივერსიტეტი 41

ქრისტინა მატოიანი, მოგების გადასახადის რეფორმა და რეინვესტირების სტიმულები კომპანიებში 48

ლანა ზოიძე, პანდემიის გავლენა მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე 54

ქეთი ზაუტაშვილი, უმაღლესი განათლების სისტემის გამოწვევები კოვიდ პანდემიის პირობებში საქართველოში 62

ღვინის ტურიზმის გამოწვევები პანდემიის დროს კახეთის რეგიონში

ანა აბესაძე
II კურსის სტუდენტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი ინეზა ვაწაძე
ტურიზმის აკადემიური დოქტორი

საქართველო თავისი ბუნებრივ-კლიმატური მრავალფეროვნებითა და ისტორიულ-კულტურული რესურსების სიმრავლით ერთ-ერთი უნიკალური ქვეყანაა ტურიზმის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის შედარებით ახალი მიმართულების-ღვინის ტურიზმის განვითარებისათვის.

საქართველოს აქვს ის უმნიშვნელოვანესი საფუძველი, რაც ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის ხშირ შემთხვევაში უმთავრესია: ეს არის ღვინის ისტორია, წარმოების უნიკალური ტექნოლოგია, ვაზის ჯიშების სიმრავლე და ბუნებრივი პირობები, რომელიც ხელს უწყობს ღვინის გზებისა და აქტივობების განვითარებას. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ქვევრის ღვინის დაყენების მეთოდი შევიდა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში[1].

მართალია, ქართული ტურიზმი ბოლო წლებში ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა, რომელიც მშპ-ის 11,5%-ს აწარმოებდა, 2020 წლის იანვარ-თებერვალში საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 10%-ით, ხოლო აქედან მიღებული შემოსავალი 6%-ით გაიზარდა, მაგრამ კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ ფაქტობრივად ერთ დღეში შეცვალა ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრება. პანდემიის დაწყების დღიდან გამოიკვეთა, რომ დარტყმის პირველ ხაზზე იყო ტურისტული ბიზნესი.

ტურიზმის სექტორი ერთ-ერთი იმ სექტორთაგანია, რომელზეც ყველაზე დიდი გავლენა იქონია COVID-19-მა როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების კუთხით. (აბესაძე,ო. 2020, 51) მართლაც, საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის მინაცემებით, 2020 წლის თებერვალში საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით უკვე 0,7% -ით შემცირდა, ხოლო აპრილში 95,5%-ით.[2] COVID-19-ით გამოწვეული საფრთხეები, სახელმწიფო საზღვრების ჩაკეტვა, მოგზაურობის შეზღუდვა და „შინ დარჩენის“ აუცილებლობა ყველაზე ნეგატიურ გავლენას ტურიზმზე მოახდენს.[3]

ღვინის ტურიზმი საქართველოში უკვე რამდენიმე წელია აქტიურად ვითარდება, რაზეც მეტყველებს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა, და მარნების მომრავლება და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ღვინის მწარმოებელ რეგიონებში ღვინის ტურიზმისთის საჭირო ინფრასტრუქტურა და ინვესტიციები ჯერ არ არის მაღალ დონეზე განვითარებული, ღვინის ტურიზმი, ბოლო რამდენიმე წელი, მაინც თვალსაჩინო ზრდას განიცდის და ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურ და სწრაფად განვითარებად სეგმენტად ყალიბდება. ეს დასტურდება იმითაც, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისულ გეგმაში ღვინის ტურიზმი აღნიშნულია „ახალი მოთხოვნადინ ტურისტული პროდუქტების ჩამონათვალში[4].

---

1 https://ich.unesco.org/en/RL/ancient-georgian-traditional-qvevri-wine-making-method-00870
2 https://civil.ge/ka/archives/
3 https://eprc.ge/uploads/brosh/COVID
4 http://gov.ge/files/288_76050_775262_final_Tourismpresentation.pdf

პანდემია განსაკუთრებით მძიმე გავლენას მოახდენს ღვინის ტურიზმზე, რადგანაც იგი მიეკუთვნება ისეთ სფეროს, სადაც საქმიანობის განხორციელება ფიზიკური დისტანცირებისა და მობილობის შემცირების პირობებში ძნელი მოსახერხებელი ან შეუძლებელია.

როგორია ღვინის ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა კახეთში? კახეთი ქართული მეღვინეობის ერთ-ერთი უმთავრესი რეგიონია. საქართველოში დარეგისტრირებული 24 ადგილწარმოშობის ღვინიდან 18 კახეთში იწარმოება. დღეს, კახეთში დაახლოებით 135-ზე მეტი ღვინის კომპანიაა და მათი უმეტესობა ღვინის ტურიზმშია ჩაბმული. სხვადასხვა მარნები და ტურისტული კომპანიები თავიანთ მომხმარებლებს სთავაზობენ ღვინის ტურებს. ყველა კომპანიას აქვს ინდივიდუალური მიდგომა და ცდილობენ ღვინის ტურები მეტად მრავალფეროვანი, საინტერესო და დასამახსოვრებელი გახადონ. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ღვინის ტურის განმავლობაში ყველა მარანში შესაძლებელია დეგუსტაცია, არსებობს ისეთი მარნებიც, რომლებიც უფრო ფართო ასორტიმენტს სთავაზობენ მომხმარებლებს. ბევრმა მათგანს შეუძლია საკმაოდ მრავალფეროვანი საკვების, განთავსების საშუალებების და სხვა დამატებითი მომსახურების შეთავაზება (მაგ., ველოსიპედით გასეირნება, ცხენით ჯირითი, აუზი, ბარი და სხვ.). ასეთი მარნებია: „თელიანი ველი“, „ტყუპების ღვინის მარანი“, „შატო მერე“, „შუხმან ვაინს ჯორჯია“, „მეღვინეობა ხარება“ და სხვა.

როგორ იმოქმედა ღვინის ტურიზმის ბიზნესზე პანდემიით შექმნილმა ვითარებამ კახეთში, როგორ შეიძლება განვითარდეს ღვინის ტურიზმი პანდემიის პერიოდში, რა ღონისძიებებით შეიძლება ღვინის ტურისტული ბიზნესის შენარჩუნება პოსტპანდემიური პერიოდის დადგომამდე, როგორია მოლოდინები? ამ პრობლემების გამოსაკვეთათ მოვახდინეთ მსხვილი ღვინის კომპანიებისა და საოჯახო მარნების შერჩევითი გამოკვლევა, რისთვისაც გამოვიყენეთ Google Drive-ის აპლიკაცია და იქ ჩაშენებული ფორმის მიხედვით, შერჩეული დიზაინით (კვლევის კითხვარი, დრო, მეთოდი) სპეციალურად შედგენილი ანკეტების დამუშავებით მივიღეთ საინტერესო შედეგები.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა კახეთში ღვინის ტურებზე მოლოდინების განსაზღვრა. აგრეთვე იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რომელიც მნიშვნელოვანია ღვინის ტურების აღორძინება-განვითარებისათვის კახეთის რეგიონში და ამ პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება.

კვლევა ჩავატარეთ ორი მიმართულებით. ერთის მხრივ, გამოიკითხა ღვინის ტურის მომხმარებლები და მეორეს მხრივ ღვინის კომპანიები და მარნები. პირველი კვლევისას, როდესაც კითხვარი მოიცავდა 14 კითხვას, გამოპასუხების მაჩვენებელი იყო 380, ხოლო მეორე კვლევისას გამოგვეპასუხა 22 რესპონდენტი (კითხვების რაოდენობა 21). მიუხედავად იმისა, რომ კითხვარები დაეგზავნათ კახეთში მოღვაწე ყველა კომპანიასა და მარანს (ინფორმაცია მოგვაწოდა სსიპ ღვინის ეროვნულმა სააგენტომ), აქტიურობის მაჩვენებელი დაბალიიყო, თუმცა პრობლემები და მათი გადაჭრის გზები მაინც გამოიკვეთა.

მომხმარებელთა კვლევისას რესპონდენტთა 72,1% აღმოჩნდა ქალი, ხოლო 27,9% მამაკაცი. ყველაზე აქტიურები აღმოჩნდნენ 24 წლამდე ახალგაზრდები, (62,3%) და შემდეგ 25-44 წლის ასაკის მოსხლეობა (21,3%).

ძალიან მნიშველოვანია, რომ რესპონდენთა თითქმის 55,7% იყო სტუდენტი-ახალგაზრდობა. რესპონდენტებისათვის კახეთის რეგიონის ყველაზე მიმზიდველ ლოკაციებს წარმოადგენდა სიღნაღი, რომელსაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ესტუმრა გამოკითხულთა 60,7%, თელავი, (49,2%), ყვარელი (49,2%), გურჯაანი (23%) და ა.შ.

რესპონდენტების 26,2% მოინახულა თელავის ღვინის მარანი, 32,8%-მა ყვარლის მევენახეობა „ხარება“, 23% სტუმრობდა ყვარლის „ქინძმარაულის მარანს“, 18% წინანდლის მამულს, 16,4%-ყვარლის ედემს, 13,1% თელავის „როსტომაანთ მარანში“და სხვ.

ღვინის ტურების აღორძინების იმედს იძლევა ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილი იყო ტურით და 98% -მა განაცხადა რომ ის ისევ მიიღებდა მონაწილეობას ღვინის ტურში.

საინტერესო იყო რამდენს ხარჯევენ ვიზიტორები ღვინის ტურში მონაწილეობისას? კვლევაში მონაწილეთა 33,3%-მა ღვინის ტურის დროს საშუალოდ დახარჯა 50 ლარამდე, 51-100 ლარამდე 31,7%-მა, 25%-მა 101-150 ლარამდე, ხოლო 10%-მა 150 ლარზე მეტი. როგორც ჩანს დანახარჯების მოდალური ინტერვალი 0-50 ლარამდეა.

დიაგრამა 1
რესპონდენტების განაწილება გაწეული ხარჯების სიდიდის მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია კვლევის შედეგების მიხედვით

გაწეული ხარჯების ზემოაღნიშნული ინტერვალების პირობებში გავარკვიეთ რა მომსახურებით ისარგებლეს ვიზიტორებმა. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა 49% მონაწილეობა მიიღო ღვინის დეგუსტაციაში, თითქმის 60%-მა დაათვალიერა ადგილობრივი ღირსშესანიშნაობები, 53%-მა დაათვალიერა ვენახები, 45% გაეცნო ღვინის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესს. ღვინის მარნებისათვის პანდემიის გამო არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, გამოკითხულ რესპონდენტთა 67,2%-ს მიაჩნია, რომ ღვინის ტურების პოპულარიზაციისათვის და მოთხოვნის ზრდისთვის შიდა ტურიზმის დროს მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა და სარეკლამო სამუშაოები, 47%-ის აზრით, გადამწყვეტი ფაქტორია ხელმისაწვდომი ფასი, ხოლო 42,6% თვლის, რომ მნიშვნელოვანია უსაფრთხო გარემო და მომსახურების ხარისხი.

რაც შეეხება ღვინის მარნების მფლობელთა გამოკვლევას, აქ უფრო აქტიურები იყვნენ მამაკაცები, მათი ხვედრითი წილი რესპონდენტებში 85,7%-ია, ისინი ძირითადად 25-44, 45-64 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან (50%), ყველა მათგანს აქვს უმაღლესი განათლება. რესპონდენტების 85,7% საოჯახო ტიპის მარნის მფლობელია. საოჯახო ტიპის მარნების 50,0% 6 წელზე მეტია რაც ტურისტულ ბაზარზე მოღვაწეობს, 14,3% 3-5 წლამდე სტაჟს ითვლის, 35,7%-ს კი ამ სფეროში საქმიანობის მხოლოდ 2 წლამდე გამოცდილება გააჩნია.

გამოკითხული მარნის მფლობელების 71,4%-მა განაცხადა, რომ COVID-19 გამოწვეულმა პანდემიამ ძალიან იმოქმედა მათ ბიზნესზე, დარჩნენ ფაქტობრივად შემოსავლის გარეშე, 21,4%-ს გაუნახევრდა შემოსავალი, ხოლო 7,1%-მა განაცხადა რომ მათ

ბიზნესზე პანდემიას ზეგავლენა არ მოუხდენია. გამოკითხულთა 14,3% თვლის, რომ მთავარი სირთულე, რაც აფერხებს მათი ბიზნესის განვითარებას არის მთავრობის მიერ შემოღებული ეპიდრეგულაციები, 14,3% თვლის, რომ ყველაფერთან ერთად ამაზე გავლენა იქონია მოთხოვნის შემცირებამ, 7,1% ასახელებს გაზრდილ ხარჯებს, ხოლო 64,3% მიიჩნევს რომ გავლენა იქონია მკაცრი რეგულაციების დროს ჩაკეტილმა საზღვრებმა და შემდეგ უკვე დაწესებულმა შეზღუდვებმა. ამის ნათელი დადასტურებაა ვიზიტებისას ვიზიტორთა რაოდენობის მაჩვენებლები. გამოკითხული ღვინის მარნების 69,2% მოემსახურა 50-მდე ვიზიტორს, 15,2%-კი 200-ზე მეტს. ვიზიტორების 100%-მა დააგემოვნა ღვინო, 92,3%-მა დაათვალიერა ვენახები და მარანი, 84,6%-მა მონაწილეობა მიიღო რთველში, 92,3%-მა ისარგებლა კვებითი მომსახურებით, ხოლო განთავსების საშუალებით ისარგებლა მხოლოდ 53,8%-მა.

ღვინის მარნებს ძირითადად სტუმრობდნენ უცხოელი ტურისტები. გამოკითხულთა ინფორმაციით, საერთაშორისო ტურისტებიდან 92,3% იყო ევროპიდან, ხოლო 7,7% დსთ-ს ქვეყნებიდან. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ღვინის ტურები უფრო მეტად მიმზიდველი იყო საშუალო ასაკისა და უფროსი ასაკის ვიზიტორებისათვის, საერთაშორისო ვიზიტორების 58,3% იყო 36-44 წლის ასაკბრივი ჯგუფის. ხოლო 16,7% 65 წელზე ზევით ასაკის.

ტურის საშუალო ღირებულება კაცზე მერყეობს 50-100 ლარამდე კვლევაში მონაწილე ღვინის მარნების 41,7%-ში, ხოლო 41,7% -სათვის ფასი უფრო მაღალია და მერყეობს 150-250 ლარის ფარგლებში. მარნების მფლობელთა 57,1%-ს აქვს გეგმა, როგორ შეიძლება მოახდინოს საქმიანობის ადაპტირება არსებულ ვითარებაში, ისინი თვლიან, რომ შეეცდებიან შეინარჩუნონ ღვინის ტურიზმის ბიზნესი ღვინის გაყიდვების დივერსიფიკაციის ხარჯზე, მაგრამ 7,1% საერთოდ გეგმა არ გააჩნია. 30,8% თვლის, რომ ღვინის ბიზნესის გადარჩენა შიდა ტურიზმის გააქტიურებით შესაძლებელია, ხოლო 69,2%, ამას შეუძლებლად მიიჩნევს.

ღვინის მარნების მფლობელთა 85,7%-ის აზრით 2020 წლამდე მიღწეული დონის აღდგენა ახლო მომავალში ვერ მოხერხდება. შეკითხვაზე თუ რა გავლენას ახდენდა მათი ბიზნესის შემოსავლიანობაზე ტურის განხორციელების დროს ტურისტთა მიერ ღვინის ადგილზე შეძენა, რესპონდენტთა პასუხები არაერთგავროვანი იყო, 64,3%-მა აღნიშნა, რომ დიდ გავლენას ახდენდა, 21,4%-მა მიუთითა რომ საერთოდ არ ახდენდა შემოსავალზე გავლენას, 14,3%-ის აზრით გავლენა უმნიშვნელო იყო. რსაინტერესო იყო მარნის მფლობელების პოზიცია, პანდემიის პერიოდში საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ. სოჯახო მარნის მფლობელები თვლიან, რომ უფრო მნიშვნელოვანია პანდემიის პერიოდში რესურსების თანაბარი განაწილება ღვინის წარმოებასა და ტურიზმის გააქტიურებაზე (85,7%), 14,3% სწორედ მიიჩნევს რესურსების მიმართვას ღვინის წარმოების შენარჩუნებაზე. 28,6%-ის აზრით ღვინის ტურიზმისათვის მხარდაჭერა პანდემიის პერიოდში უნდა გააქტიურდეს შიდა ტურიზმისათვის მხარდაჭერით, 57,1% თვლის, რომ საჭიროა ღვინის გაყიდვის ორგანიზაციის ხელშეწყობა, და 14,3% აღნიშნავს, რომ აუცილებელია ტრენინგები პერსონალის გადამზადებისთვის.

ღვინის კომპანიებისა და საოჯახო მარნებისათვის მნიშვნელოვანია ღვინის გაყიდვების ხელშეწყობის ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზება. ამისათვის, რესპონდენტებოს ნახევარი 50%, მიიჩნევს, რომ საჭიროა ღვინის ცნობადობისა და პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობა, 14,3% თვლის რომ მნიშვნელოვანი ფაქტორია მაღაზიებში ადგილების გამოყოფა, და 35,7% უპირატესობას ფასების სუბსიდირებას ანიჭებს.

მარნების მფლობელთა 43% პანდემიის დროს შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობის დროს პირველ რიგში მათ ხელთ არსებულ ფულად რესურსებს მიმართავდა ღვინის წარმოების ტექნოლოგიური მოწყობილობის შეძენისათვის, 14,3% ღვინის

წარმოების გაფართოებაზე, მხოლოდ 42% ტურისტთა მიღებისა და მომსახურებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

დიაგრამა 2
რესპონდენტების განაწილება ღვინის ტურიზმის მხარდაჭერის ღონისძიებების მიმართ დამოკიდებულების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია კვლევის შედეგების მიხედვით

დიაგრამა 3
რესპონდენტების განაწილება ფულადი რესურსების გამოყენების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია კვლევის შედეგების მიხედვით

დასკვნა

როგორც ვნახეთ პანდემიამდე ღვინის ტური მოთხოვნადი და სწრაფად მზარდი იყო, უპირატესად მიმზიდველი იყო საერთაშორისო ტურისტებისათვის, რომლებიც სარგებლობდნენ ყველა იმ მომსახურებით, რისი შეთავაზებაც შეეძლო დიდ კომპანიებსა თუ საოჯახო მარნებს. მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილი იყო შეთავაზებული მომსახურებით, ვიზიტორები საშუალოდ ხარჯავდნენ 140 ლარამდე ტურის განმავლობაში, საოჯახო მარნების უმრავლესობაზე ძალიან ცუდად იმოქმედა პა-

დემიამ - მათ მთლიანად დაკარგეს შემოსავლები. საოჯახო მარნების მფლობელთა აზრით, მათი ბიზნესის შეჩერებაზე გავლენა იქონია საზღვრების ჩაკეტვამ და დაწესებულმა მკაცრმა რეგულაციებმა. ისინი თვლიან, რომ აუცილებელია გააქტიურდეს შიდა ტურიზმისათვის მხარდაჭერა და ღვინის გაყიდვის ორგანიზაციის ხელშეწყობა. ამასთან საჭიროა ღვინის ცნობადობისა და პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობა. აქვე მინდა აღვნიშნო, მარნების წარმომადგენლების გასაოცრი, იმედიანი, კრიზისიდან თავის დაღწევის შესახებ ოპტიმისტური ხედვები. ისინი ენთუზიაზმით ემზადებიან ნაყოფიერი სეზონისთვის, არ აშინებთ სირთულეები და პრობლემები.

იმედია, ქვეყნის ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დავუბრუნეთ ცხოვრების ჩვეულ რიტმს და ღვინის მარნებშიც დაბრუნდეს ის ღვთაებრივი გარემო, რომელიც ტურისტების ვიზიტისას სუფევდა.

რეკომენდაციები

- საქართველოსთვის უსაფრთხო დანიშნულების ქვეყნის სტატუსის შენარჩუნება;
- შიდა ტურიზმის გააქტიურება;
- საგანმანათლებლო პროექტები მცირე მარნების მფლობელთათვის მაღალპროფესიონალი კადრების მომზადების მიზნით;
- საოჯახო მარნების თანამშრომლების გადამზადება COVID-რეგულაციებთან დაკავშირებით;
- საოჯახო მარნების მფლობელთათვის დაბალპროცენტიანი სესხების აღების შესაძლებლობა;
- სახელმწიფოს მხარდაჭერა ღვინის ტურიზმის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის;
- ერთიანი ელექტრონული პლატფორმის შექმნა მცირე მარნების ცნობადობის გაზრდის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე, ო. ტურიზმის პოსტპანდემიური მოლოდინები და განვითარების ტენდენციები საქართველოში. *ჟურნალი „ეკონომიკა.* # 10-12, გვ. 51-67
2. ბაკურაძე, ნ., ვაწაძე, ი. ღვინის ტურიზმი. სალექციო კურსი
3. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი EPRC. (2020). ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოში. 1
4. საქართველოს ადმინისტრაციის პრეს-სამსახური. (2020). გახარია გ. ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის წარდგენა. https://civil.ge/ka/archives/
5. ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა. (2020) http://gov.ge/files/288_76050_775262_final_Tourismpresentation.pdf
6. https://civil.ge/ka/archives/
7. https://eprc.ge/uploads/brosh/COVID
8. http://gov.ge/files/288_76050_775262_final_Tourismpresentation.pdf

Covid 19 პანდემიის გავლენა ქალთა დასაქმებაზე საქართველოში

მარიამ დადუნაძე
I კურსის სტუდენტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი ქეთევან ჩიტაღაძე
ასისტენტ პროფესორი

დასაქმების პრობლემა ერთ-ერთი მწვავეა საქართველოში და სხვადასხვა სტატისტიკური, სოციალური თუ კონიუნქტურული გამოკითხვით, ხშირად იკავებს პირველ ადგილს ქვეყნისა და ქართული საზოგადოების წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი სოციალურდეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების ნუსხაში. დასაქმება XXI საუკუნის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა და ძალიან დიდი როლი აქვს ქვეყნის განვითარებისათვის.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში Covid-19 პანდემიის ფონზე სხვადასხვა ქვეყნის მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი შენელება გამოიწვია. გაჩერებული სასტუმროები, რესტორნები, საცალო მაღაზიები, შეწყვეტილი საჰაერო, სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა, დაცარიელებული მუზეუმები, სპორტული მოედნები, უამრავი დაკარგული სამუშაო ადგილისა და მკვეთრად შემცირებული შემოსავლებით გამოიხატება.ჰ

ამ კრიზისს ვერც საქართველო გადაურჩა. მსოფლიოს მასშტაბით, განურჩევლად ქვეყნისა და ეკონომიკის დარგისა (სექტორისა), დასაქმებულთა მნიშვნელოვან ნაწილზე უარყოფითად აისახა მიმდინარე პანდემიით გამოწვეულიკრიზისი.

2014-2020 წლემში საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობის მცირე ზრდა ფიქსირდება. ამ პერიოდში მატების ტემპია 0,006 %. მკვეთრი შემცირება შეინიშნება 2020 წლიდან 2021 წლის პირველ კვარტლამდე, რის შედეგადაც, ბუნებრივია, გაიზარდა უმუშევართა აბსოლუტური რაოდენობა (317,5 ათასი კაცით) და უმუშევრობის დონის პროცენტული მაჩვენებელი (შეადგინა 21,9%). ეს ნეგატიური ტენდენდცია ნათლად ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილ 1-ში. ყოველივე ეს კი განპირობებულია ძირირთადად Covid-19 პანდემიით, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას და, შესაბამისად, დასაქმების სფეროს.

ცხრილი 1

საქართველოში 2014 წლიდან 2021 წლის პირველ კვარტლამდე სამუშაო ძალისა და დასაქმებულთა რაოდენობა

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021 I კვარტ
სამუშაო ძალა, ათასი კაცი	1629,0	1675,6	1653,8	1641,1	1605,2	1572,8	1523,7	1447,2
დასაქმებული, ათასი კაცი	1255,0	1308,5	1286,9	1286,2	1296,2	1295,9	1241,8	1129,7
უმუშევარი, ათასი კაცი	374,0	367,2	359,2	354,5	309,0	276,9	281,9	317.5
უმუშევრობის დონე, %	23,0	21,9	21,7	21,6	19,2	17,6	18,5	21,9

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შრომის ბაზარში ჩართულობა წარმოადგენს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ძალაში საქართველოში ქალების რაოდენობა ყოველთვის აჭარბებდა მამაკაცთა რაოდენობას, 2019 წელს დასაქმებულთა რაოდენობა მამაკაცების (50,1%) უფრო მეტი იყო, ვიდრე - ქალების (36,2%). შესაბამისი სამუშაო ძალის მონაწილეობის დონის სტატისტიკური მაჩვენებელი ბოლო 10 წლის განმავლობაში მამაკაცებისთვის შეადგენდა დაახლოებით 62-67% და ქალებისთვის 42-46%, რაც მიუთითებს შრომის ბაზარზე არსებულ მნიშვნელოვან დისპროპორციაზე გენდერული მიმართულებით (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1
სამუშაო ძალის მაჩვენებლები სქესის მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში ქალების უმუშევრობის ტრადიციულად დაბალი დონე მამაკაცებთან შედარებით, შეიძლება ერთი შეხედვით დამაბნეველი აღმოჩნდეს. თუმცა, ამის ახსნა მარტივად შეიძლება: უმუშევრად ითვლება ის, ვინც აქტიურად ეძებს სამუშაოს და მზად არის დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა. იქიდან გამომდინარე, რომ ქალები შრომის ბაზარზე ნაკლები აქტიურობით ეძებენ სამუშაოს, შესაბამისად, უმუშევარი ქალების წილიც დაბალი გამოდის. 2019 წელს სამუშაო ძალის გარეთ მყოფი ქალების რაოდენობამ შედგინა 56,9%, ხოლო მამაკაცების რაოდენობამ - 38,2% (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2
15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, 2019 (%)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამუშაო ძალას შრომის ბაზარზე ოთხი ძირითადი რაოდენობრივი განსხვავება ახასიათებს: [1]

1. უფრო მეტი მამაკაცია დასაქმებული, ვიდრე ქალი;
2. მამაკაცები მუშაობენ სრული დატვირთვით, მაშინ, როდესაც ქალები იძულებით წყვეტენ სამსახურს დაოჯახებისა და შვილის შეძენის შემთხვევაში;
3. კაცები საშუალოდ უფრო მეტ საათს მუშაობენ, ვიდრე ქალები;
4. ქალები გამოიმუშავებენ ნაკლებს, ვიდრე კაცები.

ევროპულ ქვეყნებში კაცების 20%-ს და ქალების 12%-ს ზედამხედველის, სამსახურის უფროსის პოზიცია უჭირავს. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ქალებს ხელმძღვანელის პოზიციაზე ნაკლები დაქვემდებარებული პერსონალი ჰყავთ (საშუალოდ 9 დასაქმებული), ვიდრე კაცებს (საშუალოდ 31 დასაქმებული). სპეციალური კვლევების მიხედვით, ქალების გაცილებით დიდ რაოდენობას (44.2%) ჰყავს მამაკაცი ხელმძღვანელი, ვიდრე კაცებს - ქალი ხელმძღვანელი (18.1%). თუმცა, ამ მონაცემებში შეიმჩნევა ასევე განსხვავებები ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნის მონაცემებს შორის. ხელმძღვანელების სქესი ასევე დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად დომინირებენ ამა თუ იმ დასაქმების ადგილზე ქალი დასაქმებულები. კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნებში კაცებს ქალი ხელმძღვანელები უმეტესად ჰყავთ ისეთ სფეროებში, როგორიცაა: [2]

- ზრუნვის მუშაკების სფერო (55.6 %);
- ჯანდაცვის სპეციალისტების სფერო (42.9 %);
- საგანმანათლებლო ორგანიზაციები (34.3 %).

სტერეოტიპული მიდგომები, განსაკუთრებით საქართველოში, ყოველთვის უქმნიდა და დღესაც უქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს ქალებს. ჩვენს შემთხვევაში საუბარი გვაქვს გენდერულ დისკრიმინაციაზე სამუშაო ადგილზე. ამის დასტური არის ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მოიპოვება საქართველოს მასშტაბით. გარდა ამისა, ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე პოზიციაზე მყოფი ქალისა და კაცის ანაზღაურება მკვეთრად განსხვავდება. ასევე, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დამსაქმებლის მხრიდან უფრო ხშირად კაცის დაწინაურება, ან წამყვან პოზიციაზე დანიშვნა, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ქალებსა და კაცებს დაწინაურების განსხვავებული შესაძლებლობები გააჩნია. ასევე, მსოფლიო მასშტაბითაც მცირეა ქალების რაოდენობა გადაწყვეტილების მიმღებთა შორის. ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. სწორედ აქედან გამომდინარე, ჩემს მიერ ჩატარებული იქნა კვლევა შემთხვევითი შერჩევის წესით თემაზე: „ქალთა დასაქმება და პანდემიის გავლენა მასზე“.

კვლევა განხორციელდა ონლაინ ფორმატით.

კვლევის მიზანი:

- ქალთა ჩართულობის დადგენა საქართველოს შრომის ბაზარზე;
- გენდერული დისბალანსის გამოვლენა დასაქმების სფეროში;
- პანდემიის შედეგად გამოწვეული პრობლემების ანალიზი.

რესპოდენტთა რაოდენობამ, ვინც შეავსო გამოკვლევის კითხვარი, შეადგინა 108.

კვლევა ჩატარდა 2021 წლის მაისში.

მიღებული ინფორმაციის დამუშავება-ანალიზის შედეგად ჩვენ მიერ შედგენილი იქნა შესაბამისი დიაგრამები, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი:

---

[1] საქართველოს ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაციის ვებ-გვერდი: http://gypa.ge/?p=1062

[2] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. სამოქმედო გეგმების ანალიზი ქალთა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით, თბილისი, 2014, გვ. 17

დიაგრამა 3



დიაგრამა 4



კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილე ქალების უმეტესი ნაწილი მიეკუთვნებოდა 15-19 და 20-24 ინტერვალის ასაკობრივ ჯგუფებს. რაც შეეხება დასაქმების სტატუსს, აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილე ქალების 53,7% გახლდათ დასაქმებული (შედის თვითდასაქმებულთა პროცენტული წილიც), ხოლო 46,3% - უმუშევარი.

დიაგრამა 5



საინტერესი იყო იმის დადგენა, თუ რომელ სფეროში მუშაობდნენ რესპოდენტები. აღმოჩნდა, რომ ფინანსებსა და საბანკო საქმეში, ასევე განათლების სფეროში მო-

მუშავე ქალების თანაბარი რაოდენობა იყო - 9.3%. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ სამწუხარო ფაქტი, რომ ქალების 43.5% მუშაობის არცერთ სფეროში არ იყო ჩართული.

დიაგრამა 6

სამუშაო სფეროში გენდერული დისბალანსის დასადგენად, რესპოდენტებმა უპასუხეს ასევე იმ შეკითხვას, რომელიც ეხებოდა სამსახურში ქალთა და მამაკაცთა რაოდენობის თანაფარდობას. ქალების 23.1%-მა უპასუხა, რომ სამსახურში უმრავლესობა ქალია, ხოლო 23.1%-მა განაცხადა, რომ მათ სამსახურში ქალებისა და მამაკაცების თითქმის ერთნაირი რაოდენობა იყო.

დიაგრამა 7



შემდეგ შეკითხვაზე, თუ ვინ იყო მათი უშუალო ხელმძღვანელი/მენეჯერი, აღმოჩნდა, რომ რესპოდენტთა 29.2%-ის სამსახურებში სწორედ მამაკაცები იკავებდნენ ხელმძღვანელის პოზიციას, ხოლო 23.6%-ის შემთხვევაში - ქალები.

დიაგრამა 8



კვლევის შემდეგი ორი შეკითხვა ეხებოდა Covid-19 პანდემიის გავლენას რესპოდენტთა ფინანსურ მდგომარეობაზე. აღმოჩნდა, რომ რესპოდენტთა 24.1%-თვის

პანდემიამდე შემოსავალი მერყეობდა 401-700 ლარის ინტერვალში, ხოლო 14,8%-თვის - 701-1000 ლარის ინტერვალში.

დიაგრამა 9



პანდემიის შედეგად კი, რესპოდენტთა 57,8%-თვის ან მცირედით შემცირდა, ან მნიშვნელოვნად შემცირდა, ან სრულად დაკარგეს შემოსავალი; 14.8%-თვის იგივე დარჩა, ხოლო 7.4%-თვის გაიზარდა. მიღებული შედეგებით ვხედავთ, რომ პანდემიამ რესპოდენტთა მეტი წილი ფინანსურად დააზარალა.

დიაგრამა 10



გამოკითხულთა 42.2%-ს პანდემიის დროს სამსახურში პრობლემები არ შექმნია; 19.6%-ს შეექმნა, თუმცა უმნიშვნელოდ, ხოლო რესპოდენტთა 38.2%-ს ჰქონდა პრობ-ლემები.

დიაგრამა 11



რაც შეეხება პანდემიის დროს სამსახურის დაკარგვის მიზეზს, 13.3%-თვის შეუძ-ლებელი იყო დისტანციურად მუშაობა; 14.3% დაკავებული იყო ისეთი საქმიანობით/ბიზ-

ნესით, რომელმაც პანდემიის დროს შეწყვიტა მუშაობა; 31.4% საერთოდ არ იყო დასაქმებული, ხოლო 41%-ს პანდემიის დროს სამსახური არ დაუკარგავს.

დასკვნა

- სამწუხაროდ, დღესაც მწვავე პრობლემად რჩება გენდერული უთანასწორობა დასაქმების სფეროში, განსაკუთრებით ბიზნეს სექტორში, რის მნიშვნელოვანი ფაქტორია ხელფასების განსხვავებული სიდიდეები გენდერული ასპექტით;
- აღმოჩნდა, რომ უმეტეს სამსახურებში მამაკაცები იკავებენ ხელმძღვანელის-/მენეჯერის პოზიციას, ხოლო მათ შორის ქალები მცირე რიცხოვნობით არიან წარმოდგენილი.
- Covid-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად შეამცირა ქალთა ჩართულობა შრომის ბაზარში, რის შედეგადაც ქალებსაც შეექმნათ ფინანსური პრობლემები;
- პანდემიის შედეგად რესპოდენტთა ნახევარზე მეტს შეუმცირდა, ან სრულად დაკარგეს შემოსავალი.

რეკომენდაციები

- სახელმწიფომ სისტემურად უნდა დაადგინოს ქალთა დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები და შეიმუშავოს მათი გადაჭრის ეფექტიანი გზები;
- უნდა შეიქმნას სპეციალური პროგრამები, რომლებიც ქალთა ბიზნესში ჩართულობის ხელშეწყობისკენ იქნება მიმართული მათივე ეკონომიკური გაძლიერებისთვის;
- სტარტაპ-საქართველოს და სხვა პროგრამების ფარგლებში უნდა მოხდეს ქალთა ჩართულობის გაზრდა;
- ქალთა დასაქმების პრობლემების პრევენციისთვის აუცილებელია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ყველა დონეზე;
- უნდა გაფართოვდეს საზოგადოების ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება ქალთა დასაქმებაში არსებული გამოწვევების შესახებ, რაშიც მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება გენდერულ სტატისტიკას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელაშვილი, ს., ჩარექიშვილი, ლ. (2016). გენდერული სტატისტიკის საკითხები. თბილისი
2. ჩარექიშვილი, ლ. (2014). გენდერული მეინსტრიმინგი და გენდერული ანალიზი. *ჟურნალი „ეკონომისტი”*, N2
3. ასოციაცია „საფარი”. „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში”, გამომცემლობა „ნეკერი”, თბილისი. 2017
4. სამოქმედო გეგმების ანალიზი ქალთა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბილისი, 2014
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „ქალი და კაცი საქართველოში”. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი. 2020
6. საქართველოს ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაცია. http://gypa.ge/?p=1062
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge

ინფლაციაზე მოქმედი გარე ფაქტორები საქართველოში

სალომე ბერიძე
მეცნიერ-ხელმძღვანელი შოთა ვეშაპიძე
ასოცირებული პროფესორი

XXI საუკინის ეკონომიკური პროცესების განხილვა მეტად საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ საუკუნის პირველი ნახევარია მსოფლიო ეკონომიკა ორჯერ დადგან გლობალური კრიზისის წინაშე, კრიზისები კი გამოწვევაა ეკონომიკისთვის. ეკონომიკური კრიზისები საერთაშორისო მაშტაბით როგორც განვითრებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში აქტუალური იყოს და COVID-19-ის ფონზე აქტუალურია დღესაც. ჯერ იყოს 2008 წლის გლობალური ფინანსუური კრიზისი რომელიც აშშ-ში დაიწყოს და მალევე მსოფლიო მოიცვა, დღეს კი მსოფლიოში მძვინვარებს პანდემია რომელიც მართალია ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი ეგზოგენური ფაქტორია, ანუ აღნიშნული მიზეზები გენერირდება ეკონომიკის ფარგლებს გარეთ და არა უშუალოდ ეკონომიკური და ფინანსური აქტივობების შედეგად, მაგრამ მან მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დააყენა, ეს არის პანდემია რომელიც მსოფლიოს ემუქრება ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური კრიზისით. საქართველო ე.წ მესამე სამყაროს წარმომადგენელია, ქვეყანა, სადაც ახალი საუკუნე მეტად მრავავფეროვანია ეკონომიკური სოციალური თუ პოლიტიკური ტრანსფორმაციისათვის, ჩვენს ქვეყანაში საუკუნე დაიწყო რევოლუციით, მოგვიანებით კი 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა რუსეთ-საქართველოს ომი, 2014-2015 წლებში გამოვიარეთ რეგიონული კრიზისი, ახლა კი ვებრძვით მსოფლიოში გავრცელებულ პანდემიას. დამეთანხმებით მეტად საინტერესოა როგორ უმკლავდება პატარა ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა ასეთ ეკონომიკურ შოკებს. როგორ რეფორმირდება მონეტარული პოლიტიკა და რას უნდა ველოდოთ მომავალში, სად მიიყვანს პანდემია ჩვენს ქვეყანას შეგვეძლება მსოფლიოს წარვუდგეთ, როგორც ახალი ეკონომიკური ლიდერი თუ მოგვიწევს პატარა ღარიბ ევროპულ ქვეყნად დარჩენა. თემაში განვიხილავთ როგორ უმკლავდება ამ შოკებს ეროვნული ვალუტა, რა გარე ფაქტორები მოქმედებს ინფლაციაზე და რა სოციალური თუ ეკონომიკური შედეგები მოაქვს ქვეყნისთვის.

ინფლაციის არსი და მიმდინარე ტენდენციები

ინფლაცია ეს არის ფულის გაუფასურება მისი მსყიდველობითი უნარის დაქვეითება. ეკონომიკის ზოგიერთ მოდელში ის ექვივალენტურია მოთხოვნის ვარდნიას, ან ფულის მიწოდების ზრდის. პირდაპირ თარგმანში ინფლაცია ნიშნავს „გაბერვას“ ე.ი მიმოქცევის არხების გადატვირთვას მოჭარბებული ქაღალდის ფულით, რომელიაც არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისის საქონლის მასით. მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზებია: დისპროპორციულობა-ანუ დისბალანსი შემოსავლებსა და ხარჯებს შორის რაც ძირითადად ახლი ფულის ბეჭდვით ბალანსდება, სახიფათო ინვესტიციები, თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის არარსებობა, იმპორტირებული ინფლაცია და ინფლაციური მოლოდინები.

ინფლაცია პანდემიის პირობებში განსაკუთრებით აქტუალური თემაა, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. მარტის თვის მონაცემებით ქვეყანაში 7,2%-იანი ინ-

ფლაცია ფიქსირდება რაც მიზნობრივ 3%-იან მაჩვენებელს აღემატება. მაღალ ინფლაციას საერთაშორისო ბაზარზე მკვეთრად მომატებული სასაქონლო პროდუქტებისა და ნავთობის ფასები ასევე გაუფასურებული გაცვლითი კურსი განაპირობებს. ამასთან, პანდემიის გავრცელების შესაჩერებლად დაწესებული რეგულაციები ეკონომიკის გაჯანსაღებას აფერხებს და ინფლაციაზეც უარყოფითად აისახება. აღნიშნულ ფაქტორებს ფასებზე ისთივე დროებით გავლენა ექნება როგორც კომუნალური გადასახადების სუბსიდირების საბაზო ეფექტს. გაუფასურებული გაცვლითი კურსი ფირმების სესხის მომსახურების ხარჯს უზრდის, რაც მათ საბოლოოდ ფასების ზრდისკენ უბიძგებს. აღსანიშნავია რომ მიმდინარე ტენდენციების ფონზე, მოიმატა ინფლაციურმა მოლოდინებმაც რაც ძირითადად განაპირობა ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან შედარებით ხანგძლივი პერიოდით გადახრამ. გაზრდილი ინფლაციის საპასუხოდ, მონეტარული პოლიტიკა 2021 წლის განმავლობაში მკაცრ პოზიციაზე შენარჩუნდებ,ა ამ ეტაპზე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9.5%-მდეა გაზრდილი. ცენტრალური ბანკები როგორც წესი მსგავსი ტიპის შოკებზე არ რეაგირებენ, რადგან ამ ტიპის შოკებზე რეაგირებ დამატებით ეკონომიკურ მერყეობას იწვევს, თუმცა აღნიშნულ მდგომარეობაში დამატებითი ინფლაციური ზეწოლის აღმოსაფხვრელად სებ-ი მონეტარულ პოლიტიკას მდგომარეობის შესაბამისად ცვლის. მიმდინარე წელს სუსტი ერთობლივი მოთხოვნა ინფლაციის ტემპის შემცირებისაკენ იქნება მიმართული. თუმცა ამ ეფექტს ფასებზე ზრიდის ეფექტები გადაწონის და ინფლაცია კვლავ მიზნობრი მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნდება. 2022 წლის დასაწყისისთვის სავარაუდოა რომ ამ ფაქტორების გავლენის ამოწურვისა და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგად, ინფლაცია შემცირებას დაიწყებს და საშუალოვადიან პერიოდში ნეიტრალურ განაკვეთის 6,5%-იან დონეს, მოგვიანებით კი, მიზნობრივ მაჩვენებელს მიუახლოვდება.

ეკონომიკური გაჯანსაღების პროგნოზირება იმ პირობებში რომ ჯერ კიდევ არ ვიცით როდის დასრულდება პანდემია ძალიან რთულია, ამიტომ განიხილება ალტერნატიული საპროგნოზო სცენარი, რომელიც პანდემიასთან დაკავშირებულ რისკებს მოიცავს, რაც შეიძლება გამოიწვიოს პანდემიის მორიგმა ტალღამ ვაქცინაციის პროცესის ნელი ტემპით მიმდინარეობამ და პანდემიის გახანგძლივებამ როგორც საქაღტველოში ასევე მსოფლიოში. ასეთ შემთხვევაში მსოფლიოს კვლავ მოუწევს კოვიდ რეგულაციების გამკაცრება, რაც ასევე საერთაშორისო მობილობის შემცირებასაც მოიაზრებს. მსგავსი სცენარის განვითარება განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის ისეთ ქვეყნებს რომელთა ეკონომიკა ტურიზმზე მნიშმვნელოვნად არის დამოკიდებული. ჩვენდა სამწუხაროდ საქართველოც ამ ქვეყნების სიაში მოიაზრება. პანდემიის გახანგძლევების პირობებში საგარეო შოკის უარყოფითი გავლენა გაღრმავდება რაც საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღდგენის პროცესს. ვინაიდან ეს გარემოება ბიზნესის განწყობასა და ინვესტიციებს მკვეთრად გააუარესებს და ეკონომიკურ კრიზისს გაამწავვებს. ალტერნატიული პროგნოზის მიხედვით 2021 წელს ეკონომიკური ზრდა მხოლოდ 0,5%-ის ფარგლებში იქნება ინფლაცია კი 2021-2022 წლებში 1,2 პპ-ით გაიზრდება, გაზრდილი ინფლაციის საპასუხოდ გამკაცრდება მონეტარული პოლიტიკა, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი საბაზო სცენართან შედარებით საშუალოდ 1,1 პპ-ით გაიზრდება.

ქვეყანაში არსებული მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა

ბოლო ათწლეულების მანძილზე უპრეცედენტოდ მძიმე 2020 წლის შემდგომ, 2021 წლის დასაწყისში გლობალურ ეკონომიკაში გაჯანსაღების გარკვეული ნიშნები გამოიკვეთა. COVID-19 ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ხელმისაწვდომობისა და მასობრივი იმუნიზაციის ფონზე, განვითარებულ ქვეყნებში როგორც მიმდინარე ეკონომიკური აქ-

ტივობა, ასევე მოლოდინებიც გაუმჯობესდა. თუმცა მდგომარეობა ამ მხრივ შედარებით ნაკლებად სახარბიელოა მზარდ და განვითარებად ქვეყნებში. მათ შორისაა საქართველოც, სადაც წლის დასაწყისში სუსტი ეკონომიკური აქტივობა შენარჩუნდა, ხოლო ინფლაციური წნეხი გაძლიერდა. რაც როგორც უკვე აღვნიშნე ძირითადად, საერთაშორისო ბაზრებზე ვაჭრობადი პროდუქციის ფასების მზარდ დინამიკასა და გაუფასურებულ გაცვლით კურსს უკავშირდება. საბაზო საპროგნოზო სცენარის მიხედვით მოსალოდნელია, რომ მომავალი წლის დასაწყისში აღნიშნული წნეხი მიილევა და ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს დაუახლოვდება. ამის მისაღწევად მონეტარული პოლიტიკა გამკაცრებულ პოზიციაზე შენარჩუნდება, რათა ინფლაციის მოკლევადიანმა მერყეობამ ინფლაციის უფრო გრძელვადიან მოლოდინებზე არასასურველი ზემოქმედება არ მოახდინოს და მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევის ამოცანას საფრთხე არ შეუქმნას. ამავე პროგნოზით, 2021 წელს, სუსტი საგარეო მოთხოვნის მიუხედავად, შედარებით ძლიერი შიდა მოთხოვნის ხარჯზე საქართველოს ეკონომიკა 4%-ით გაიზრდება.

2020 წლის მეოთხე კვარტალში მშპ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალურად 6,8%-ით დაეცა. ვარდნა, ძირითადა მომსახურების სექტორის მკვეთრმა შემცირებამ გამოიწვია. პანდემიის პირობებში ყველაზე მეტად ტურისტული სექტორი დაზარალდა, იქედან გამომდინარე რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა დიდწილად ტურისტულ სექტორზეა დამოკიდებული და თავის მხრივ ტურიზმი ბევრ სხვა დარგას მოიცავს ყველაზე დიდი დარტყმა ქვეყნის ეკონომიკას სწორედ მან მიაყენა. დარგობრივ ჭრილში, განთავსების საშუალებების უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობებს, სადაც უდიდესი წილი სასტუმროებსა და რესტორნების გამოშვებაზე მოდისწლიური 53,8%-იანი ვარდნა და ეკონომიკის შემცირებაში ყველაზე დიდი 2,2 პპ-იანი წვლილი ჰქონდა, საქონლისა და მომსახურების ექსპორტი რეალურ გამოხატულებაში, წინა წელთან შედარებით 40%-ით შემცირადა, აქედან, უცხოეთიდან ტურისტული შემოსავლების თითქმის შეწყეტის ფონზე, მომსახურების ექსპორტმა 69,9%-ით ხოლო საქონლის ექსპორტმა 17,7%-ით იკლო, ამასთან საქონლისა და მომსახურების იმპორტიც 22,3%-ით შემცირდა. საბოლოოდ წმინდა ექსპორტმა ეკონომიკურ ვარდნაში 5,6 პპ-იანი წვლილი შეიტანა. კრიზისი შედარებით ნაკლებად შეეხო ინდუსტრიულ დარგებს და სოფლის მეურნეობას. პანდემიის მიუხედავად ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურული პროექტები, ხოლო რაც შეეხება სოფლის მეურნეობას მისი წვლილი მშპ-ში დადებითი იყო.

ინფლაციაზე მოქმედი შოკები: სამომხმარებლო ფასების ცვლილება და მონეტარული პოლიტიკა

საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაც იმას ნიშნავს რომ ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს უნდა იყოს. თუმცა როგორც გარე ისე ქეყნის შიგნით არსებული შოკები მუდმივად მოქმედებს ინფლაციის მაჩვენებელზე და იწვევს მისი მიზნობრივი მაჩვენებლისგან გადახრა. ასეთი შოკების წარომოშობის დროს ეროვნული ბანკი ისეთ მონეტარულ პოლიტიკას ატარებს, რომ ინფლაციის მაჩვენებელი მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნოს. არსებობს ისეთი შოკები რომელზეც თითქმის ზუსტად ვიცით რომ მათი გავლენა დროებითია და ამ გავლენის შემდეგ ინფლაცია თვითონ დაუბრუნდება მიზნობრივ მაჩვენებელს. მიუხედავად დროებითი შოკებისა მათ შეიძლება გავლენა იქონოის ინფლაციურ მოლოდინებზე რაც მოითხოვს ეროვნული ბანკისგან რეაგირებას. ამიტომ მნიშმვნელოვანია, რომ ინფლაციის საზომიდან ის

ფაქტორები, რომლებიც ცალსახად დროებითი ეფექტების პირდაპირი შედეგია გავმიჯნოთ იმ ფაქტორებისგან რომელიც უფრო საშუალოვადიანი გავლენის მქონეა.

ჩვენ განვიხილავთ შემდეგი სახის აშკარა დროებითი ხასიათის მქონე შოკებს:

- საერთაშორისო ბაზარზე სასაქონლო პროდუქტების, აშშ დოლარში გამოხატული, ფასების ცვლილება
- არაპირდაპირი გადასახადის განაკვეთის ცვლილება
- სუბსიდირება

მაგალითად, გადასახადის განიკვეთის ან სუბსიდიის სქემის მუდმივად ერთი მიმართულებით ცვლილება შეუძლებელია, შესაბამისად მისი გავლენა დროებითია. ასევე ვიცით რომ საერთაშორისო ბაზარზე საქონლის აშშ დოლარში გამოხატული ფასის ზრდა მუდმივი ხასითის ვერ იქნება შესაბამისად ადგილობრი ინფლაციაზე გავლენაც დროებითია.

2021 წლის მარტში წლიურმა ინფლაციამ 7.2% შეადგინა, ხოლო ფასები თებერვალთან შედარებით 4.2%-ით გაიზარდა. ინფლაციის ზრდის მიზეზი კორონავირუსის მიერ შექმნიალი არაორდინალური ვითარებაა, რის გამოც მიწოდების მახარეს არსებულმა რამოდენიმე ფაქტორმა ინფლაციის ზრდაზე ერთდროულად იმოქმედა. ინფლაციაზე მოქმედებს როგორც ქვეყნის შიგნით არსებული არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე საზოგადოების მოლოდინები, ვაქცინაციის ნელი ტემპი, აშშ დოლარის გამყარება სხვა ვალუტებთან მიმართებაში, რაც გლობალური პრობლემაა მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშმვნელოვანია დოლარის გამყარება ლირასთან მიმართებაში რადგან თურქეთი ჩვენი ქვეყნის ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია, კომუნალურების სუბსიდირება მთავრობის მიერ და ა.შ

მთავრობის მიერ კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გამო 2020 წლის დეკემბერში კომუნალური გადასახადების ინდექსები ნოემბერთან შედარებით შემცირდა, ხოლო 2021 მარტში ეს ინდექსები ნოემბრის დონესთან შედარებით გაიზარდა. პროცენტულად ზრდამ გადააჭარბა შემცირებას. კომუნალური გადასახადების უცვლელი წონის პირობებში, აღნიშნულმა სხვაობამ წლიური ინფლაციის დონე მომდევნო ერთი წლის მანძილზე დაახლოებით 1.2პპ-ით გაზარდა.

საქართველო მცირე ზომის ღია ეკონომიკაა, რის გამოც სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას დიდი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკაზე, იქედან გამომდინარე რომ თურქეთი ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორია იქ მიმდინარე ისეთმა მოვლენებმა როგორიც არის თურქული ლირის მნიშმვნელოვნად გაუფასურება, ინფლაციური მოლოდინები გაზარდა. თურქეთი 2021 წლის მარტის თვეში ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის ყველაზე მაღალ წილს 18%-ს ფლობს, ინფლაცია კი მარტის თვის მონაცემებით თურქეთში 16.2%-ს გაუტოლდა.

რაც შეეხება სამომხმარებლო ფასების ცვლილებას და მის წვლილს ინფლაციაში, სურსათი წინა წლის მარტთან შედარებით 5.5 პროცენტით გაძვირდა, რითაც ინფლაციაში 1.6 პპ-ით წვლილი შეიტანა. აქედან მხოლოდ მზესუმზირის ზეთის წვლილი 0.5 პპ, ხოლო შაქრის 0.2 პპ იყო. ადგილობრივ ბაზარზე ფასების მატება ამ პროდუქტების მსოფლიო ბაზარზე გაძვირებას უკავშირდება. მსოფლიოში მობილობის აღდგენასთან ერთად გაიზარდა ნავთობზე მოთხოვნა და, შედეგად, ფასებიც, რამაც საწვავიც გააძვირა. ბენზინის და დიზელის კონტრიბუცია ინფლაციის ზრდაში ჯამურად 0.4 პპ-ს გაუტოლდა. ჯანმრთელობის დაცვა წლიურად 13.6 %-ით გაძვირდა (1.0 პპ წვლილი ინფლაციაში), ხოლო სიგარეტის წვლილმა ინფლაციაში 0.4 პპ შეადგინა. ამის გარდა, ლარის ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებამ სხვა საქონელის გაძვირებაზეც იმოქმედა. საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს გამორიცხავს, 6.9%-

მდე გაიზარდა. მარტში წლიურმა ინფლაციამ იმპორტირებულ საქონელზე 11.2%, ხოლო ადგილობრივად წარმოებულ საქონელზე 5.0% შეადგინა. შერეული საქონელი 8.0%-ით გაძვირდა. წლიური მაჩვენებლების მიხედვით, ხანმოკლე, საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი, შესაბამისად, 8.8%, 7.1% და 9.6%-ით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასებმა 3.6%-ით მოიმატა.

რაც შეხება გაცვლით კურსს 2021 წლის პირველ კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი, აშშ დოლარის მიმართ 1,3%-ით გაუფასურდა, ამასთან ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვარტალურად 3,2%-ით, წლიურად კი 8,5%-ით გაუფასურდა, რაც შეეხება რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსს იგი კვარტალურად 2,8%-ით ხოლო წლიურად 9,1%-ით გაუფასურდა, აღსანიშნავია, რომ რეალური გაცვლითი კურსის გაუფასურდა ყველა ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან მიმართებაში. აქვე მნიშმვნელოვანია აღვნიშნოთ ისიც, რომ საქართველო ინფლაციის მაჩვენებლით 198 ქვეყანას შორის 34-ე ადგილს იკავებს, მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ვენესუელაში (3012%) დაფიქსირდა, მას მოსდევს სუდანი 341%-იანი ინფლაციით მესამე ადგილს კი ზიმბაბვე იკავებს 194%-იანი ინფლაციის დონით.

ტურიზმის მნიშმვნელობა საქართველოს ეკონომიკისთვის

პანდემიამ მაშტაბური გლობალური ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია, რაც უპირველესად საერთაშორისო მიმოსვლისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობების შემცირებაში გამოიხატა. ეს ვითარება მცირე ეკონომიკის მქონე, ტურიზმზე დამოკიდებული ქვეყნებისთვის განსაკუთრებით კრიტიკული აღმოჩნდა. ქვეყნები რომლებისთვისაც საერთაშორისო ტურიზმი უცხოური ვალუტის შემოდინებისა და ზოგადად შემოსავლების მნიშმვნელოვანი წყარო იყო, როგორც გაზრდილი საგარეო დისბალანსის, ასევე ფისკალური წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ. მათ შორის არის საქართველოც, რომლისთვისაც 2020 წლამდე ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშმვნელოვანი ფაქტორი იყო.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ტურიზმი მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა ისევე როგორც შემოსავლები ტურიზმიდან. ისეთ პატარა ქვეყანაში როგორიც საქართველოა საერთათორისო ვიზიტორების რაოდენობამ 2019 წელს 7,7 მლნ მიაღწია, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა კი 3,3 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა და მშპ-ში 18,7%-იანი წვლილი შეიტანა. სამწუხაროდ პანდემიამ ეს პოზიტიური დინამიკა შეცვალა და 2020 წელს საერთშორისო ვიზიტები 2%მდე შემცირდა. აღსანიშნავია რომ ტურიზმის სექტორი ბევრ ურთიერთდაკავშირებულ დარგს მოიცავს და შესაბამისად ყველა მათგანზე ნეგატიურად იმოქმედა საერთაშორისო მობილობის მკვეთრად შემცირებამ. პანდემიამ ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენა 2020 წლის თებერვლიდან დაიწყო, მარტში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და საზღვრების ჩაკეტვამ საქართველოში უცხოელი ტურისტების შემოსვლა და შესაბამისად მათგან მისაღები ტურისტული შემოსავლები ფაქტობრივად შეაჩერა, შედეგად გარე ტურიზმის წილი მშპ-ში 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10%ი-თ შემცირდა და 2% შეადგინა, აღნიშნულმა უარყოფითად იმოქმედა რეალური მშპ-ის ზრდაზეც. საბოლოოდ 2020 წელს რეალური მშპ 6,2%-ით შემცირადა, ეს შემცირება კი ძირითადად განპირობებულია მომსახურების ექსპორტის მკვეთრი შემცირებითა და შემცირებული ერთობლივი მოთხოვნით, აღნიშნულმა ვითერბამ უარყოფითად იმიქმედა ისეთ ეკონომიკურ დარგებზე როგორიც არის განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების დარგები, ასევე უძრა ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები და ტრანსპორტი. საბოლოოდ რეალური მშპს 6,2%-იან კლებაში მათ 3,0 პპ წვლილი შეიტანეს.

დასკვნა

ეროვნული ბანკის როლია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით ეკონომიკის მთლიანი ხარჯვის მოცულობასა და ინფლაციის მოლოდინებზე ზემოქმედება, რაც საბოლოოდ ინფლაციის 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბრუნებას და მის ამ დონეზე შენარჩუნებას უზრუნველყოფს. დაბალი და სტაბილური ინფლაცია ხელს უწყობს დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდას. პანდემიისა და ეკონომიკური კრიზისი პირობებში ისეთი მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის როგორიც საქართველოა განსაკუთრებით რთულია ინფლაციის მიზნობრივ დონესთან მიახლოება, იქედან გამომდინარე რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა დიდად არის დამიკოდებული ტურიზმსა და იმპორტზე, კოვიდრეგულაციები მნიშმვნელოვან დარტყმას აყენებს ეკონომიკას. წლის დასაწყისში ფასების ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა რაც ძირითადად საერთაშორისო ბაზარზე სურსათისა და ნავთობის გაზრდილი ფასები განაპირობებს, გარდა ამისა ინფლაციურ წნეხს გაუფასურებული გაცვლითი კურსიც ზრდის. საყურადღებოა პანდემიური მდგომარეობის გახანგძლივებაც რაც რეგულაციების გახანგძლივებასაც გულისხმობ და შესაბამისად ზრდის ინფლაციურ მოლოდინებს, გაზრდილი ინფლაციური მოლოდინების საპასუხოდ კი სებ-ი ამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას ამ ეტაპზე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9,5%-ია. რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას საბაზო სცენარის მიხედვით 2021 წელს რეალური მშპ 4%-ით გაიზრდება. ამ სცენარის ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა შიდა მოხმარება იქნება რასაც ფისკალური სტიმული და საკრედიტო აქტივობა წაახალისებს. შემცირებული საგარეო მოთხოვრა რაც პანდემიით არის გამოწვეული ეკონომიკურ ზრდას ისევ შეაფერხებს მაგრამ ჰორიზონტზე გამოჩნდა ვაქცინა რომელიც გვაძლევს იმედს რომ ქვეყნებს შორის მობილობა ახლო მომავლში ეტაპობრივად აღდგება. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს რომ პანდემია ჯერჯერობით კვლავ უმართავია ამიტომაც განვიხილეთ ალტერნატიული სცენარი რომლის მიხედვიტაც პანდემია ხანგძლივდება, რის შედეგადაც შემცირებული ერთობლივი მოთხოვნა, ეკონომიკური გაჯანსაღების პროცესს ანელებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კრუგმანი, ობსტფელდი, მელიტცი. (2017). საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. მეათე გამოცემა. თბილისი
2. ნამჩავაძე, ბ. (2020). საქართველოს ეკონომიკა ბოლო 8 წელიწადში. https://forbes.ge/sa-qarthvelos-ekonomika-bolo-8-tselitsadshi/
3. პაპავა, ვ. (2021). ინფლაციის მაღალი დონის შესახებ. გადაცემა „რეზიუმე“. პალიტრა
4. პაპავა, ვ. (2021). ლარის გაუფასურების 4 მიზეზი. ბიზნეს პარტნიორი
5. პაპავა, ვ. (2021). რატომ იმატებს ფასები. გადაცემა „საქმე“
6. პაპავა, ვ., ჭარაია, ვ. (2019). იმფლაციის გაზომვისა და ინფლაციის კომპლექსური თარგეთირების შესახებ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. შრომების კრებული. თბილისი. გვ. 326-329
7. საქართველოს ეროვნული ბანკის „მონეტარული პოლიტიკა. https://www.nbg.gov.ge/index.-php?m=533
8. საქართველოს ეროვნული ბანკის მარტის თვის მიმოხილვა. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2
9. საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველკვირეული მიმოხილვა. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2

10. საქართველოს სტატისტიკი ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ka
11. ჭანუყვაძე, ნ. ინფლაციის არსი და მისი დღევანდელი ტენდენციები საქართველოში. http://geoeconomics.ge/?p=13363
12. GALT & TAGGART ბმული : https://galtandtaggart.com/
13. Nobel prize-winning economist Paul Krugman explains why he's more left-wing than the Modern Monetary Theory crowd. https://www.businessinsider.com/paul-krugman-modern-monetary-theory-inflation-stimulus-federal-reserve-policy-2021-5
14. Tourism in a Post- Pandemic World. https://www.imf.org/en/Home

პანდემიის გავლენის შედეგები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში

ზურაბ აბრამიშვილი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ნაზიხა კაკუღია
ასოცირებული პროფესორი

იმის შემდეგ რაც კოვიდ პანდემიის გამო დაწესებული თავდაპირველი ეკონომიკური შეზღუდვები მოიხსნა, გასული დროის განმავლობაში გვეძლევა თუ არა საშუალება შევაფასოთ მისი შედეგები უკვე ემპირიული მონაცემებით და განვსაზღვროთ თუ რა გავლენა იქონია მან ქვეყნებზე? უფრო კონკრეტულად ჩემი კვლევის მიზანია დავადგინო: რით განსხვავდება პანდემიით გამოწვეული კრიზისის შედეგები განვითარებულ და განვითარებად ქყვენებში.

ძირითადი კვლევის ობიექტი რაზე დაყრდნობითაც მომზადდა ეს კვლევა, არის ეკონომიკური ზრდის ტემპები სხვადასხვა ქვეყანაში და აშკარა კავშირები და განსხვავებები გატარებული პოლიტიკის შედეგებს შორის და შეიძლება თუ არა განვითარებული ეკონომიკა იყოს ერთგვარი დამცველი „ფარი“ კრიზისულ სიტყვა ციებში?

ვეცდები განვიხილო კონკრეტულად რაზე ახდენს განვლენას მაკროეკონომიკური ბერკეტები კრიზისის მართვის დროს რითი განსვავდება პროტექციონისტული პოლიტიკის შედეგები ბუნებრივი შედეგებისგან?

დადგნენ თუ არა განვითარებადი ქვეყნები მტკივნეული არჩევანის წინაშე მოკლევადიან პერიოდში, ხალხი ან ეკონომიკა?

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების შედარებითი ანალიზი

იმისათვის რომ შევადაროთ განსხვავებები განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში, კვლევისათვის განვითარებული ჯგუფიდან შევარჩიე: შვედეთი, დანია, აშშ, დიდი ბრიტანეთი. ხოლო განვითარებადი ქვეყნებიდან: საქართველო, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი რუმინეთი, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი.

ყველა ქვეყანის მშპ-ს ზრდის ტემპი განვიხილოთ ცალცალკე, გატარებული პოლიტიკა, ასევე რიგ შემთხვევებში მოკლე მიმოხილვა ქვეყნის შესახებ, სპეციფიკური ფაქტორების არსებობის შემთხვევაში.

შვედეთი განსაკუთრებულ შემთხვევად შეიძლება ჩავთვალოთ მთელი მსოფლიოსთვის, ნებისმიერი სპექტრიდან ჩატარებული ანალიზის შემთხვევაში, რადგანის ერთადერთი ქვეყანაა რომელსაც არანაირი შეზღუდვები არ დაუწესებია და კოვიდ რეკომენდაციების შესრულება მთლიანად მოსახლეობას მიანდო, ეკონომიკური შედეგიც შესაბამისად ყელასგან განსხვავებულია, მაგრამ განსხვავებულია მხოლოდ ფორმითა და მნიშვნელობით, და არა მოცულობით, ჯერ ადრეა იმის განხილვა თუ რა შედეგებს გამოიღებს ეს მომავალში, მაგრამ ხელთარსებული ემპირიული მონცამები შემდეგნაირია:

დიაგრამა 1

შვედეთის GDP



წყარო: შვედეთის ცენტრალური ბანკი

https://www.scb.se/en/finding-statistics/statistics-by-subject-area/national-accounts/national-accounts/national-accounts-quarterly-and-annual-estimates/pong/tables-and-graphs/tables/gdp-quarterly/

დიაგრამა 2

შვედეთის GDP-ის ზრდის ტემპი



წყარო: შვედეთის ცენტრალური ბანკი

https://www.scb.se/en/finding-statistics/statistics-by-subject-area/national-accounts/national-accounts/national-accounts-quarterly-and-annual-estimates/pong/tables-and-graphs/tables/gdp-quarterly/

როგორც ვხედავთ შვედეთის ეკონომიკამ კრიზიული პერიოდის გადავლის შემდეგ ჩვეულებრივად გააგრძელა ზრდა 2020 წლის ბოლო კვარტლიდან, ხოლო ეკონომიკური რეცესია მხოლოდ 3 კვარტალს გაგრძელდა, მისი ისტორიულად სტაბილური განვითარების გამო ნათლად შეიძლება დავინახოთ, რომ კოვიდ პანდემიას ზრდის ტემპის სტრუქტურასა და სხვა დეტერმინანტებზე გავლენა საერთოდ არ მოუხდენია მითუმეტეს იმ ფონზე როცა როცა კოვიდით გამოწვეული სიკვდილიანობა ძალიან დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდა (14 000 / 1მლნ.) ამ დროისთვის კი ვირუსის გავრცელება უმნიშვნელოდ მცირეა, და ეკონონომიკა შეზღუდვებისგან სრულად თავისუფალია. აღასანიშნავია ასევე ის, რომ მთავრობას არანაირი დახმარების პროგრამა არ განუხორციელებია კრიზისის დროს.

დანია იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება რომლებმაც დროებითი და ძალიან მკაცრი შეზღუდვები გამოიყენეს, ასევე მთავრობამ გამოსცა დახმარების პაკეტები და მოკლევადიანი პროგრამები, მათშორის სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულებს

უნაზღარებდა ხელფასის 75%-ს ხოლო კერძო სექტორშიდასაქმებულებს 90%-ს, ჯამში $100 მლრდ-მდე სხვადასხვა ფორმითა და რაოდენობით სხვადასხვა სექტოზე გადანაწილდა. შედეგად კი მივიღეთ, რომ მთავრობის ჩარებით ეკონომიკური ნაზრდის დანაკარგი რაც ქვეყანამ პირველ სამ კვარტალში მიიღო, მეოთხე კვარტალში სრულად აინაზრაურა.

დიაგრამა 3

დანიის GDP კვარტალურად



წყარო: დანიის ცენტრალური ბანკი

https://www.statbank.dk/statbank5a/selectvarval/saveselections.asp

დიაგრამა 4



წყარო: https://www.worldometers.info/coronavirus/country/denmark/

დანიას ვირუსთან ბრძოლა ისევ უწევს და ახალი ინფიცირების ტემპი თითქმის ერთიდაიგივე მუდმივი ნიშნულით იზრდება, მაგრამ მიუხედავად ამისა სიტყვაცია კონტოლს ექვემდებარება რადგან ახალი ინფიცირების შემთხვევებთან გამკლავება ქვეყანას უფრო და უფრო უმარტივდება რადგან სახელმწიფოს ეკონომიკური სტიმულირების პროგრამის ფარგლებში საავადმყოფოებს სულ უფრო და უფრო მეტი ინფიცირების შემთხვევასთან შეუძლიათ ეფექტურად გამკლავება.

ცხრილი 1

#	Country, Other	Total Cases	Total Deaths	Tot Cases/ 1M pop	Deaths/ 1M pop	Total Tests	Tests/ 1M pop	Population
1	Sweden	1,037,126	14,275	102,139	1,406	8,798,383	866,492	10,154,031
2	Denmark	265,539	2,502	45,704	431	46,271,866	7,964,238	5,809,955
	Total:	163,190,727	3,383,894	20,935.8	434.1			

წყარო: https://www.worldometers.info/coronavirus/

აშშ-ს ეკონომიკური ზრდის ტემპიცარ არის განხვავებული დანიის ზოგადი მაჩვენებლისგან, აშშ-ს მთავრობამ 2.5 ტრლნ დახმარების პაკეტი გამოსცა და თანხა პირდაპირ გადასცა მოსახლეობას, უშუალოდ კრიზისის მომენტში მთავრობას გარკვეული საბანკო შეღავაღებიც ჰქონდა და გარკვეულ პროდუქტებსაც ასუფსიდირებდა, ასევე გასცემდა დახმერებებს, რაც ჯამში 4 მლრდ-მდე დაუჯდა. არანაირი შეზღუდვები არ ჰქონია და არც დღეს აქვს, შესაბამისად ინფიცირებისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლებით „საპატიო“ პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში (600K/33,7მლნ)

დიაგრამა 5

აშშ-ის კვარტალური GDP



წყარო OECD: https://data.oecd.org/gdp/quarterly-gdp.htm

დიდი ბრიტანეთ ერთერთი განსაკუთრებული შემთხვევაა რადგან იქ ვირუსის სპეციფიკური ბრიტანული (უფრო ძლიერი) შტამი გავრცელდა, მთავრობამ შეზღუდა გადაადგილება მკაცრად უშუალოდ კრიზისის პერიოდში და საშუალო სიმძლავრით პოსტ კრიზისულ პერიოდში და გამოსცა დახმარების პაკეტი 20 მლრდ ფუნტი სტერლინგის მოცულობით რაც ეკონომიკის 1%-ია. სულ დაახლოებით შეღავათების გათვალიწინებით ეკონომიკური სტიმულების რაოდენობა 0,88 მლრდ-ია.

დიაგრამა 6

დიდი ბრიტანეთის GDP-ის ზრდა კვარტალურად



წყარო: ინგლისის ნაციონალური სტატისტიკის სამსახური:

https://www.ons.gov.uk/economy/grossdomesticproductgdp/timeseries/abmi/ukea

შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მშპ-ზე გავლენა პოსტ კოვუდურ პერიდში დარჩა რადგან კრიზისმა საერთო მშპს დონე დაწია, ხოლო კრიზისდან გმოსვლის ტემპი იგივე შენარჩუნდა რაც იყო კოვიდამდე.

საქართველოს მთავრობამ სამ ეტაპად დაყო დახმარების აპკეტები აქედან პირველი ორი საგადასახადო შეღავათები იყო სხვადასხვა ფორმითა და რადენობით მესამე კი ძირითად სესხების სუფსიდირებას, გადავადებასა სოციალურ დახმარებებს შეეხებოდა რისთვისაც $54მლრდ. იყო გათვალიწინებული.

დიაგრამა 7

საქართველოს GDP-ის ზრდა



წყარო: https://www.theglobaleconomy.com/Georgia/gdp_growth/

საქართველოს ეკონომიკა ჯერ კიდევ კრისზისულ შოკშია და რეცესიას განიცდის, აღსანიშნავია რომ რეცესსი პიკი გადალახულია მაგრამ ეკონომიკის აღდგენისათვის და ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირების ნიშნები ჯერ არ შეიმჩნევა, იქიდან გამომდინარე რომ ეკონმიკა როგორც ფარი, ისე იქნა გამოყენებული ვირუსთან საბრძოლველად, ინფიცირებისა და გარდაცვალების მაჩვენებლები საკმაოდ დაბალია სხვა ქვეყნებთან შედარებით (100 000 მოსახლეზე გაანგარიშებით) (3 400გარდ./330 000ინფ.)

დიაგრამა 8

ჩინეთის GDP-ის ზრდა



წყარო ჩინეთის სტატისტიკის ნაციონალური ბიურო: https://data.stats.gov.cn/english/easyquery.htm?cn=B01

ჩინეთმა ძირითადი ყურადღებამ გაამახვილა შეღავათებზე და შეზღუდვებზე, ასევე განსაკუთრებით დიდი რესურსები მიმართა კვლევებზე ვაქცინის შესაქმენელად რაც მხოლოდ პირველ ეტაპზე 0,9მლრდ დაუჯდა, ხოლო იმის გამო, რომ მთლიანად შეზღუდვებით უმკლავდებოდა ვირუსს ინფიცირებისა და გარდაცვალების რიცხვი საკმაოდ დაბალია, (4 600 გარდ. / 90 000 ინფ.)

ეკონომიკური შედეგების სტრუქტურული მსგავსების მიუხედავად რადიკალურად განსხვავბული შედეგებია ინდოეთში რაც მრავალი თავისებურებით ხასიათდება, პირველ რიგში აღსანიშნავია რომ ინდოეთის მოსახლეობა 1,3 მრლდ-ზე მეტია, და მოსახლეობის 30%ს წყალი არ მიეწოდება, რაც მჭიდროდ დასახლებული რეგიონებისთვის პირდაპირ ნიშნავს მაღალ სიკვდილიანობას, მთავრობის სტიმულირების გეგმა მშპ-ს 15%-ს მოიცავდა რაც $266 მლრდ-ია, ინფიცირებულთა რიცხვი კი დღეის მონაცემებით დღეში 300 000 ით იზრდება (270 000 გარდ./24 684 000ინფ) ამიტომ შეიძლება ითქვას რომ სრული შედეგების განხილვისთვის ინდოეთს შემთხვევაში ჯერ ძალიან ადრეა. მეორე ტალღასთან გამკლავებისთვის მთავრობას ძირითადად საერთაშორისო დახმარების იმედი აქვს. აღსანიშნავია რომ მთავრობა სრულად ვერ ახერხებს მკაცრი შეზღუდვების გატარებას რეგიონში და შედეგები დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან.

დიაგრამა 9

ინდოეთის GDP-ის ზრდა



წყარო: https://www.theglobaleconomy.com/India/gdp_growth/

უკრაინამაც, როგოც სხვებმა, გამოიყენა მკაცრი კარანტინის ზომები და სახელმწიფო შეღავათები, შეღავაღები ვრცელდებოდა გადასახადებზე და სესხებზე, მათშორის კომერციულ სესხებზეც, სულ ჯამში ეკონომიკის სტიმულირება მოხდა 1,38 მლრდ-ით და დღესაც გრძელდება, კოვიდ ვითარება ქვეყანაში სხვა მოსახლეობის პროცენტული ავადობის მიხედვით მძიმე არაა, მაგრამ საერთო ჯამში მაინც ცუდი მდგომარეობაა (48 000 გარდ./2.1მლნ. ინფ.)

განსაკუთრებით მძიმე მდგმარეობაა ჩვენს მეზობლად, სომხეთს რესპუბლიკაში სადაც კოვიდ პანდემიას ომიც დაერთო აზერბაჯაანთან, კოვიდ ვითარება აქ თითქმის იმდენივეა რაც საქართველოში (4რ300გარდ./რ220რ000ინფ.) მაგრამ ეკონომიკა უფრო ცუდ მდგომარეობაშია და შეიძლება ითქვას ჯერჯერობით ვერც ახერხებს კრიზისიდან გამოსვლას. სომხეთს მთავრობამ ფისკალურ ნაწილში სესხებზე 300 მილიონამდე შეღავათი გაუკეთა მოსახლეობას საპროცენტო განაკვეთს სუფსიდირებით და ასევე მონეტრულ ნაწილში 300 მლნ-ის დახმარების პაკეტები გადასცა მოსახლეობას სხვადასხვა ფორმითა და რაოდენობით.

დიაგრამა 10

უკრაინის GDP-ის ზრდა



წყარო: https://www.theglobaleconomy.com/Ukraine/gdp_growth/

დიაგრამა 11

სომხეთის GDP-ის ზრდა



წყარო: https://www.theglobaleconomy.com/Armenia/gdp_growth/

აზერბაიჯანის შემთხვევაში მთელი რიგი რყევები გამოწვეული იყო ნავთობზე ფასის დავარდნით, რის გამოც ეკონომიკაში მთელი რიგი ძვრები განხორციელდა, განსაკუთრებული არასტაბილურობით ხასიათდებოდა საპროცენტო განაკვეთი რის გამოც მათ EBRD სგან $200 მლნ-ის სესხის შეთანხმება დადეს.

დიაგრამა 12

აზერბაიჯანის GDP-ის ზრდა



წყარო: https://www.theglobaleconomy.com/Azerbaijan/gdp_growth/

რაც შეეხება შეზღუდვებს, ჩაკეტილი იყო მთლიანი ქვეყანა და გამოცხადებული იყო კარანტინი, აკრძალული იყო საქალაქთაშორისო გადაადგილებაც, მაგრამ მიუხედავდ ამისა კოვიდ ვითარების შედეგები დიდად განსხვავებული არ არის მსგავსი ტიპისქვეყნებისაგან (4700გარდ./329 000 ინფ)

მთავრობამ გამოსცა მკაცრი შეზღუდვები პირველი ტალღის დროს რასაც ეკონომიკის ძლიერი შემცირება მოჰყვა შემდეგ შეამსუბუქა შეზღუდვები და დახმარებისა და სტიმულირების პაკეტები გამოსცა ჯამში 72 მლრდ-ის, რაც ეკონომიკის 12.7%-ია და ამან ეკონომიკის გაზრდა გამოწვია 15%-მდე.

კოვიდ ვითარება თრქეთში საშუალოზე მძმეა (44 500გარდ./ 5 106 000ინფ.)

დიაგრამა 13

თურქეთის GDP-ის ზრდა



წყარო: https://www.theglobaleconomy.com/Turkey/gdp_growth/

მსგავსებები და განსხვავებები მაკროეკონომიკურ გავლენებში

იმის შემდეგ რააც ქვეყნების ძირითადი და ზოგადი მაჩვენებლები ცალცალკე განვიხილეთ ახლა შეგვიძლია მათ შორის მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები გამოვყოთ, როგორც საერთაშორისო მონეტარული ფონდის სტატიაში ვკითხულობთ კრიზისის დროს ეკონომიკები შემცირდა და განსაკუთრებით ეს აისახა მოხმარების ნაწილზე, ამ შემთხვევაში ჩანს რომ მოხმარება უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში შემცირდა რამაც ეკონომიკური ზრდის ტემპი კიდევ უდრო დიდი პროცენტით შეამცირა ვიდრე განვითარებად ქვეყნებში, მაგრამ ალტერნატიულად რა მოხდა განვითარებად ქყვეყნებში? განვითარებად ქვეყნებში კრიზისის თავის თავზე აღება ეკონომიკებმა ვერ შეძლო ან თუ შეძლო ძვირად დაუჯდა, ამიტომ მთარვრობებს მოუწიათ არჩევანის გაკეთება, ეკონომიკა თუ ხალხი? განვითარებულმა ქვეყნებმა ბრძოლის ფარად ეკონომიკა გამოიყენეს, მაგრამ იმ ქვეყნებში სადა ეკონომიკას კრიზისის საკუთარ თავზე აღება არ შეეძლო, მაღალი იყო დაინფიცირებისა და გარდაცვალების რიცხვი.

ეკონომიკური ზრდის ტემპები შეგვიძლია დავყოთ ოთხ ჯგუფად, მათ შორის სამი, როცა მთავრობა არ ერევა, ან ერევა მაგრამ გავლენას ვერ ახდენს მოვლენებზე (თავისუფალი ბაზრის შემთხვევა) და მეოთხე როცა მთავრობას შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგებზე.

პირველი სამი შეგვიძლია დავალგოთ შემდეგნაირად უკეთესიდან უარესისკენ:

სქემა 1



ხოლო მეოთხე შემთხვევას მათ ვერ შევადარებთ, რადგან ის უფრო პრაქტიკული, რეალისტური შემთხვევაა და ამიტომ სხვა „ლიგას“ მიეკუთვნება, ესაა ტალღისებური შემთხვევა როცა მთავრობას შეუძლია სტიმულირებით, აინაზღაუროს დანაკარგი ეკონომიკურ ზრდაში.

მაგალითისთვის იდეალური შემთხვევა ინდოეთის GDP:

დიაგრამა 14

ინდოეთის GDP-ის ზრდა



საერთაშორისო ასპექტები

აუცილებელია გავითვალიწინოთ რომ თითოეული ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირებაში დანარჩენ ქვეყნებსაც შეაქვს წვლილი, განსაკუთრებით გლობალიზების ეპოქაში სადაც საერთაშორისო ვაჭრობისდონე არნახულ ნიშნულზეა და კიდევ იზრდება, ასევე მაშინ როცა იმდენად განვითარდა ციფრული სამყარო, რომ ადამიანის ურთიერთობებში ქვეყნების საზღვრები პრაქტიკულად გაფერმკრთალდა და რიგ შემთხვევებში წაიშალა კიდეც.

მაგალითად ჟურნალ ეკონომისტის კვლევაში ჩანს თურა გავლენა მოახდინა ბანგლადეშმა ამერიკასა და ევროპაზე და თუ როგორ არიან გადაჯაჭვული ქვეყნები ერთმანეთზე, რის გამოც თავის მხრივ რთულდება გამოთვლით პროცედურების ჩატარება:

მაგალითად თუ აშშ-ში იყიდებოდა შარვალი, რომელსაც ეწერა დამზადებულია ბანგლადეშში, მისი ნაწილები მზადდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში, ჩინური ქარხნები ამზადებდა ღილებს და ელვა შესაკრავებს მაგრამ კრიზისის გამო ექპორტზე ვეღარ გაიტანა ბანგლადეშში, ამის გამო ბანგლადეშის სამკერვალოებმა უარი უთხრეს ინდურ

ტექსტილის მწარმოებლებს შეკვეთების მიღებაზე, რამაც ინდოელ, პაკისტანელ, მონღოლ და ტაილანდელ ძაფის მწარმოებლებს შეუწყვიტა შემოსავლის წყარო და ფერმები სადაც სპეციალური მცენარე მოჰყავდათ დაიხურა, გაიყიდა ან გამოუსწორებელი ზარალი მიადგა, შედეგად კი მივიღეთ ის რომ აშშ-ში ტანსაცმლის გაყიდვები 2020 წლის მონაცემებით 73%-ით შემცირდა რის გამოც ბანგლადეშმა მხოლოდ 6 თვეში $3,2მლრდ-ის ზარალი ნახა.

ამერიკული ტანსაცმლის ბაზარი კი იმავე ფორმისა და სტრუქტურის აღარასდროს იქნება რადგან, მაგალითად ესპანური ტანსაცმლის მწარმოებელი და მსოფლიო გიგანტი კომპანია ზარა მრავალი წლის განმავლობაში ვეღარ გახსნის დახურლ საწარმოებს ინდოეთში და ვერც გადაიტანს არსებულ საწარმოებს აზიის რომელიმე სხვა ქვეყანაში, თვითღირებულების შესამცირებლად, იაფი მუშახელის გამო, რადგან ერთი ცალი მაისურის ან შარვლის საწარმოებლად საჭირო ეკონომიკური ციკლი საშუალოდ 6 თვე გრძელდება (თანხის გადარიცხვა, საწარმოს აშენება, ტვირთის გადაზიდვა, ტანსაცმლის დამზადება, ტანსაცმლის უკან ტრანსპორტირება, დახლებზე განთავსება, გაყიდვა, მოგების მიღება.) ხოლო როცა ზარა შეძლებს დაუბრუნდეს იმავე ეკონომიკურ სტრუქტურას, რასაც 2-4 წელი დასჭირდება, ბაზარზე უკვე სრულიად სხვა ვითარება იქნება. და ეს ეხება მთელ დარგში ყველა საწარმოს, და მთელ ქვეყანაში ყველა დარგს[1].

დამატებითი საკითხები რასაც მაკროეკონომიკურმა თეორიებმა უნდა გასცეს პასუხი

რომელი ქვეყნების ეკონომიკა აღმოჩნდა კოვიდ კრიზისის მიმართ ყველაზე დაუცველი?

რა გავლენა ექნება კრიზისს სამუშაო ბაზარზე იმ ადამიანებისთვის ვინც განათლებას 2020-2021 წლებში იღებს?

პოსტ კრიზისულ სიტყუაციაში რა ფორმით ჩამოყალიბდება დისტანციური და ონლაინ სწავლების ინსტიტუტები და რა გავლენას იქონიებს ეს ჯერ განათლების სექტორზე და შემდგომ სამუშაო ბაზრის სტრუქტურაზე?

აქვს თუ არა გავლენა კრიზისის წარმომშობ ფაქტორებს, ამ კრიზისის აღმოსაფხვრელად გატარებული პროტექციონისტული პოლიტიკის ეფექტიანობაზე?

დასკვნა

კრიზისის შედეგები თეორიული კომპონენტების მიხედვით განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ერთნაირია, მაგრამ მათ უწევთ აირჩიონ განსხვავებული გზები კრიზისთან საბრზოლველად.

განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ ეკონომიკა გამოიყენონ როგორც ფარი კრიზისულ სიტყუაციებში და დაიცვან მოსახლეობა, რისი საშუალებაც განვითარებად ქვეყნებს ნაკლებად აქვთ და შედეგად უწევთ დიდი ადამიანური დანაკარგის მიღება.

მიუხედავად იმისა რომ კრიზისის პიკი მთელ მსოფლიოში თითქმის უკვე დაძლეულია, სრული სურათის დასანახად ჯერ საკმარისი დრო მაინც არ გასულა რადგან არსებობს ფუნდამენტური ეკონომიკური ფაქტორები რაც დროში დაუყონებლივ ცვლილებას ვერ ახდენს ეკონომიკაზე და ამიტომ საჭიროა ორ წელზე მეტი შედეგების დასანახად.

[1] წყარო: https://www.youtube.com/watch?v=KJhlo6DtJIk

მაკროეკონომიკურ პოლიტკას არ შეუძლია მოკლევადიან პერიოდში რისკებისა და დანაკარგების შემცირება ამიტომ რეკომენდირებულია გრძელვადიან პერიოდში წინასწარ შემუშავებული სამოქმედო გეგმა და რესურსების რეზერვების შექმნა.

ეკონომიკური სტრუქტურის მაკროეკონომიკური დეტერმინანეტების ფორმირებისთვის კრიზისის დროს მნიშვნელობა არ აქვს ქვეყანა განვითარებულია თუ განვითარებადი, შედეგი მაინც დადგება, მთავრობებს მხოლოდ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მოვლენების მოცულობაზე, ისიც განსაზღვრული ნორმით.

არსებობს ოთხი შემთხვევა თუ როგორ რეაგირებენ ქვეყნის ეკონომიკები შოკებზე, მათშორის სამი შემთხვევაა როდესაც თავისფალი ბაზრის ფუნქციონირებაში მთავრობა არ ერევა და მეოთხეა როდესაც მთავრობას ეკონომიკის სტიმულირებით შეუძლია „აინაზღაუროს“ ეკონომიკური დანაკარგი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სტიმულირების მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა თითოეული ქვეყნისთვის. https://www.imf.org/en/Topics/imf-and-covid19/Policy-Responses-to-COVID-19
2. კოვიდ ვითარება თითოეულ ქვეყანაში. https://www.worldometers.info/coronavirus/
3. ეკონომიკური მონაცემები თითოეული ქვეყნისთვის. https://www.theglobaleconomy.com/
4. Macroeconomics 6th edition, Olivier Blanchard, MIT

გარემოს დაცვითი ღონისძიებებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების კვლევა

ანა ბეშიძე
II კურსის სტუდენტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი ნანა ოქრუაშვილი
ასოცირებული პროფესორი

ადამიანის ერთ-ერთი მთავარი უფლებაა ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრება, ამიტომ დროთა განმავლობაში გარემოს დაცვას უფრო და უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა. საზოგადოების დაუდევარმა და გაუფრთხილებელმა ქმედებებმა გარემოსთან მიმართებაში გამოიწვია ის, რომ 21-ე საუკუნეშიც კი უამრავ ქვეყანას არ აქვს სასმელი წყალი და სუფთა ჰაერი. ამ ფაქტების გაანალიზების შემდეგ კომპანიებმა და სახელმწიფოებმა გარკვეული ცვლილებები შეიტანეს თავიანთ საქმიანობაში. მათ დაიწყეს ისეთი გზების შემუშავება, რომელთა საშუალებითაც მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილებას გარემოს დაბინძურების გარეშე შეძლებდნენ. 2015 წელს გაეროს წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განმსაზღვრელ დოკუმენტზე, რომლის 5 ძირითადი მიზნიდან ერთ-ერთი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლაა. დღესდღეობით, ვერ შეხვდებით მსოფლიოში ცნობილ ისეთ კომპანიას, რომელიც გარემოს დაცვით მოძრაობაში ჩართული არ არის, იქნება ეს ეკო-მეგობრული პროდუქტის დამზადება და გაყიდვა, თუ შესაბამისი რეგულაციის, კანონის დაცვა. ორგანიზაციების მთავარი მიზანი მომხმარებელთა ერთგულებაზე და მათთან გრძლევადიანი ურთიერთობების დამყარებაზეა დაფუძნებული. ეს ყველაფერი კი გარემოს დამცავი ღონისძიებების გატარების გარეშე შეუძლებელია, რადგან მომხმარებელთა ინფორმირებულობის დონე გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებით იზრდება. მსოფლიოში ეკო-მეგობრული პროდუქტების გამოყენება ერთგვარ ტრენდადაც იქცა. გარემოს დაცვით ღონისძიებებში ჩართულობას ზოგიერთი კომპანია სოციალური იმიჯის ასამაღლებლადაც კი იყენებს.

მსგავსი ტენდენციები შეინიშნება საქართველოშიც. ჯერ კიდევ 1989 წელს შეიქმნა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წესდება და დღეისათვის მესამე მოსმენით უკვე მიღებულია კანონპროექტი გარემოს დაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ. კანონის მიზანია გარემოზე ზიანის მიყენების საკითხების სამართლებრივი რეგულირება, „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად. თუმცა იმის მიუხედავად, რომ ფიზიკური ან იურიდიული პირი გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, ვალდებულია ზიანი თავადვე აანაზღაუროს, დღესდღეობით საქართველოში მდგომარეობა მაინც მძიმეა. სურათს უფრო მეტად ამძიმებს 2012 წლის მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, რომლის მიხედვითაც საქართველო მეორე ადგილზეა ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის დონით 100000 მოსახლეზე, ჩრდილოეთ კორეის შემდეგ (www.who.int).

ერთი მხრივ, თითქოს საზოგადოების წევრების უმრავლესობა იაზრებს საკითხის სიმწვავეს და მიაჩნიათ, რომ აუცილებელია მოქმედება, როგორც სახელმწიფოს, ასევე ცალკეული კომპანიების მხრიდან, თუმცა საინტერესოა რეალურად რამდენად აქცევენ ყურადღებას კომპანიების მიერ გარემოს დაცვითი ღონისძიებების გატარებას და ახდენს თუ არა ეს ფაქტორი გავლენას მომხმარებლებზე მყიდველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მოცემული კვლევა.

კვლევის ჩატარების მიზნით გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. პირველ ეტაპზე მეორადი ინფორმაციისა და ფოკუს ჯგუფების ორგანიზების საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ ჰიპოთეზები, რომელთა ჭეშმარიტების დადასტურება მოხდა რაოდენობრივი კვლევის, კერძოდ კი ანკეტური გამოკითხვის, საფუძველზე. ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულია შემდეგი ჰიპოთეზები:

H1:რმოსახლეობას აწუხებს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა გარემოს სისუფთავის კუთხით.რ

H2: მომხმარებლები დადებითად არიან განწყობილნი გარემოს დაცვით მოძრაობაში ჩართული კომპანიების მიმართ.რ

H3: გარემოს დაცვითი მოძრაობის შესახებ ინფორმაციის აქტიური გავრცელება ხელს უწყობს გაყიდვების გენერირებას.

H4: გარემოს დაცვის მიზნით მკაცრი რეგულაციების გატარება გაზრდის პროდუქტზე ფასს.

ონლაინ გამოკითხვის შედეგად 150 რესპონდენტის პასუხი დაფიქსირდა 20 დახურულ კითხვაზე. რესპონდენტთა უმრავლესობა, 61% მდედრობითი სქესის წარმომადგენელი აღმოჩნდა. ფოკუს-ჯგუფის ძირითადი ნაწილი მოსწავლეებისგან და სტუდენტებისგან შედგებოდა. ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც მომავალში ამ საქმიანობით აპირებენ მოღვაწეობის გაგრძელებას მატულობს, აქედან გამომდინარე მათი აზრი მნიშვნელოვანი იყო ამ კვლევისთვის. გამოკითხულთა 40% 16-19 წლის ახალგაზრდები იყვნენ, 57% 20-24 წლის, ხოლო 3% 25 წლის და მეტი.

როგორც მოსალოდნელი იყო, კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებლები კომპანიების მხრიდან გარემოსდაცვით ღონისძიებებში ჩართულობას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ამას გამოკითხულთა 85% ადასტურებს, 12% მიიჩნევს, რომ ეს არც ისე მნიშვნელოვანია და 3% თვლის, რომ ეს საერთოდ არაა მნიშვნელოვანი (იხ.დიაგრამა 1), ამასთან ერთად რესპონდენტთა 93% თვლის, რომ გარემოს დაბინძურება მათი პირადი პრობლემაცაა, რაც დამაიმედებელი მაჩვენებელია მომავლისთვის. (იხ.დიაგრამა2)

ასეთი დაინტერესების მიუხედავად, გამოკითხულთა მხოლოდ 26% ითვალისწინებს ყოველთვის კომპანიის ჩართულობას გარემოს დაცვით საკითხებში, 63% იშვიათად, ხოლო 11% არასდროს (იხ.დიაგრამა 3). თუმცა, კვლევის საფუძველზე შიძლება, ითქვას რომ ამის მიზეზი კომპანიების მიერ არასაკმარისი რეკლამირებაა გარემოს დაცვითი ღონისძიებების შესახებ, რადგან რესპონდენტთა მხოლოდ 15% აღნიშნავს, რომ მსგავსი რეკლამები ხშირია, 71%-ის აზრით იშვიათია, ხოლო, 14%-ს თითქმის არ ხვდება (იხ.დიაგრამა 4). მსოფლიოში კი მსგავსი რეკლამების შექმნასა და განთავსებაზე სხვადასხვა სოციალურ სივრცეში დიდი რაოდენობით რესურსი იხარჯება. მათ დადებით გავლენას კი მომხმარებლებზე მრავალი მსოფლიოს წამყვანი კომპანია ადასტურებს.



აქედან გამომდინარე, საინტერესო იყო ქართველი მომხმარებლები რა სახის ინფორმაციას ფლობდნენ ქართული კომპანიების მიერ გატარებულ გარემოს დაცვით ღონისძიებებზე. რესპონდენტებმა შესაბამის კითხვებზე გასცეს პასუხები, საიდანაც გამოვლინდა, რომ მათი 68% საერთოდ არ ფლობს ასეთი კომპანიების შესახებ ინფორმაციას ან მხოლოდ 1-2-ის შესახებ სმენია. ჩამოთვლილი ქართული მსხვილი კომპანიებიდან კი 14%-ს სმენია საქართველოს ბანკის ჩართულობის შესახებ, 12%-ს თიბისი ბანკის, 7-7%-ს კარფურის და საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის, 4%-ს გუდვილის, 3%- კულას, 1% ნატახტარის და 2 % სხვა კომპანიების შესახებ. ეს მაჩვენებლები ძალიან დაბალია იმ ფონზე, როდესაც მსოფლიო ბრენდები სწორედ ამგვარი ჩართულობის საშუალებით იქმნიან იმიჯს საზოგადოებაში. კვლევითაც დადასტურდა, რომ მომხმარებლებთა 71% დადებითად არის განწყობილი მსგავსი კომპანიების მიმართ და 76% თვლის, რომ ამგვარი ღონისძიებების გატარებით ორგანიზაციები სოციალურ პასუხისმგებლობას იჩენენ.

ცნობილია, რომ გარემოს დაცვითი ღონისძიებების გატარება გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული და კომპანიებისთვის ეს მიმზიდველი სულაც არაა, ამიტომ აუცილებელი გახდა შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების შემოღება. დღეისათვის უკვე მიღებულია კანონი, რომელიც ძალაში ჯერჯერობით არაა შესული და რომლის მიხედვითაც საწარმოები შესაბამისად დაჯარიმდებიან გარემოსთვის მიყენებული ზარალისთვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 54% სკეპტიკურადაა განწყობილი არსებული კანონების მიმართ და თვლის, რომ ისინი საზოგადოებას მოსალოდნელი საფრთხეებისგან ვერ იცავს (იხ.დიაგრამა 5), შესაბამისად გამოკითხულთა 75% თვლის, რომ არსებული კანონების დაცვა მკაცრად კონტროლირებადი უნდა იყოს. (იხ.დიაგრამა 6)



მომხმარებელთა სკეპტიკური განწყობა იმითაც აიხსნება, რომ მიღებული კანონების მიუხედავად სტატისტიკურად 2019 წელს უამრავი კანონდარღვევა დაფიქსირდა. ატმოსფერული ჰაერის კანონმდებლობის-1104, წყლის კანონმდებლობის-254, ნარჩენების გარემოს დაბინძურების-1761, უნებართვო საქმიანობის-187 და სხვა (იხ.დიაგრამა 7). ამ მონაცემების ფონზე კი მეწარმეები დღესაც ითხოვენ ვადების გადაწევას და შესაბამისი სახსრების მოძიებამდე სამუშაო პროცესის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელებას. ამ მხრივ არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ძალიან დიდია, რადგან მათი აქტივობით უფრო ადვილია სასურველი გარემოს შექმნა.

დიაგრამა 7. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობების დარღვევა საქართველოში. 2019წ.



წყარო:https://www.geostat.ge/ka/single-archive/3348#

ხარჯების გაზრდა მხოლოდ მწარმოებლებზე არ მოქმედებს, რადგან გაზრდილი ხარჯი გაზრდილ პროდუქტის ფასს ნიშნავს და მომხმარებლის მზაობა ამ კუთხითაც მნიშვნელოვანია, კვლევით გამოვლინდა, რომ 31% მზადაა ამ გაზრდილი ფასების გადასახდელად, 48% კი ნაწილობრივ, (იხ.დიაგრამა 8) ამგავრი მაჩვენებლები ქართული ბაზრისთვის მეტად დამაიმედებელია და ამით კომპანიებს სტიმული უნდა მიეცეთ.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის გარემოებები, რომლებიც რესპონდენტთა აზრით ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის გარემოს, ესენია: 57%-ის აზრით ტრანსპორტის გამონაბოლქვი; 19%-ის აზრით დაბინძურება პესტიციდებით და მძიმე მეტალებით, საშიში ქიმიური და რადიოაქტიური ნივთიერებები; 9%-ის აზრით ნიადაგის და წყლის დაბინძურება; 4%-ის აზრით წყლის და კანალიზაციი გაუმართავი სისტემები და 11%-ის აზრით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ერთად (იხ.დიაგრამა 9). აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზედაპირული წყლების შემცველობაში ამონიუმის აზოტი მაქსიმალურად დასაშვებ ზღვარს აჭარბებს და ეს სწორედ გაუმართავი საკანალიზაციო სისტემების დამსახურებაა. ჩამდინარე წყლების გამწმენდი მხოლოდ 3 შენობა ფუნქციონირებს. რაც შეეხება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას, რესპონდენტთა მოლოდინები მცდარი არაა და 2013 წლიდან 2019 წლამდე ატმოსფერულ ჰაერში ნახშირორჟანგის მაჩვენებელი 95000 ტონიდან 105000 ტონამდეა გაზრდილი (www.mepa.gov.ge).





თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ყველაფრის მიზეზი ისევ და ისევ საზოგადოების წევრები არიან და მათი ჩართულობა უაღრესად მნიშვნელოვანია. სახელმწიფოსთან და კანონთან ერთად ადამიანების თვითშეგნების როლი გადამწყვეტია. როგორც უკვე აღვნიშნეთ ახალგაზრდებში ამ საკითხისადმი დაინტერესება უფრო და უფრო იზრდება და ეს კვლევებმაც აჩვენა. თუმცა, საკმაოდ დიდი ნაწილი 36% ვერ ახერხებს გარემოს დაცვით ღონისძიებებში ჩართვას (იხ.დიაგრამა 10), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კომპანიების მხრიდან არ თვლიან საჭიროდ გარემოს დაცვითი მოძრაობების ჩატარებას.



კვლევის ფარგლებში რამდენიმე დებულებაზე რესპონდენტებმა თავიანთი აზრიც დააფიქსირეს:

1. "კომპანიაში გარემოს დაცვისადმი ჩატარებული ღონისძიებები გაზრდის პროდუქტის ფასს." - უმრავლესობა ამ დებულებას უფრო მეტად ეთანხმება (იხ. დიაგრამა 11).

2. „შესაძლებელია ერთდროულად გარემოს დაცვაზე ზრუნვა და მოგების მიღება." ამ დებულებას უმრვალესობა ეთანხმება (იხ.დიაგრამა 11), რაც ამტკიცებს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, რომ რესპონდენტთა პასიურობა არ ნიშნავს იმას, რომ კომპანიებისგანაც იგივეს მოელიან.

3. „გარემოს დაცვითი საკითხების მოგვარება უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ეკონომიკის განვითარება." ამ დებულებას უფრო მეტი მოწინააღმდეგე ყავდა (იხ.დიაგრამა 11), თუმცა უკვე დადასტურდა,რომ გაზრდილი ფასებისთვისაც დიდი ნაწილი არის მზად. ამასთან, ეკონომიკის განვითარება და გარემოს დაბინძურებაზე ზრუნვა შესაძ-

ლებელია ერთდროულად. ამას ევროპის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყნის, გერმანიის მაგალითიც მოწმობს, რომლის მოსახლეობა 21-ჯერ აღემატება საქართველოსას, თუმცა ჰაერის დაბინძურების საშუალო მაჩვენებლით საქართველო (68 AQI) 1,6-ჯერ უსწრებს გერმანიას (42 AQI) [www.iqair.com].

დიაგრამა 11. რესპონდენტთა აზრი გარემოს დაცვითი საკითხების მოგვარების შესახებ



კვლევის შედეგად, რამდენიმე დასკვნისა და რეკომენდაციის ჩამოყალიბება შევძელით. კერძოდ:

- მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი აღიარებს, რომ გარემოს დაბინძურება დიდ ზიანს აყენებს მათ მომავალსა და ჯანმრთელობას, ამის მიუხედავას რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი იშვიათად ითვალისწინებს კომპანიის ჩართულობას გარემოს დაცვით მოძრაობაში.
- ამავდროულად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას იშვიათად ხვდება ქართული კომპანიების მიერ შექმნილი რეკლამები, რომლებიც პროპაგანდას უწევს მათ ჩართულობას გარემოს დაცვით ღონისძიებებში.
- რესპონდენტთა უმრავლესობა სკეპტიკურადაა განწყობილი არსებული კანონების მიმართ და თვლის, რომ აუცილებელია რეგულაციების გამკაცრება.
- მომხმარებელს ჯერა, რომ შესაძლებელია ერთდროულად მოგების მიღება და გარემოზე ზრუნვა.
- სახელმწიფო, ბიზნესი და საზოგადოება ერთმანეთში აქტიურ კომუნიკაციას უნდა ახორციელებდნენ. ამასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი უნდა დავაკისროთ მედიას, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ მხარეებს შორის აქტიური კომუნიკატორია.
- ასევე აუცილებელია მწვანე მარკეტინგის როლის გაზრდა კომპანიებში და მათი მხრიდან ეკო-მეგობრული პროდუქტების პოპულარიზაცია, რადგან მომხმარებელთა ცნობიერება შესამჩნევად იზრდება და აუცილებელია ტენდენციების გათვალისწინება, ამასთან რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მზადაა მოსალოდნელი მაღალი ფასის გადასახდელად.
- რაც შეეხება ხარჯების გაზრდას, კომპანიებს შესაძლოა მოეჩვენოთ, რომ გარკვეული დანადგარები საკმაოდ ძვირია და ეს დამატებით ხარჯია, თუმცა ახალი ტექნოლოგიები პროდუქტის ნაკლები ხარჯით დამზადების საშუალებას იძლევა და ამით შესაძლოა მომხმარებელთა ხარჯების გაზრდაც ავიცილოთ თავიდან. შედეგად მივიღებთ

მეტ ჯანსაღ პროდუქტს და სუფთა გარემოს. ასეც რომ არ იყოს, მიუღებელია გარემოს დაბინძურების სანაცვლოდ ხარჯების შემცირება.

- სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია რეგულარული მონიტორინგის ჩატარება საწარმოებში და კომპანიებში, რათა კანონმდებლობის დარღვევათა რიცხვის შემცირება შევძლოთ.
- საზოგადოებრივი მოძრაობების ჩართულობის წახალისება ამ კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან მათი ჩართულობა დიდ როლს თამაშობს გარემოს დაცვის საკითხებში.
- ინვესტიციების ზრდა გარემოს დაცვითი რეგულაციებისთვის ფეხის ასაწყობად დადებითად იმოქმედებს, როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ განვითარებაზე.
- სასწავლო დაწესებულებებში შესაბამისი განათლების მიღებით, ახალგაზრდების უფრო დიდი ნაწილი იქნება გათვითცნობიერებული ამ საკითხებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოდუა ნ., მღებრიშვილი ბ., მარკეტინგის საფუძვლები, გამოცემა „უნივერსალი„ თბ., 2009
2. თოდუა ნ., ეროტაძე ე., მარკეტინგული კვლევის პრინციპები, თბ., 2013
3. თოდუა ნ., საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა,
4. მონოგრაფია, გამოცემა „უნივერსალი„ თბ., 2012
5. კოტლერი ფ., არმსტრონგი გ.. მარკეტინგის საფუძვლები. მე–14 გამოცემა, თარგმანი ინგლისურიდან. თბ., 2015
6. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
7. http://www.eiec.gov.ge/Home.aspx
8. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
9. https://mepa.gov.ge/Ge/Laws
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
11. https://www.geostat.ge/ka/single-archive/3348#
12. მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში
13. ზ. გ. გოიშვილი, მ. თ. კილაძე, მ. ს. თანანაშვილი, "მწვანე ეკონომიკა და საქართველოს პოტენციალი"
14. საქართველოს პარლამენტი
15. http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/garemos-dacvisa-da-bunebrivi-resursebis-komiteti/sakomiteto-mokvleva/sakomiteto-mokvlevis-shesaxeb.htm
16. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (2017-2021)
17. 3rd Economics, Business and Organization research conference
18. “The importance of a green marketing strategy in brand communication-M.Coutinho multi-brand car dealer case in northern Portugal”
19. https://www.iqair.com/germany

უმაღლესი სასწავლებლის ციფრული ტრანსფორმაცია - ციფრული უნივერსიტეტი

ლუკა გაზდელიანი
III კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი თეა მუნჯიშვილი
ასოცირებული პროფესორი

ციფრული ეკონომიკა ინდუსტრიული რევოლუციების ჭრილში

მოგეხსენებათ, კაცობრიობის ისტორიას ეკონომისტები ხშირად განიხილავენ ინდუსტრიული რევოლუციების ჭრილში. უფრო კონკრეტულად გამოყოფენ ხუთ ინდუსტრიულ რევოლუციას, რომელთაგან პირველი სამი უკვე გავიარეთ. ინუსტრია 1.0-სთვის შესაბამისად დამახასიათებელი იყო მექანიზაციის წარმოშობა. შემდგომში ამას მოჰყვა ენერგიის ალტერნატიული წყაროების - ელექტროობის, ბუნებრივი აირისა და ნავთობის - აღმოჩენა ინდუსტრია 2.0-ის ეტაპზე. ხოლო ინდუსტრია 3.0-ის დროს ათვისებულ იქნა კიდევ ერთი ენერგიის წყარო - ბირთვული ენერგია. და რა თქმა უნდა დაიწყო კომპიუტერების ეპოქა, რამაც, თავის მხრივ, რობოტიკას ჩაუყარა საფუძველი. ამას შემდეგ მოსდევს თანამედროვე ეპოქა ანუ ინდუსტრია 4.0, რომელმაც დასაბამი მისცა ყველასათვის ცნობილ რესურსს - ინტერნეტს. სწორედ ინტერნეტის წყალობით გახდა შესაძლებელი წინა პერიოდში შექმნილი კომპიუტერების, რობოტების, მანქანების ერთმანეთთან დაკავშირება, ანუ ნივთების ინტერნეტის (Internet of Things) შექმნა. ამავე ეპოქის ნაწილია ციფრული ეკონომიკაც. როგორც ხედავთ, ციფრულ ეკონომიკას არც ისე დიდი ისტორია გააჩნია, რომელიც მოიცავს ციფრული ეკონომიკის, როგორც ტერმინის, წარმოშობასა და მასთან დაკავშირებული ნაშრომების შექმნას, რამაც მოგვიყვანა ამ ტერმინის თანამედროვე გაგებამდე. დღეს ციფრული ეკონომიკა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ ეკონომიკურ აქტივობებს მთელ მსოფლიოში, რომლებიც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (Information & Communication Technology - ICT) მეშვეობით ხორციელდება. მკვლევართა აზრით, სწორედ ციფრული ეკონომიკის განვითარება მიგვიყვანს ინდუსტრია 5.0-მდე, რაც გულისხმობს ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის ერთმანეთთან კავშირს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ ზოგადად ინდუსტრია 4.0 ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, მნიშვნელოვანი ეტაპია.

ინდუსტრია 4.0 სრულად დანერგვა სახელმწიფოში მარტივი სულაც არ არის. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს პროცესი უნდა დაიწყოს ქვეყანაში ციფრული პლატფორმების შექმნის გზით, რასაც ორი მიზეზი აქვს: 1) მესამე პირების მიერ ინტერნეტ პლატფორმებზე განთავსებული ყველა ტიპის საქონლისა და მომსახურების კლასიფიკაცია და აღრიცხვა. 2) ციფრული პლატფორმის საშუალებით მხარეების ერთმანეთთან დაკავშირება საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვის მიზნით.

ციფრული პლატფორმის დანერგვა ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე ფუნქციონირებად ბიზნესებს აძლებს საშუალებას უპირატესობას მიაღწიონ შემდეგ საკითხებში:

პროდუქტიულობა - იწარმოება მეტი საქონელი ნაკლებ დროში

მოქნილობა - შესაძლებლობა, რომ სწრაფად მივმართოთ კომპანიის რესურსები ერთი სფეროდან მეორეზე

უსაფრთხოება - ტექნიკის, სენსორების, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, რაც დაიცავს ადამიანთა სიცოცხლეს

მწვანე ინდუსტრია - განახლებადი ენერგიის გამოყენება და ასევე ტექნიკის თვითგამორთვის ფუნქცია ენერგიის დაზოგვის მიზნით

კონკურენტუნარიანობა - დაბალი დანახარჯები, ინოვაციები, ეკოლოგიურობა.

ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსი



სახელმწიფოს მუდმივად შეუძლია აკონტროლოს რამდენად სწრაფად მიმდინარეობს ციფრული ეკონომიკის დანერგვა ქვეყანაში. ამისათვის მრავალი მოდელი უკვე არსებობს, თუმცა ყველაზე თვალსაჩინო, ამ შემთხვევაში, ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსია. აღნიშნული ინდექსი ეფუძნება 5 სხვადასხვა მაჩვენებლის პროცენტულ კონცენტრაციას. ეს მაჩვენებლებია: დაკავშირებადობა, ციფრული უნარ-ჩვევები, ინტერნეტის გამოყენება, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია და ციფრული საზოგადოებრივი მომსახურება. პირველი სამი ელემენტი ძირითადად ინტერნეტის გავრცელებასა და მისი გამოყენების ცოდნაზეა დამოკიდებული, რითაც საქართველო სხვა ქვეყნებს არ ჩამოუვარდება (თუ არ ჩავთვლით იმ რამდენიმე სახელმწიფოს, რომლებიც 5G ინტერნეტის პრივილეგიით სარგებლობენ). რაც შეეხება დანარჩენ ორს, ეს უფრო მრავლისმომცველი ელემენტებია, რის გამოც თითოეული ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია

ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია მარტივი ენით გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას ბიზნესში. აღნიშნულის წარმატებით განხორციელება ბიზნესის ყველა ასპექტზე მნიშვნელოვან დადებით გავლენას მოახდენს. მოდით განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია პირველ რიგში ზემოქმედებს მეწარმეობაზე და გარდაქმნის მას ციფრულ მეწარმეობად. ეს გარდაქმნა საშუალებას იძლევა, რომ: მოვიძიოთ მომხმარებლები უფრო მარტივად, შევთავაზოთ მათ პროდუქტი ახალი გზებითა და დიზაინით, აწარმოონ პროდუქტი უფრო დაბალი დანახარჯებით, მოიპოვოს უფრო დიდი კონკურენტული უპირატესობა, შეძლოს რისკების ეფექტურად მართვა, გამოიყენოს სხვებთან თანამშრომლობის ახალი გზები.

ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა ადამიანური რესურსების მართვის სფეროზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. მიუხედავად იმისა, რომ უფრო და უფრო მეტად შეინიშნება კომპანიებში რიგითი მუშების ჩანაცვლების ტენდენცია ხელოვნური ინტელექტის მქონე დანადგარებით, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანები ორგანიზაციაში საჭირონი აღარ არიან. პირიქით, იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომ თანამდებობის პირებს უფრო მეტი ტექნოლოგიური უნარ-ჩვევის ქონა მოეთხოვებათ, ვიდრე ადრე. ასეთი პირობებში, ვირტუალური ადამიანური რესურსები გვთავაზობს შემდეგ უპირატესობას:

ელექტრონული მოწვევა - რაც საშუალებას იძლება უფრო მეტი კანდიდატი განვიხილოთ თანამდებობაზე დასანიშნად, და რაც მთავარია ნაკლებ დროში.

ადამიანური რესურსების საინფორმაციო სისტემები - იგულისხმება, რომ სისტემაში მუდმივად იქნება საკადრო რეზერვი - ინფორმაცია წარსულში გამოჩენილი კანდიდატების შესახებ, რომელთაც თავის დროზე უარი ეთქვათ სამსახურში მიღებაზე, მიუხედავად იმისა რომ კვალიფიკაცია მათ ჰქონდათ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს სისტემა მხოლოდ ერთი კომპანიის საკადრო ისტორიას არ მოიცავს, რაც იძლევა საშუალებას სხვა კომპანიაში წარმოდგენილი კანდიდატებიც განვიხილოთ ჩვენს კომპანიაში თანამდებობაზე დასანიშნად.

ვირტუალური ტრენინგი - როგორც ვთქვით, მაღალი თანამდებობის პირს გარდა პროფესიული უნარ-ჩვევებისა სჭირდება სხვა უამრავი უნარი, რომელთა ნაწილიც კომპიუტერთან მუშაობას გულისხმობს. ასეთი ჩვევების გამომუშავება შეიძლება ონლაინ ტრენინგებითაც.

ყველაზე დიდი ცვლილება ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად მენეჯმენტმა განიცადა. თავდაპირველად ეს გამოიხატა ტრადიციული მენეჯმენტის ციფრულ მენეჯმენტად გარდაქმნაში. ეს ცვლილება მოიცავს შიდაორგანიზაციული ურთიერთობის გამარტივებას, რაც გულისხმობს, როგორც ერთი ფილიალის შიგნით კომუნიკაციის სიმარტივეს, ასევე ორ გეოგრაფიულად დაშორებულ ფილიალს შორის მუდმივ კავშირს. ეს ფაქტორი განსაზღვრავს იმას, რომ მენეჯერებისთვის კონტროლის განხორციელება უფრო მარტივი იქნება. ამასთან ერთად, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება მენეჯერს აძლევს უფრო ზუსტი პროგნოზების გაკეთების საშუალებას, რაც თავის მხრივ კომპანიის სწრაფი ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა.

რაც შეეხება ციფრული მენეჯმენტის გარდაქმნას ვირტუალურ მენეჯმენტად, ამაში ალბათ უდიდესი წვლილი კოვიდ-19 პანდემიას მიუძღვის. დისტანციურ რეჟიმში მუშაობამ, მენეჯერები აიძულა ვირტუალურ გარემოში წარემართათ თანამშრომელთა საქმიანობა, რისთვისაც უმთავრესია ნდობის არსებობა დასაქმებულთა შორის და მუდმივად დასწრება ონლაინ შეხვედრებზე.

ბოლო მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ბიზნესის ციფრულ ტრანსფორმაციას ეხება არის მარკეტინგი. ციფრული მარკეტინგის პირობებში უფრო და უფრო მეტი კომპანია ცდილობს შესთავაზოს უმაღლესი ხარისხის მომსახურება კლიენტებს სახლიდან გაუსვლელად. ასეთ კომპანიებში შედის: ადგილზე მიტანის სერვისები, ონლაინ მაღაზიები, ინტერნეტ ბანკინგის აპლიკაციები, აპები ონლაინ შეხვედრებისთვის და ასევე ვებგვერდი კოვიდ-19 აცრაზე ჩაწერისთვის.

ელექტრონული მთავრობა

ამით დავასრულეთ ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის განხილვა. რაც შეეხება ციფრულ საზოგადოებრივ მომსახურებას, მისი განხორციელება სრულად დამოკიდებულია ელექტრონული მთავრობის არსებობაზე. eGovernment-ის არსებობის მთავარი უპირატესობა ის არის რომ გამარტივებულია ურთიერთობა საზოგადოების წევრებს შორის. რაც გულისხმობს: (სლაიდიდან). სახელმწიფოს მხრიდან იქმნება სხვადასხვა პორტალები geostat.ge, rs.ge და ა.შ. რაც უზრუნველყოს მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობას.

ციფრული სიმკვრივის ინდექსი

გარდა ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსისა, საკმაოდ ხშირად გამოიყენება ციფრული სიმკვრივის ინდექსიც. აღნიშნული ინდექსი გამოხატავს ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად მიღებული დამატებითი შემოსავლების ფონდის შეფარდებას მთლიან მშპ-თან და გვიჩვენებს მშპ-ის რა ნაწილს წარმოადგენ ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით მიღებული შემოსავლები. აღნიშნული ინდექსი ასევე გვაძლევს განმარტებას თუ რა კრიტერიუმები ამაღლებს პროდუქტიულობას ქვეყანაში. ესენია: ბაზრების შექმნა, მიწოდების საშუალებების განვითარება, საწარმოთა ფუნქციონირების ხელშეწყობა და ნებადართულობა.

ციფრული განათლების სისტემა და მისი უპირატესობები

დავუბრუნდეთ ისევ ელექტრონული მთავრობის საკითხს. ელექტრონულმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოება სხვადასხვა ციფრული მომსახურეობით. ეს შეიძლება მოიცავდეს ჯანდაცვას, ტურიზმს, დასაქმებას, ბიზნეს სექტორს და ა.შ. თუმცა ჩემი აზრით უფრო მნიშვნელოვანია განვიხილოთ რა დადებითი შედეგი შესაძლოა მოუტანოს ციფრული განათლების სისტემის დანერგვამ ქვეყანას. აღნიშნული სისტემა საშუალებას მისცემს სტუდენტებს, რომ თვითმოტივირებისა და თვითსწავლების საშუალებით განივითარონ სხვადასხვა უნარ-ჩვევები და გამოიყენონ სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობები, რომელსაც მათ ინტერნეტი სთავაზობს. გარდა ამისა, ეს ყველაფერი აამაღლებს სტუდენტთა პასუხისმგებლობის გრძნობას, რაც გამოიხატება პრინციპში „სტუდენტი სწავლობს და ასწავლის სტუდენტს“ - აღნიშნული გულისხმობს, სტუდენტები არამხოლოდ ლექტორებისგან არამედ საკუთარი კოლეგებისგანაც სწავლობენ. პანდემიის პირობებში ელექტრონული სწავლების განვითარებამ მიბიძგა იმისკენ, რომ საკონფერენციო მოხსენებაში განმეხილა უმაღლეს სასწავლებლებში ციფრული ტრანსფორმაციის საკითხი, რასაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე წარმოგიდგენთ.

ამჟამად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახეზეა მრავალი სხვადასხვა პორტალი, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სწავლება დისტანციურ რეჟიმში. ამ პორტალებს შორის არის ისეთებიც, რომლებზეც თსუ-ს სრული კონტროლი აქვს, მაგალითად lms.tsu.ge და e-learning.tsu.ge, და ისინიც, რომლებზეც თსუ-ს სრული კონტროლი არ აქვს - Zoom, Google Forms, bookwidgets.com, facebook.com. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია შეიქმნას ერთი პორტალი, მაგალითად ეს იყოს უკვე არსებული lms.tsu.ge, რომელიც ერთ სივრცეში გააერთიანებს ყველა საჭირო ინსტრუმენტს, როგორებიცაა: საგნების არჩევის სისტემა, სასწავლო და საგამოცდო განრიგების სიტემა, ონლაინ ლექცი-

ების/სემინარების ჩასატარებელი ვირტუალური ოთახები, ინტეგრირებული ონლაინ საგამოცდო ფორმა, სასწავლო მასალების ელექტრონული ბიბლიოთეკა.

განათლების სფეროში ცვლილებების შედეგები

შესაძლოა გაჩნდეს კითხვა: რატომ უნდა გავამახვილოთ ყურადღება ციფრული ტექნოლოგიების დანერგვაზე საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მაშინ როცა სხვა სფეროებში ამის გაკეთება ქვეყანას უფრო წინ წაწევს ეკონომიკურად. ამის მიზეზი არის გლობალური ინოვაციის ინდექსის მაჩვენებლები საქართველოში. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 2019-2020 წლებში საქართველომ 15 ადგილით უკან დაიხია ქვეყნების სიაში. ამის მიზეზი კი ყველამ ვიცით, რომ კოვიდ პანდემიაა. იმის გამო, რომ კოვიდ პანდემია საუკეთესო შემთხვევაში კიდევ რამდენიმე თვეს გასტანს, ჯერ კიდევ შეუძლებელია ბიზნეს სფეროს ხელახალი აღორძინება და მიმაჩნია რომ ეს სწორედ ის დროა, როცა ძალისხმევა უნდა მივმართოთ იქითკენ, საითაც ყველაზე ნათელია წარმატების გზა. სწორედ ასეთი გზაა, ჩემი აზრით, განათლება.





ელექტრონული სწავლების დანერგვის საგზაო რუკა

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რომ საქართველომ რაც შეიძლება სწრაფად გაიაროს განათლების ციფრული ტრანსფორმაციის ის გზა, რომელიც ბევრმა სხვა ქვეყანამ უკვე გაიარა. ეს პროცესი მოიცავს ეტაპებს:

ამბიცია - ინიციატივის გამოჩენა უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან.

დიზაინის შექმნა - ელექტრონული სწავლების პორტალის დიზაინი უნდა იყოს შესაბამისობაში მის მოთხოვნილებებთან რაც გულისხმობს: სისრულეს, სიმარტივეს, მოხერხებულობას სხვა.

გადაწყვეტილების მიღება - გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს ელექტრონული სისტემის აუცილებლობაზე. უნდა გაეცეს პასუხი კითხვებს: რა დაჯდება სისტემის შექმნა? რამდენად გაამარტივებს იგი სწავლის პროცესს? რა შედეგებს უნდა ველოდოთ დანერგვის შემდეგ?

დანერგვა - ამ ეტაპიდან იწყება სისტემის ფაქტობრივი ფუნქციონირება ციფრული სამეთვალყურეო კომიტეტის ხელმძღვანელობით.

ფუნქციონირება - ციფრული სამეთვალყურეო კომიტეტი მუდმივად აკონტროლებს სისტემის გამართულობას, სალექციო/სასემინარო შეხვედრების მიმდინარეობას, გამოცდების ჩატარების პროცესს და ა.შ.

კორექტირება - წინა ეტაპზე პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში, ციფრული სამეთვალყურეო კომიტეტი იწყებს აქტიურ მუშაობას მათ გადასაჭრელად.

დასკვნა და რეკომენდაციები

XXI საუკუნის მე-3 ათწლეული ჯერ მხოლოდ ახლა დაიწყო, თუმცა უკვე იგრძნობა, რომ ამ პერიოდში უნდა ველოდოთ გლობალური ციფრული ეკონომიკის მნიშვნელოვან და სწრაფ განვითარებას. ასეთ პირობებში აუცილებელია, რომ სახელმწიფომ სწორად შეაფასოს თავისი შესაძლებლობები. უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ქვეყანა ყველა სფეროში წარმატებული ვერ იქნება. ბუნებრივი თუ ადამიანური რესურსებით ღარიბი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, პრიორიტეტული უნდა გახდეს ციფრული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენება სხვადასხვა სფეროში, რომელთა შორისაც მე უპირატესობას ვანიჭებ განათლებას.

ჩემი რეკომენდაციაა, გავიზიაროთ სხვა ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც უკვე გაიარეს განათლების ციფრული ტრანსფორმაციის ეტაპი. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია შვეიცარია - ლიდერი სახელმწიფო ციფრული განათლების სფეროში. მისი სტრატეგია გამოირჩევა იმით, რომ ისინი ბრმად არ ენდნენ საგზაო რუკას, რომელიც ზემოთ წარმოვადგინე. დიდხნიანი ფიქრის შემდეგ შვეიცარიელმა ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ მხოლოდ ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა განათლებაში არაფერს მოგვცემს, თუ არ გავითვალისწინეთ ამ სფეროში ჩართული ადამიანთა შესაძლებლობები. ეს თავის მხრივ გულისხმობს მასწავლებელთა/ლექტორთა ტრენინგს, მოქნილი სილაბუსების შედგენას და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://ied.eu/project-updates/the-4-industrial-revolutions/
2. https://www.researchgate.net/figure/Digital-Economy-and-Society-Index-structure_fig2_325106114
3. https://www.learndigitalentrepreneurship.com/2019/02/16/what-is-digital-entrepreneurship/#:~:text=Digital%20entrepreneurship%20is%20a%20term,practice%2C%20theory%2C%20and%20education.
4. https://www.hrdconnect.com/2020/01/17/what-are-the-benefits-of-digital-hr/
5. https://www.researchgate.net/figure/Digital-Economy-and-Society-Index-structure_fig2_325106114
6. https://www.theasianschool.net/blog/what-is-the-digital-education-system-and-its-advantages-for-students/
7. https://www.slideshare.net/Planimedia/accenture-digitaldensityindexguidingdigitaltransformation
8. https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2020/ge.pdf
9. https://hospitalityinsights.ehl.edu/digital-education-transformation?_ga=2.155119736.1754914725.1621578958-632361995.1621578958
10. https://hospitalityinsights.ehl.edu/digital-transformation-switzer

მოგების გადასახადის რეფორმა და რეინვესტირების სტიმულები კომპანიებში

ქრისტინა მატოიანი
III კურსის სტუდენტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი ნატო კაკაშვილი
ასისტენტ პროფესორი

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის არსი და მნიშვნელობა

მოგების გადასახადის ესტონური მოდელი მთელი მსოფლიოს მასშტაბით უნიკალური მოდელია. რეფორმის ძირითადი არსი საკმაოდ მარტივია - მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება კომპანიებს წარმოექმნებათ არა მოგების მიღების, არამედ მისი განაწილებისას (დამფუძნებლების მიერ კომპანიიდან მოგების გატანისას). მოგებიდან გარკვეული ნაწილის რეინვესტირების შემთხვევაში კომპანიას არ ექნება მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება. ეს ხელს უწყობს სამომავლოდ საწარმოს ზრდას, ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარებას, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. (CEIC DATA, 2020)

მოგების გადასახადი 2017 წლამდე 15 პროცენტი იყო, რომელიც არ შეცვლილა ესტონურ მოდელზე გადასვლის შემდეგაც. თუმცა დაანგარიშება არის განსხვავებული, ვიდრე ეს ამ მოდელის დანერგვამდე იყო. აღნიშნული გადასახადის დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს:

- განაწილებული მოგება, რომელშიც შედის პარტნიორებზე ფულადი ან არაფულადი სახით განაწილებული დივიდენდი. ასევე საწარმოს მიერ ურთიერთდამოკიდებულ პირთან საბაზრო ფასისგან განსხვავებული რაიმე გარიგების დადება, რითიც შესაძლებელი იქნება მოხდეს ფულადი სახსრების გადინება კომპანიიდან.
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან.
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა.
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიცც აღემატება წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის ან ხარჯის 1%-ს. (მოგების გადასახადი, 2019)

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% და იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{დაბეგვრის ობიექტი}}{0.85} \times 15\%$$

ესტონეთში მოგების გადასახადის რეფორმამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და ფირმების მდგომარეობა. 2000 წლიდან 2015 წლამდე თითქმის 3,5-ჯერ გაიზარდა ესტონეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. გადასახადების შემცირებიდან, ანუ 2004 წლიდან 2008 წლამდე მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაორმაგდა, რაც საკმაოდ მცირე დროში კარგი შედეგია. 2008 წელს მსოფლიოში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა კი შედარებით შეამცირა ეკონომიკური ზრდა, რაც ბუნებრივი-

ცაა, რადგან ამ პერიოდში ეს ტენდენცია მთელ მსოფლიოში შეინიშნებოდა. გადასახადების შემცირებამ და ესტონური მოგების გადასახადის დანერგვამ ესტონეთში ხელი შეუწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდასაც. სწორედ აღნიშნულმა რეფორმებმა გახადა უფრო მიმზიდველი ესტონეთის ბიზნეს ბაზარი და გაზარდა უცხოური ინვესტიციების მოცულობაც. (CEIC DATA, 2020)

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დანერგვა საქართველოში და მისი ზეგავლენა

ყოველი ქვეყნის საგადასახადო კოდექსი მუდმივად ცვლილებებს განიცდის, რათა მაქსიმალურად მოერგოს მიმდინარე ვითარებებს და მოხდეს მისი გაუმჯობესება. საქართველოში ახალი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება 1991-1992 წლებში დაიწყო და მას შემდეგ არსებითი ცვლილება რამდენჯერმე განიცადა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2017 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში, რომელიც ეხებოდა მოგების გადასახადს და დაინერგა ე.წ. „—‡•”“›†‘ მოდელინ, რომელიც შეიქმნა ქართულ კანონმდებლობასთან შეთანხმებით და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. იგი განსხვავდება ესტონური მოდელისგან, თუმცა მთავარი პრინციპი იგივეა. (გელაძეიშვილი, 2019)

საქართველოში მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დანერგვის მიზანი იყო ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და შიდა ინვესტიციების ზრდა.

აღნიშნულმა რეფორმამ ზეგავლენა მოახდინა საქართველოს ბიუჯეტის ფორმირებაზე. საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლების უმეტესი ნაწილი ყოველწლიურად საგადასახადო შემოსავლებზე მოდის. 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებიდან 63% სწორედ გადასახადებს უკავია.

იმისათვის, რომ გავაანალიზოთ, თუ რა როლი ითამაშა მოგების გადასახადის ესტონური მოდელის რეფორმამ საქართველოს ბიუჯეტის ფორმირებაში, განვიხილავ 2 პერიოდს. 2017 წლამდე მოგების გადასახადის წილს სახელმწიფოს ბიუჯეტში და ესტონური მოდელის დანერგვის შემდგომ პერიოდს.

მოგების გადასახადის სიდიდე და მისი წილი საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლებში[1]

ცხრილი 1

წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
მოგების გადასახადი (მლნ. ლარი)	555	592	518	576	832	851	807	829	1025	1055
წილი საბიუჯეტო შემოსავლებში (%)	12	11	11	11	13	12	12	11	13	12

ცხრილში ვხედავთ, მოგების გადასახადს საბიუჯეტო შემოსავლებში საშუალოდ 12% უკავია 2007-2016 წლებში. ამ პერიოდში თითქმის 2-ჯერ გაიზარდა მოგების

[1] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მოგების გადასახადის სიდიდე, 2017 წელი. https://www.mof.ge/

გადასახადის რაოდენობა, მაგრამ მისი წილი დაახლოებით იგივე რჩებოდა საბიუჯეტო შემოსავლებში.

მოგების გადასახადის რაოდენობა 2017 წლიდან დღემდე საგრძნობლად არის შემცირებული 2016 წელთან შედარებით. 3 წლის განმავლობაში მოგების გადასახადის წილი ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლებში დაახლოებით 7-8% გახლდათ, რაც საკმაოდ დაბალი წინა პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. რაც შეეხება 2017-2019 წლებში მოგების გადასახადის ცვლილების დინამიკას თვეების მიხედვით, ყველაზე მაღალი მარტის თვეში გახლავთ, რადგან ზოგიერთი ორგანიზაციები (ბანკები, მიკროსაფინანსოები, სადაზღვევო კომპანიები) კვლავ ძველი მოგების გადასახადით იბეგრებიან, რომლის გადახდის ვალდებულებაც მარტის თვეში აქვთ, რაც იწვევს სახელმწიფოს შემოსავლების ზრდას აღნიშნულ პერიოდში.

მოგების გადასახადის ცვლილების დინამიკა 2017-2019 წლებში[1]

ცხრილი 2



	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
2017	14698	24184	220303	75725	57884	97284	54183	20439	52888	44323	32314	62331
2018	38755	36229	160685	51267	66198	44271	82023	27892	69050	51853	46496	61905
2019	62103	35491	181573	44218	71877	74811	90470	41057	72453	60458	54356	77421

2017 2018 2019

ესტონური მოდელის ფორმირების მთავარი მიზანი არ ყოფილა მოკლე პერიოდში სახელმწიფოსთვის შემოსავლების ზრდა. 2017 წლიდან საგრძნობლად შემცირდა სახელმწიფოსთვის მოგების გადასახადით მიღებული შემოსავლები. მოგების გადასახადის დასაბეგრი თანხა შემცირდა იმით, რომ კომპანიებს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება აქვთ მოგების განაწილების შემთხვევაში, რისი თავიდან არიდების მიზნითაც იურიდიული პირები ამჯობინებენ მოგებიდან საკმაოდ დიდი ნაწილის რეინვესტირებას ორგანიზაციაში.

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები საკმაოდ მოკლევადიან პერიოდს აღწერს, ხოლო რეფორმის შედეგი გრძელვადიან პერიოდში უფრო უკეთ გამოჩნდება, რომლის შეფასებაც მომავალში შეგვეძლება.

რაც შეეხება ბიზნესის ხელშეწყობას, პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ 2017 წლიდან დღემდე წინა პერიოდთან შედარებით საკმაოდ გაიზარდა რეგისტრირებულ ორგანიზაციათა და მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა.[2]

---

[1] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მოგების გადასახადი, 2020 წელი. https://mof.ge/4776

[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს რეგისტრი, 2020 წელი. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri

რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა და ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით

ცხრილი 3

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა (ათასი)	498,8	534,5	571,6	596,7	634,1	679,3	722,9	765,7	802,5
მოქმედ ორგანიზაციათა რაოდენობა (ათასი)	127,6	131,0	134,8	164,4	167,5	165,2	164,9	183,8	195,9
რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა (ათასი)	473,8	507,7	543,3	566,6	601,1	643,9	686,3	727,8	763,4
მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა (ათასი)	121,7	124,9	128,5	158,0	160,9	158,6	158,3	176,7	188,9
ახალრეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა (ათასი)	42,6	46,7	47,1	45,9	48,3	52,7	51,8	50,9	41,5
ახალრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა (ათასი)	41,3	44,8	45,5	44,0	45,4	50,1	50,4	49,6	40,3ა

ესტონური მოდელის ფორმირებამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდას, რაც ზრდის კონკურენტულ გარემოს და ქვეყნის ეკონომიკას. ბიზნესზე მორგებული საგადასახადო სისტემის ფორმირება ზრდის ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს და უცხოური ინვესტიციების რაოდენობასაც.

ესტონური მოდელის ფორმირებამ დადებითი შედეგი გამოიღო საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების რაოდენობაზეც.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში[1]

ცხრილი 4

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020*
სულ	1 039.2	1 837.0	1 728.8	1 652.6	1 978.3	1 306.3	1 310.8	616.9
I კვ	291.8	331.9	343.4	392.6	413.2	328.6	313.7	175.0
II კვ	224.1	217.6	493.2	452.4	395.7	406.1	236.6	241.3
III კვ	271.6	749.5	531.1	507.4	634.8	365.4	396.0	303.3
IV კვ	251.6	538.0	361.0	300.2	534.6	203.5	364.5	-102.8

2018 და 2019 წლებში შეინიშნება ინვესტიციების შემცირება, რაც დაძაბული პოლიტიკური გარემოს და სხვა მოქმედი ფაქტორებისგან უნდა იყოს გამოწვეული. გრძელვადიან პერიოდში ეს მონაცემი კიდევ უფრო გაიზრდება.

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2020 წელი. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომ 2017 წელს მოგების გადასახადის ესტონური მოდელის ფორმირებამ ერთმნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ბიზნესის განვითარებას. ბიზნესს შეუმსუბუქდა მოგების გადასახადის წნეხი, სტიმული მიეცათ კომპანიებს, რომ დაუბეგრავად განახორციელონ რეფინანსირება, რამაც შედეგად გამოიღო ქვეყანაში უცხოური ინვესტიციებისა და ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოგების გადასახადის ესტონური მოდელის ერთ-ერთ დადებით ფაქტორად.

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი საქართველოში

ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ რეფორმა დადებით გავლენას მოახდენდა და გაზრდიდა უცხოურ ინვესტიციებს, რაც თავის მხრივ გამოიწვევდა სააქციო კაპიტალის დაახლოებით 3.23%-ით ზრდას. იგი ასევე ხელს შეუწყობდა ეკონომიკის ზრდასაც და მისი მეშვეობით რეალური მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი გაიზრდებოდა 1.44%-ით. (მელქაძე, 2017) თუმცა სარგებელთან ერთად იარსებებდა გარკვეული რისკებიც, რომელიც უკავშირდება ორმაგ დაბეგვრას და სხვა ხარვეზებს, რაც ესტონურ მოდელს გააჩნია.

ჯერჯერობით დადებითი შედეგი ესტონური მოდელის ფორმირებამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდაზე ვერ მოახდინა.რაც შეეხება რეალურ მშპ-ს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 2019 წელს 2016 წელთან შედარებით რეალური მშპ-ის ზრდა 2.9%-დან 5%-მდე გაიზარდა, რაც შეიძლება გარკვეულწილად მოგების გადასახადის ესტონური მოდელის ფორმირებასაც მივაწეროთ. (მთლიანი შიდა პროდუქტი, 2021)

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის უარყოფით მხარედ შეგვიძლია მივიჩნიოთ ყოველთვიური დეკლარაციების შევსების ვალდებულება, რადგან აღნიშნული რეფორმის ფარგლებში კომპანიები ვალდებულნი არიან ერთი წლიური დეკლარაციის მაგივრად გაგზავნონ ყოველთვიური დეკლარაციები, რაც არაკომფორტულია მცირე ზომის კომპანიებისთვის, რადგან მოუწიათ ბუღალტრების დამატებით დაქირავება. ამასთან, მოგების გადასახადის ეს მოდელი მოიცავს ბიზნესის მიერ ფულის გათეთრების რისკსაც, რაც მაქსიმალურად უნდა იქნას კონტროლირებული შემოსავლების სამსახურის მიერ.

აღნიშნული მოდელის ერთ-ერთი უარყოფითი შედეგი გახლავთ ისიც, რომ მთავრობამ არ შეამცირა საბიუჯეტო ხარჯები. წარმოქმნილი საბიუჯეტო დეფიციტის აღმოფხვრა კი აქციზის გადასახადის გაზრდით და ვალის მეშვეობით გადაწყვიტა, რაც ამცირებს რეფორმის ეფექტურობას. ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ აქციზის გადასახადის ზრდით მცირდება მოხმარება, მთავრობის დანახარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით კი არ მცირდება, რაც, ბუნებრივია, შეამცირებს მშპ-ის ზრდის ტემპს.

საბოლოოდ, ფაქტი ისაა, რომ მოგების გადასახადის რეფორმამ საგადასახადო წნეხი შეუმსუბუქა ბიზნესს, რამაც გამოიწვია ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის მიზანი გახლდათ მოგების გადასახადის ესტონური მოდელის არსის გაგება და ანალიზი. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია აღნიშნული გადასახადის როლი ბიუჯეტის დაგეგმარებაში, თუ როგორ შეიცვალა მისი წილი

2017 წლიდან საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლებში. ყოველივე ამაზე დაყრდნობით გაანალიზებული მაქვს ესტონური მოდელის დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა ამ კუთხით.

ესტონური მოდელის დანერგვა დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ეკონომიკის სტიმულირების მიმართულებით. მოდელი მიმზიდველია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. მნიშვნელოვან დადებით შედეგებს მოდელი საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში გამოიღებს, მანამდე კი მთვარობამ არ უნდა გაზარდოს მნიშვნელოვნად ადმინისტრაციული ხარჯები და ამგვარად იზრუნოს საბიუჯეტო დეფიციტის შევსებაზე.

რეკომენდაციის სახით დავამატებდი, რომ ბიუჯეტის დეფიციტის აღმოსაფხვრევად შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- სხვა გადასახადის განაკვეთის გაზრდა;
- სახელმწიფო ვალის აღება;
- საბიუჯეტო ხარჯების შემცირება.

აქედან, სხვა გადასახადის განაკვეთის ზრდა და სახელმწიფო ვალის აღება ნაკლებად ეფექტურია, რადგან გადასახადების ზრდა უარყოფითად იმოქმედებს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტის აღმოსაფხვრელად დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება საერთაშორისო ვალების საშუალებით კიდევ უფრო დაამძიმებს სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ მდგრადობას და გაზრდის საბიუჯეტო ხარჯებს. შესაბამისად, ყველაზე მეტად ვემხრობი მესამე ალტერნატივას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯებს და დააბალანსებს მოგების გადასახადის რეფორმით გამოწვეულ დეფიციტს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე, გ. ელ. ჟურნალი ფორბსი, ესტონური მოდელის დეტალები და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, 2017, https://forbes.ge/news/1875/estonuri-modelis-detalebi-da-misi-gavlena-ekonomikur-zrdaze
2. გელაქეიშვილი, მ. (2019). მოგების გადასახადის ესტონური მოდელის არსი და. თბილისი.
3. მელქაძე. (2017, 01 17). ესტონური მოდელის გამოწვევები - გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე. Retrieved from Europe For Georgia: http://eugeorgia.info/ka/article/545/estonuri-modelis-gamowvevebi---gavlena-mcire-da-sashualo-biznesze/
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. (2016-2020). Retrieved from კონსოლიდირებული პუბლიკაციები: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=103
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2020 წელი. HYPERLINK "https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi" https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მოგების გადასახადის სიდიდე, (2017-2020 წწ.). HYPERLINK "https://www.mof.ge/" https://www.mof.ge/
7. HYPERLINK "https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi" https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს რეგისტრი, 2020 წელი. HYPERLINK "https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri" https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri
9. მოგების გადასახადი. (2019, 04 19). Retrieved from შემოსავლების სამსახური : https://old.rs.ge/4777
10. მთლიანი შიდა პროდუქტი. (2021). Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp
11. CEIC DATA. (2020). Retrieved from Estonia Foreign Direct Investment 2008-2020: https://www.ceicdata.com/en/indicator/estonia/foreign-direct-investment

პანდემიის გავლენა მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე

ლანა ზოიძე
I კურსის სტუდენტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი თემურ შენგელია
პროფესორი

პანდემია, არის დაავადების გავრცელება მსოფლიოს მასშტაბით.კაცობრიობა თავისი დიდი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა პერიოდში ებრძოდა განსხვავებული სახეობის პანდემიებს. აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ პანდემია იწვევდა, არა მხოლოდ სიცოცხლის მოსპობას, არამედ მრავალ სხვა პრობლემას,მათ შორის ეკონომიკის კუთხით.ვინაიდან ეკონომიკა მსოფლიოს მამოძრავებელი ძალაა და მარტივად,რომ ვთქვათ მსოფლიოსთვის „ძრავაა".ამგვარად პანდემიასა და ეკონომიკას შორის ძალიან დიდი ურთიერთკავშირია,რომელსაც შეუძლია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა „ჩამოანგრიოს" და ამასთანავე მსოფლიო ეკონომიკაზეც მოახდინოს გარკვეული სახის ზეგავლენა. სწორედ ამიტომ აუცილებელია სტაბილურობის შენარჩუნება, რათა არ გამოიწვიოს პანდემიურმა მდგომარეობამ ეკონომიკური კრიზისი და მინიმალური კვალი დაატყოს ვერაგმა დაავადებებმა, როგორც ქვეყნის ასევე მსოფლიოს ეკონომიკას, დღევანელი გადმოსახედიდან Covid- 19 - მა მოახერხა უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა, კონკრეტულად ეკონომიკამ განიცადა როგორც რაოდენობრივი ასევე თვისობრივი დანაკარგები,როგორებიცაა ტურიზმის ჩამოშლა, რაც განპირობებული იყო საერთაშორისო ფრენების აკრძალვით,უმუშევართა მატებით და სხვა მრავალი ეკონომიკის განმსაზღვრები ფაქტორებით,რომლებიც მოქმედებს გლობალურ ეკონომიკაზე.

ამგვარად, შეიძლება ითქვას რომ პანდემია არის ეკონომიკისთვის უდიდესი გამოწვევა, რომლის გადასალახავად მთელი რიგი გეგმა უნდა შემუშავდეს.

პანდემიის მსოფლიო გამოცდილება

მსოფლიო თავისი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა დროის პერიოდში მრავალმა პანდემიამ მოიცვა. პირველი რეგისტრირებული პანდემია იყო:

- „შავი ჭირის" პანდემია, რომელიც დაახლოებით 60 წელს გაგრძელდა და რომელმაც შეიწირა 100 მილიონი ადამიანის სიცოცხლე. პანდემიის გავრცელებას,რა თქმა უნდა,მოყვა ეკონომიკის ჩამონგრევა,ამ პერიოდში თითქმის შეწყვეტილი იყო ვაჭრობაც.
- ქოლერის პანდემიამ გავრცელება დაიწყო მე-19 საუკუნეში ბელგიიდან და მსოფლიოს დიდი ნაწილი მოიცვა
- გრიპის პანდემია, რომელიც H1N1 ვირუსის სახელითაა ცნობილი ასევე დიდი ზარალი მიაყენა ეკონომიკას

იმ პანდემიების მცირე ჩამონათვალისა, რომელიც ზემოთაა აღნიშნული ერთმანეთისგან განსხავდებოდნენ გავრცელების არეალით,დროის და დაავადების სიმძიმის მიხედვით,თუმცა საერთო მაინც აქვთ, აღნიშნულ ყველა პანდემიას მოჰქონდა მსხვერპლი,რაც იწვევდა შრომითი რესურსების ნაკლებობას და ეს აისახებოდა მსოფლიო ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მაგრამ ფაქტი ერთია, პანდემიურმა გამოცდილებამ

მკველვარებს მისცა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა,რომ ქვეყნებმა რომლებმაც შეზღუდვები მკაცრად დაიცვეს გაცილებით ნაკლები ჰქონდათ ადამიანური მსხვერპლი და შესაბამისად უფრო სწრაფად ხდებოდა ეკონომიკის აღდგენა.

მსოფლიო ეკონომიკა და დარგები რომლებზეც გავლენა მოახდინა პანდემიამ

ზოგადად ტერმინი *ეკონომიკა* ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს ,,ადამიანს, რომელიც საოჯახო მეურნეობას უძღვება'' ეკონომისტთა განმარტებით ეკონომიკა არის იმის შესწავლა, თუ როგორ განაგებს საზოგადოება თავის შეზღუდულ რესურსებს. დღეს ის შედარებით ფართო დატვირთვით გამოიყენება და ასახავს იმ ყველაფერს რაც შეეხება ორი ან მეტ სუბიექტს შორის საქმიან ურთიერთობას, გაცვლას და სხვა აქტივობებს.

პანდემიის გავრცელებამ განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა ეკონომიკისთვის:

- ტურიზმზე
- საფინანსო სექტორზე
- საცალო ვაჭრობაზე
- გართობასა და დასვენებაზე

ტურიზმი - ყველაზე დაზარალებული სექტორია კოვიდ პანდემიის პერიოდში,-როგორც მოთხოვნის ასევე მიწოდების მხვრივ.2020 წლის მონაცემებით საერთაშორისო ტურიზმის მიმოსვლა 1%-დან-3%-მდე შემცირდა,მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 3-4%-იანი ზრდით უნდა ყოფილიყო,ზარალი კი დაახლოებით 30-50 მილიარდი დოლარია.

განსაკუთრებით გამოირჩევა აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონი,სადაც საერთაშორისო ტურიზმის ვიზიტები 9-12%მდე შემცირდა. ასევე ეს რეგიონები გამოირჩევიან მოგაზურთა და ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა კუთხითაც,რაც რიცხობრივად დაახლოებით 48.7მილიონით ნაკლებ სამუშაო ადგილს გულისხმობს.ხოლო ევროპა მეორე ადგილს იკავებს სამუშაო ადგილების შემცირებით ტურიზმის კუთხით,რაც დაახლოებით 10.1 მილიონ სამუშაო ადგილს გულისხმობს.

საფინანსო სექტორი- პანდემიამ დიიდ გავლენა ასევე იქონია ფინანსურ ბაზრებზე, კერძოდ დაეცა ფასიანი ქაღალდების,ობლიგაციებისა თუ აქციების ფასები, რამაც შეშფოთება გამოიწვია ასე მაგალითად BBC- ის თანახმად მსგავსი ფასების დღიური ვარდნა 1997 წლიდან არ განუცდია საფინანსო სექტორს.

საცალო ვაჭრობა - ამ მხვირვ შემცირდა არაპირველადი საცალო ვაჭრობა და წინ წამოიწია სასურსათო მოხმარების პროდუქტებმა. ასევე გაიზარდა ონლაინ საცალო ვაჭრობა 161.4%-ით, რაც შეეხება არასასურსათო პროდუქციას მაგალითად კომპანია Apple-მა უმეტეს ქვეყანაში დახურა მაღაზიები,ანალოგიურად იქცეოდნენ ტექნიკისა თუ სპორტული ინვენტარის მაღაზიები,ევროპის საცალო ვაჭრობაც სერიოზულ ზარალს განიცდის რაც დაახლოებით 3.26 მილიარდ ბრიტანულ ფუნტს მოიცავს.

მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები მოსალოდნელ ეკონომიკურ ცვლილებაზე

კორონა ვირუსი უდიდესი გამოწვევაა,როგორც ჯანდაცვის ასევე ეკონომიკის სფეროში, ვირუსის დაფიქსირებიდან რამდენიმე თვეში მსოფლიო პანდემიამ მოიცვა და მალევე დაეტყო ეს ყველაფერი მსოფლიო ეკონომიკას, ვინაიდან იკეტებ(ოდ)ა ქვეყნე-

ბი, ექსპორტისა და იმპორტის შემცირებული რაოდენობა ფიქსირდებოდა, განსაკუთრებით ჩინეთში, ვინაიდან სწორედ ამ ქვეყნიდან გავრცელდა აღნიშნული ვირუსი.

ამ გლობალურმა პრობლემამ,რომელმაც მსოფლიო მოიცვა საერთაშორისო ორგანიზაციებს უბიძგა კველევების ჩატარებისკენ ამიტომ მათ დაიწყეს ეკონომიკური ცვლილებების ასახვა, ასე მაგალითად:

❖ გაეროს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად პანდემიის პირობებში მოსალოდნელია მსოფლიო ეკონომიკური მაჩვენებლის 2.5% - მდე შემცირება, ზარალი კი დაახლოებით ტრილიონ დოლარს მოიცავს, არის იმის საფრთხეც, რომ შესაძლოა ამ რიცხვმა გაორმაგდეს,რაც ბუნებრივია მსოფლიო ეკონომიკას დიდ ზარალს მიაყენებს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში კი ის ქვეყნები მიიღებენ დიდ ზარალს, რომლებსაც ნავთობი ან სხვა ბუნებრივი რესურსი გააქვთ მსოფლიო ბაზარზე.

❖ ეუთოს ანგარიშის მიხედვით კი 2.4%-ით შემცირდება მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობა, რაც ძირითადად განპირობებული იქნება ვაჭრობის შემცირებით

❖ ხოლო აზიის განვითარების ბანკის მიხედვით, პანდემია 77$ მილიარდიდან 347$ მილიარდამდე ზიანს მიაყენებს ეკონომიკას.

❖ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) თავის კვლევებში დაადგინა,რომ ეკონომიკური ზრდა 0.5% - ით შემცირდება, აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით ეკონომიკური ზრდა შეიძლება შემცირდეს ჩინეთში 4.9%-მდე, აშშ- ს 1.9%-მდე ხოლო ევროზონის 0.8%-მდე.

❖ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კვევების საფუძველზე კორონა ვირუსის გამო უმუშევართა რაოდენობა მსოფლიო მასტაბით დამატებით გაიზრდება 5.3 -24.7 მილიონით, ეს შედეგები კი დამოკიდებულია პანდემიის გავრცელების სიჩქარეზე და გავრცელების არეალზე. ამ ორგანიზაციის აზრით ზარალს მიიღებს ეკონომიკის თითქმის ყველა სფერო,თუმცა განსაკუთრებით საფინანსო, ტურიზმის, საცალო ვაჭრობის, სარეაკრაციო და სამრეწველო სექტორები.

❖ მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაციის შეფასებით, ტურიზმის განვითარება და მიმოსვლა შემცირდება დაახლოებით 1-დან- 3%-მდე. ასევე ეკონომიკური კუთხით ზარალი მიიღო საფონდო ბირჟებმა, სადაც საგრძნობლა დაეცა აქციათა ფასები, პანდემიის პირობებში საგრძნობლად შემცირდა ავტომანქანების წარმოება და არაპირველადი გამოყენების პროდუქციაზე მოთხოვნა, ვინაიდან პანდემიის პირობებში მომხმარებელი ზრუნავს პირველადი პროდუქტების შეძენაზე. თითქმის ნულამდე დაეცა გართობის სერვისებზე (კინო-თეატრებზე,კაფე-რესტორნებზე,სპორტულ ღონისძიებებზე) მოთხოვნა, რაც გამოწვეული იყო სოციალური დისტანციის დაცვის გამო.

პანდემიის მიერ გამოწვეული პრობლემები ეკონომიკაში

გასულ საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკა რამდენჯერმე იყო მსგავს მდგომარეობაში როგორშიც ახლა, პანდემიის დროსაა.საკმარისია გავიხენოთ 30-იანი წლების დეპრესიები, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გლობალური ეკონომიკური კრიზისი,2009-2010 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ცხადია, აღნიშნულ კრიზისულ პერიოდებს თავისი გმოწვევები სიმძიმე და ზარალი ჰქონდა, დღევანდელ მდგომარეობასაც, რა თქმა უნდა,თავისი მახასიათებლები აქვს.

ის, რომ პანდემია უარყოფით ზეგავლენას მოახდენდა მსოფლიო ეკონომიკაზე ეს ცხადი იყო, როცა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მთავრობებმა გადახედეს მოსალოდნელ საფრთხეებს დასკვნეს,რომ გარდაუვალი იყო ეკონომიკური ზარალი,ასე მაგალითად ,,საერთაშორისო სავალუტო ფონდმა''2020 წელს მსოფლიოს ქვეყნების 90%-ს უარყოფითი ეკონომიკური ზრდა უწინასწარმეტყველა,მაშინ როდესაც 2009-2010 წლის

მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის დროს ეს მაჩვენებელი 60% იყო.აქედან გამომდინარე მარტივია იმის მიხვედრა თუ რაოდენ დიდი პრობლემის წინაშე დადგა მსოფლიო ეკონომიკა.

კოვიდ-19 პანდემია წარმოუდგენელი სისწრაფით გავრცელდა მსოფლიო მასშტაბით და ეკონომიკა „ჩიხში" შეიყვანა, ადამიანური რესუსრსის დაკარგვასთან ერთად ძალიან დიდია ეკონომიკური ზარალი,რაც უკვე აშკარაა და რამაც ეკომოკიკური შოკი გამოიწვია, რადგანაც მსოფლიო არც ერთი კუთხით არ იყო მზად,რომ ებრძოლა უხილავ მტერთან.

2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოვიდ-19 დაამტკიცა,-როგორც პანდემია და რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ზუსტად არავინ იცის რა მოხდება ეკონომიკის კუთხით მსოფლიოში, თუმცა ფაქტი ერთია ეკონომიკაში პანდემიამ თავისი კვალი უკვე დატოვა კერძოდ კი: პროდუქტიულობის შემცირების, ადამიანური რესურსის დაკარგვის,ბიზნესის დახურვისა თუ ტურიზმის ინდუსტრიის განადგურების სახით.

კოვიდ პანდემიის დროს ეკონომიკური ზიანი მეტწილად განპირობებულია მოთხოვნის შემცირებით, რაც ნიშნავს იმას, რომ ბაზარზე ნაკლები მომხმარებელია საქონლისა და მომსახურების შესაძენად. ეს ცვლილება განსაკუთრებით შესამჩნევია ტურიზმის სფეროში,ვინაიდან როგორც ვიცით საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა შეზღუდული იყო,რამაც ბუნებრივია შეანელა ტურიზმის გავითარება,ასე მაგალითად ავიაკომპანიებს მოუწიათ მომხმარებელთა შემცირების გამო ფრენების რაოდენობაც შეემცირებინათ, რადგანაც მათ შემოსავალი დაკარგეს და ფასებიც შეამცირეს.

სხვა ინდუსტიებიც არანაკლებ ცუდი მდგომარეობით გამოირჩეოდნენ მაგალითად ნავთობი და ახალი მანქანების მწარმოებლურობა.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას რომ ვირუსის გავრცელებამ გამოიწვია ეკონომიკისა და ფინანსური ბაზრებისთვის შემოსავლების შემცირება, უმუშევრობის ზრდა და წარმოების შემცირება, ბუნებრივია ვირუსის გაქრობას სჭირდება დრო და სათანადო რეაგირება არა მხოლოდ სიცოცხლის,ასევე ეკონომიკის გადასარჩენადაც.

პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

სქართველო,როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნეი მსოფლიოს მაშტაბით უხილავ მტერთან ბრძოლაშია ჩართული. ქვეყანაში მოქმედმა ჩაკეტვებმა ერთ მხვრივ შეამცირა ინფიცირების მაჩვენებელი ხოლო მეორე მხვრივ შეზღუდა ეკონომიკური პროგრესი

კოვიდ პანდემიამ,რა თქმა უნდა, საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობასაც შეეხო,რომელიც არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში იყო.თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი რომ 2019 წელს საქართელოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 5.1%-ს შეადგენდა. კოვიდ პანდემის მასიურად გავრცელებამ კი ეს მაჩვენებელი შეამცირა. მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ინსტიტუტების პროგნოზით, კოვიდ-19 მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკისთვს, კერძოდ კი:

- მსოფლიო ბანკის ანგარიშის თანახმად 2020 წელს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებელი დაახლოებით 0.1%-ს გაუტოლდა
- აზიის განვითარების ბანკის მიხედვით, 2020 წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 0%-ს უტოლდებოდა,ხოლო ამ წლის ამ მაჩვენებლის მკვეთრ ზრდას პროგნოზირებენ,რომელიც დაახლოებით 4.5%-ს მიაღწევს
- უფრო მკაცრი პროგოზით გასულ წელს გამოიჩეოდა მსოფლიო სავალუტო ფონდი, რომლის მონაცემებით საქართველოს ეკონომიკა 4%-ით შემცირებას ვარაუდობდა

პანდემიამ საქართველოს ეკონომიკა ერთდროულად მოთხოვნისა და მიწოდების შოკში განიცადა, რადგან შემცირდა როგორც ადგილობრივი მოთხოვნა ასევე საქონლისა და მომსახურების ექსპორტი.

ქვეყანაში დაწესებულმა შეზღუდვებმა მრავალმხვირი პრობლემები გამოიწვია ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. კერძოდ, პანდემიის პერიოდში საჭირო გახდა რეგულაციების დაწესება რომელიც გულისხმობდა:

➢ საერთაშორისო მიმოსვლის შემცირებას,რაც პირდაპირ აისახა ქვეყნის ტურზმზე. იმის გამო,რომ ტურიზმის საქართველოს მშპ-ს 11%-ს აგენერირებს,ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკაში მის განვითარებას,თუმცა ვირუსის გავრცელებამ პირიქით უკან დახია ის,რადგანაც ეს ხელს შეუწყობდა პანდემიის გავრცელებას,რომელიც უფრო დიდი რისკი იყო. მაგრამ,ფაქტი ერთია როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო ტურიზმის შემცირება საქართველოს მილიონობით დოლარის ზარალი დაუჯდა. დღესდღეობით, მიუხედავას იმისა რომ პადემიას ,,შიშველი ხელებით' 'აღარ ვებრძვით და გვაქვს იარაღი ვაქცინის სახით, მაინც რთული იქნება იმ პროგრესის დაბრუნდება რაც მანამდე საქართელოში იყო ტურიზმის მიმართულებით და რომელიც პირდაპირ მოქმედებდა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

➢ საზღვრების ჩაკეტვამ მკვეთრად იმოქმედა ასევე ექსპორტსა და იმპორტზე. იმპორტი 2019 წელთან შედარებით მას შემდეგ რაც პანდემია დაიწყო 1.4%-ით შემცირდა იმპორტის წილი. გასულ წელს ასევე შემცირდა:

- სამრეწველო მარაგების იმპორტი 11%-ით
- კაპიტალური საქონლის იმპორტი 30%-ით
- სატრანსპორტო მოწყობილობების იმპორტი 17%-ით
- სამომხმარებლო საქონლის იმპორტი 14%-ით

2020 წლის ექსპორტი 2019 წლის მონაცემებთან შედარებით 22.1%-ით ჩამოუვარდება, იმის მიუხედავად რომ ექსპორტი განიცდიდა მატებას კორონა ვირუსმა ეს მაჩვენებელი კლებისკენ წაიყვანა,რამაც იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

გასულ წელს ასევე შემცირდა:

- სამრეწველო მარაგების ექსპორტი 14%-ით
- საწვავი მასალების ექსპორტი 41%-ით
- კაპიტალური საქონლის ექსპორტი 76-ით
- სატრანსპორტო მოწყობილობების ექსპორტი 38%-ით
- სამომხმარებლო საქონლის ექსპორტი 51%-ით

➢ ასევე ბიზნესის დახურვამ გამოიწვია სამუშაო ადგილების შემცირება,რომელიც განსაკუთრებით აისახა გართობა-დასვენების კუთხით,რადგანაც დაიხურა კაფე-რესტორნები, სასტუმროები და სხვა გასართობი საშუალებები,რამაც გამოიწვია უმუშევართა რაოდენობის გაზრდა და ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გაუარესება.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა პანდემიის პერიოდში

კველევების საფუძველზე დგინდება, რომ მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე დიდ ეკონომიკურ ზარალს პანდემიის პირობებში მიიღებს ის ქვეყნები,რომლებიც კოვიდ-19-ის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება,შემგომ ის ქვეყნები რომელთა ეკონომიკაც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ნავთობზე,ტურზმსა და სხვა საქონლის ექსპორტზე. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას,რომ პანდემიის დროს ყველაზე დიდი საფრთზე განვითარებულ და შემდგომ განვითარებად ქვეყნებს აქვთ.

➢ ჩინეთი

ჩინეთი მშპ-ს ნომინალური მაჩვენებელის მიხედვით, რიგით მეორე ადგილს იკავებს მსოფლიოში და მასზე მსოფლიო ეკონომიკის დაახლოებით 16% მოდის, რაც ნიშნავს იმას რომ ჩინეთის მწარმოებლურობის შემცირება, რომელიც გამოწვეული იყო კოვიდ რეგულაციების გამო მკვეთრად აისახა მიწოდებაზე და შესაბამისად ეკონომიკაზე.

ჩინეთი,როგორც ვიცით პირველი კერა იყო,სადაც ვირუსი დაფიქსირდა და შემდგომ ვირუსის გავრცელება უარყოფითად აისახა ეკონომიკურ მდგომარეობაზე.მიუხედავად იმისა, რომ კოვიდ პანდემია თანდათან კლებისკენ მიდის ეკონომიკური ეფექტის დათვლა აუცილებელია. გასული წლის მონაცემებით ჩინეთის:

- საგარეო ვაჭრობა 11%-ით შემცირდა
- ექპორტი 17.2%-ით
- იმპორტი 4%-ით

მნიშვნელოვანი კვალი დაეტყო მსხვილ პარტნიორებთან ვაჭრობასაც, მაგალითად:

- ევროკავშირთან ვაჭრობა შემცირდა 14.2%-ით
- აშშ-სთან 19.6%-ით
- იაპონიასთან 15.3%-ით

ჯამში კი საგარეო ვაჭრობამ 7$ მილიარდზე მეტი დეფიციტი გამოიწვია ჩინეთის ეკონომიკისთვის.რაც შეეხება ეკონომიკურ პროგნოზებს აზიის განითარების ბანკის მიხედვით კოვიდ-19 ჩინეთის ეკონომიკას 42$ მილიარდი დაუჯდება, ხოლო მშპ-ს მაჩვენებელი 1.74%-ით შემცირდება.

უფრო ნეგატიური პროგნოზის მიხედვით, რომელიც ,,რაბო'' ბანკმა გააკეთა ჩინეთის ეკონომიკა 2.4%-ით შემცირდება, როცა პანდემიამდე მისი ზრდა იყო ნავარაუდევი 5.7%-მდე.

დღედღეობით გასულ წელთან შედარებით ჩინეთის ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაიზარდა და ეს ზრდა 2020 წლის ანალოგიურ კვარტალთან შედარებით 18.3% შეადგენს, ამგვარად ჩინეთის ეკონომიკა განაგრძობს აღდგენას,რაც უკვე გამოიკვეთა.

➢ ამერიკის შეერთებული შტატები

კორონა ვირუსმა ასევე ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოს უმსხვილესი ქვეყნის ეკონომიკაზე, თუ კი ვარაუდებს დავეყრდნობით 2020 წლის პირველ კვარტალში აშშ-ს ეკონომიკა 6%-ით უნდა შემცირებულიყო. ქვეყანაში პანდემია უსწრაფესად გავრცელდა რამაც გამოიწვია:

- ქვეყნის მასშტაბით გათიშვები და ბიზნესის დიდი ნაწილის დახურვა
- შეიქმნა მიგრანტების პრობლემა,რადგანაც უმუშევრობის მაღალი დონე აშინებდა მოსახლეობას,რომლებიც აშშ-ში ემიგრაციით იყვნენ წასულები
- კოვიდ-19-ის პანდემიამ დამანგრევლად იმოქმედა ეკონომიკაზე და რეცესია გამოიწვია,რამაც 2020 წლის მეორე კვარტალში რეკორდულად შეამცირა ეკონომიკური მაჩვენებლი (31.4%)

მიუხედავად მთელი რიგი პრობლემებისა ,რომელიც უხილავმა მტერმა შექმნა აშშ-ს ეკონომიკაში, მაინც სწრაფად მოიკრიბა ძალები. 2020 წლის რეცესია აშშ-ში შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს,ვინაიდან ვაქცინაციის პროცესმა და ოპერატიულობამ შექმნა იმის შესაძლებლობა,რომ აშშ უახლოეს მომავალში დაუბრუნდეს ცხოვრებას კორონა ვირუსის გარეშე.

➢ იტალია

მაშინ, როდესაც უხილავ მტერს მთელი მსოფლიო ებრძოდა იტალია შეიძლება ითქვას ერთ-ერთი იყო, რომელიც ბრძოლის წინა ხაზზე იდგა, ევროპის ქვეყნებს შორის

იტალია იყო ქვეყანა,რომლის ეკონომიკაზეც პანდემიამ ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა,რამაც გამოიწვია ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური ვარდნა.იტალიაში განსაკუთრებით შემცირდა მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი,გასული წლის მონაცემების მიხედვით მშპ 8.9%-ით შემცირდა,ასევე შემცირდა ტურიზმის ინდუსტრია იტალიაში.

ეკონომისტთა ვარაუდით იტალია 2020 წელს მიყენებულ ეკონომიკურ ვარდნას 2022 წელს აღადგენს,რაც რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ვაქცინაციაზე.

➢ რუსეთი

რუსეთი, ოფიციალური მონაცემებით თითქოს წარმატებით უმკლავდებოდა პანდემიასთან ბრძოლას,თუმცა კოვიდ-19-ის ზეგავლენა რუსეთის ეკონომიკაზე უკვე შესამჩნევია. ეუთოს მონაცემების მიხედვით ეკონომიკური ზრდის შემცირება უკვე შესამჩნევია რუსეთში,ასევე ექსპორტის შემცირება და ნავთობის ფასების ცვლილება, რადგანაც რუსეთი ერთ-ერთი ლიდერია ნავთობისა და ნედლეულის წარმოებაში ფასების არასტაბილურობამ გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე.2020 წლის პირველ კვარტალში განსაკუთრებით მძიმე იყო რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა, რუსული რუბლი მკვეთრად გაუფასურდა,რაც გამოწვეული იყო ნავთობის ფასის შემცირებით.

როგორც ვხედავთ უხილავი მტერი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას განსაკუთრებით დიდ დარტყმას აყენებს ეკონომიკური ზარალი კი მსგავსია, უმუშევრობის გაზრდა,მშპ-ს შემცირება,საფონდო ბირჟებზე აქციათა ფასის დაცემა, ტურიზმისა და ინდუსტრიის შემცირება.ამგვარად ეკონომიკის თითოეულ დარგს აქვს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი და საჭიროა ოპერატიული მოქმედება რათა პანდემიამ არ დაამარცხოს მსოფლიო.

უხილავ მტერთან ბრძოლა და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების გზები

მას შემდეგ, რაც საზოგადოებაში უხილავმა მტერმა ფეხი მოიკიდა მსოფლიო დადგა დიდი გამოწვევის წინაშე. პანდემიამ ყველა სფეროს დაატყო კვალი, ფაქტობრივად მსოფლიოს დიდი ნაწილი გაჩერდა,აიკრძალა ფრენები,ტურიზმი შემცირდა,ეწირებოდა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე,გაიზარდა უმუშევრობა ერთი სიტყვით ეკონომიკა გაჩერდა. პანდემიასთან ბრძოლა მარტივი არაა,რადგან ვერ გააკონტროლებ მას,მისი გავრცელების არეალს და მოსალოდნელ საფრთხეებს, ერთადერთი გამოსავალი ამ მძიმე სიტუაციიდანნ ვაქცინის შექმნა იყო,თუმცა ეს მარტივი პროცესი როდია. დაახლოებით ერთ წლიანი კველების შემდგომ რამდენიმე ვაქცინა შეიქმნა,ამან გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესება,ვაქცინების სწრაფი გავრცელება,ხელს უწყობს კოვიდ-19-ის წინაშე იმუნიტეტის გამომუშავებას რაც საციცოხლოდ მნიშვნელოვანია,ვფიქრობ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა ვაქცინისადმი მაღალი უნდა იყოს, რათა კიდევ უფრო დიდი ზიანი არ მიადგეს მსოფლიოს.

ვაქცინებს შეუძლია დაეხმაროს რეცესიის დასრულებას ხელი,ამ დონის მისაღწევად კი აუცილებელია მოსახლეობის 70-80%-ის აცრა მაინც,რადგან ვაქცინაცია არის ერთადერთი გზა, იმისა რომ ვებრძოლოთ პანდემიას და გზა ეკონომიკური განვითარებისა. ასე რომ მსოფლიო მალევე უნდა დაუბრუნდეს თავისი ცხოვრების რიტმს,დროს როცა ვცხოვრობდით პანდემიის გარეშე.რა თქმა უნდა,რთული იქნება აღდგენა საწყისი მდგომარეობის, ეს ყველაფერი ბევრ შრომას,ზარალის ანაზღაურებას და ეკონომიკურ განვითარებას მოითხოვს,რაც ეტაპობრივად მოხდება.

დასკვნის სახით კი ვიტყოდი, რომ ვინაიდან ვირუსის გავრცელება ისევ რისკის ქვეშაა,გასაკვირი არაა რომ ეკონომიკური მდგომარეობა არამდგრადი იყოს. ფაქტი

ერთია კოვიდ პანდემიამ შეძლო სერიოზული ეკონომოკური და ფინანსური ზარალის მიყენება,როგორც რეგიონალურ ასევე გლობალურ ეკონომიკებში. ეკონომიკას ძვირი უჯდება ვირუსთან ბრძოლა,განსაკუთრებით მას შემდეგ რაც დაავადებამ მრავალ ადგილას მოიკიდა ფეხი. იმისთვის,რომ ეკონომიკა გადაურჩეს იმ შავ ლაქას რომელიც პადემიამ დაატყო საჭიროა კოლექტიური მუშაობა და პრევენციული ზომების მიღება არა მხოლოდ სიცოცხლის არამედ ეკონომიკის გადასარჩენად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf
2. www.parliament.ge
3. https://unctad.org/system/files/official-document/gds_tdr2019_update_coronavirus.pdf
4. https://www.worldbank.org/en/news/feature/2020/06/08/the-global-economic-outlook-during-the-covid-19-pandemic-a-changed-world
5. https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fpubh.2020.00241/full}
6. https://www.bbc.com/news/business-56768663
7. https://www.thebalance.com/how-covid-19-has-affected-the-us-economy-5092445
8. https://www.statista.com/topics/6061/coronavirus-covid-19-in-italy/
9. https://www.thebalance.com/how-do-vaccines-affect-the-economy-5101340
10. https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/33476/9781464815645.pdf
11. https://www.adb.org/countries/georgia/economy
12. https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020

უმაღლესი განათლების სისტემის გამოწვევები კოვიდ პანდემიის პირობებში საქართველოში

ქეთი ზაუტაშვილი
III კურსის სტუდენტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი ინეზა გაგნიძე
ასოცირებული პროფესორი

განათლება არის და მომავალშიც იქნება ყველაზე მყარი კაპიტალი, რომელსაც ადამიანი ფლობს და რომლის გამოყენებაც უსასრულოდაა შესაძლებელი. მას სასიცოცხლო ფუნქცია გააჩნია ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების, როგორც მაკრო (საზოგადოების), ისე მიკრო (ინდივიდის) დონეზე. განათლება პრიორიტეტული მიმართულება, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს. იგი ემსახურება ადამიანის ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებას.

განათლებას მოაქვს სარგებლი ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის, როგორც ეკონომიკური (შემოსავლებისა და დასაქმების მაჩვენებლების ზრდა, ადამიანისეული კაპიტალის განვითარება), ისე სოციალური თვალსაზრისით (სოციალური მობილობის ხელშეწყობა, სოციალური სტაბილურობისა და კეთილდღეობის მაჩვენებლების ზრდა).[1] ამგვარად, თანამედროვე ადამიანის ცხოვრება და ორიენტირება მაღალტექნოლოგიურ საზოგადოებაში განათლების გარეშე წარმოუდგენელი გახდა.

უმაღლესი განათლება ადამიანური კაპიტალის აკუმულირების მძლავრი საშუალებაა, რომელიც თავის მხრივ, ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის გარანტიას იძლევა. შესაბამისად, მოქნილი უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა და დანერგვა, მასში ინვესტიციების განხორციელება ყოველი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანაა. უმაღლესი განათლების პრიორიტეტულობა თანამედროვე, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობაში კიდევ ერთხელ დამტკიცდა საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმით, რომლის ერთ პუნქტად განათლების რეფორმაა მოცემული: „განათლების რეფორმა უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის განვითარებას და მის მაქსიმალურ, ეფექტიან ჩართვას ქვეყნის განვითარებაში“[2].

თანამედროვე მსოფლიო ორი დიდი გამოწვევის წინაშე დგას: Covid-19 და IV ინდუსტრიული რევოლუცია. ორივე მათგანმა მნიშვნელოვანი პრობლემა შეუქმნა განათლების სისტემას და მათ შორის უმაღლესი განათლების სისტემას.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია უმაღლესი განათლება, როგორც განათლების სისტემის ერთ-ერთი საფეხური. ასევე - მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული პროგნოზები IV ინდუსტრიული რევოლუციის მოსალოდნელ ცვლილებებზე დასაქმების სფეროში და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარ ჩვევები. მეორეში - უმაღლესი განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმები საქართველოში. მესამეში მოცემულია უმაღლესი განათლების სისტემა სტატისტიკურ მონაცემებში, მეოთხე ნაწილი ეთმობა უმაღლესი განათლების სისტემის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას კორონავირუსის პანდემიის სახით. მეხუთე ნაწილში მოცემულია ონლაინ სწავლების კვლევის შედეგები და მათი ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.

---

1 Machin and McNally, 2007
2 https://mof.ge/images/File/BDD/28-09-2017-BDD-2018-2021.pdf

უმაღლესი განათლება, როგორც განათლების სისტემის ერთ-ერთი საფეხური

განათლება ესაა სისტემურ ქმედებათა პროცესი, რომელიც შეგნებულად მიმართულია ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ. განათლებაში აგრეთვე იგულისხმება შედეგი. განათლების მიღების ძირითადი გზაა სწავლა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც მჭიდრო კავშირშია აღზრდასთან. განათლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვითგანათლებას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და საზოგადოებრივ-შრომით საქმიანობაში მონაწილეობას.

თანამედროვე პერიოდში მსოფლიო ეკონომიკა შედის სწრაფი განვითარების ახალ ფაზაში, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას უწოდებენ. ეს პროცესი უკავშირდება ხელოვნური ინტელექტის გამოგონებას, რომელიც ინდივიდებს ჩაანაცვლებს მრავალ სამუშაო ადგილზე.

სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციების ანგარიშებში ნავარაუდევია, რომ:

✓ „2022 წლისთვის ახალი პროფესიების წილი დასაქმებულებთა 16%-დან გაიზრდება 27%-მდე (11%-იანი ზრდა), იმ პირობებში, როცა არსებული სამუშაოების წილი 31%-დან შემცირდება 21%-მდე (10%-იანი შემცირება)“ (WEF FJR 2018, viii)

✓ „პროფესიების მოსალოდნელი ცვლილებების ფონზე 2022 წლისთვის დასაქმებულთა 54%-ს დასჭირდება უნარების გაახლება და ახალი უნარების შეძენა. მათ შორის მესამედისთვის აუცილებელი იქნება 6 თვეზე მეტი ხანგრძლივობის დამატებითი ტრენინგი“ (WEF 2014, 26)

✓ „დაწყებითი კლასების მოსწავლეთა 65%-ის მომავალი სამუშაო ადგილები ჯერჯერობით უცნობია“ (WEF FJ 2016, 3). ასეთი პროგნოზები მკვლევრებს უნარების განახლების რევოლუციის დაანონსების საფუძველს აძლევს (WEF, 2018; RFIR, 2016)

ცხრილი 1. გვიჩვენებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიხედვით, ყველაზე მოთხოვნად სამ უნარ-ჩვევას 2018-2025 წლებისთვის. აღსანიშნავია, რომ მათ უპირატესობების მიხედვით მხოლოდ ადგილები აქვთ გადანაცვლებული და პირველ ადგილს ყოველთვის ინარჩუნებს ანალიტიკური აზროვნება და ინოვაცია.

საქართველოში უმაღლესი განათლება სამი საფეხურისგან შედგება: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს.

ცხრილი 1. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის მიხედვით შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი 3 უნარ-ჩვევა 2018-2025 წლებში

მოთხოვნადი 2018 წელს	მოთხოვნადი 2022 წლისთვის	მოთხოვნადი 2025წლისთვის
ანალიტიკური აზროვნება და ინოვაცია	ანალიტიკური აზროვნება და ინოვაცია	ანალიტიკური აზროვნება და ინოვაცია
კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტა	აქტიური სწავლება და სწავლების სტრატეგიები	აქტიური სწავლება და სწავლების სტრატეგიები
კრიტიკული აზროვნება და ანალიზი	კრეატიულობა, ორიგინალურობა და ინიციატივიანობა	კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა

წყარო: WEF FJR 2018, 12; WEF FJR 2020, 36

საქართველოში მოქმედებს სამი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება:

- უნივერსიტეტი
- სასწავლო უნივერსიტეტი
- კოლეჯი

კანონის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა დაფუძნდეს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ პირად. ყველა უმაღლესი სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ, ხოლო ყველა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - არასამთავრობო სექტორის მიერ.[3]

უმაღლესი განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმები საქართველოში

საქართველოში 2004 წლიდან იწყება უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის ახალი სისტემის ფორმირება, როდესაც მიღებული იქნა კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ". აღნიშნული კანონი აწესრიგებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, მართვის, დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს, მათი დაფუძვნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს.

2005 წელს საქართველო ოფიციალურად შეუერთდა ბოლონიის პროცესს და გაჩდა უმაღლესი განათლების სისტემის რეგულირების ახალი კანონები. აღნიშნული პროცესი 1999 წლის 19 ივნისს, იტალიის ერთ-ერთ უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქ ბოლონიაში, „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის" ხელშეკრულებაზე 29 ევროპული ქვეყნის განათლების მინისტრების ხელმოწერით დაიწყო. ამჟამად ბოლონიის პროცესში ევროპის 47 ქვეყანა მონაწილეობს.

2005 წლიდან ამოქმედდა ერთიანი ეროვნული გამოცდებით სტუდენტთა ჩარიცხვის წესი, რის მიხედვითაც ხდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მხოლოდ იმ აბიტურიენტების მიღება, რომელთაც წარმატებით ჩააბარეს შესაბამისი გამოცდები.

2006 წლიდან ფუნქციონირებს ,,საჯარო სამართლის იურდიული პირი - საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური", რომელის რეორგანიზაციაც განხორციელდა 2010 წელს და შეიქმნა სსიპ - „განათლების ხარისხის განვითარეის ეროვნული ცენტრი". ამავე წელს ქვეყანაში მიღებულ იქნა კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, რომლითაც გამყარდა განათლების ხარისხის განვითარების სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ, განისაზღვრა უმაღლესი განათლების ხარისხის ხელშეწყობის შიდა და გარე მექანიზმები. გარე მექანიზმად განისაზღვრა ავტორიზაცია და აკრედიტაცია, ხოლო შიდა

[3] საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS). საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სოციალური მეცნიერების სფეროში კვლევის ხელშეწყობის საშუალებების ანალიზი. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://grass.org.ge/wpcontent/uploads/2014/09/Policy_Paper_research_in_social_sciences_GEO.pdf

მექანიზმი წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების კომპენტენციის ფარგლებს.

2013 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიენიჭა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA)[1] აფილირებული ორგანიზაციის სტატუსი, რაც შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან ნაბიჯად ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

2015 წელს შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გადაწყვეტილებების გასაჩივრების დამატებითი მექანიზმი - სააპელაციო საბჭოს ინსტიტუტი, რამაც მეტი გამჭვირვალობა შესძინა პროცესს.

2017 წლისთვის შესაბამისობაში მოვიდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები და პროცედურები უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან.[2]

აღვნიშნავთ, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში რეფორმები ხარისხის ამაღლების მიზნით გრძელდება.

უმაღლესი განათლება სტატისტიკურ მაჩვენებლებში საქართველოში

საქართველოში მოქმედებს 64 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთაგან 19 სახელმწიფოა, ხოლო 45 კერძო. 2020-2021 სასწავლო წელს წინა წელთან შედარებით, უმაღლესი დაწესებულებების რაოდენობა 2-ით გაიზარდა. მათი უმრავლესობა (60.9%) თბილისში ფუნქციონირებს.

ცხრილი 2 გვიჩვენებს სტუდენტების რაოდენობას საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2016/2017-2020/2021 სასწავლო წლებში. 2020/2021 სასწავლო წლისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობამ 157.3 ათასი შეადგინა, რაც წინა სასწავლო წელთან შედარებით 5.7%-ით მეტია. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს სტუდენტთა საერთო რიცხოვნობის 63.9%, ხოლო კერძოში - 36.1%, რაც მიუთითებს სახელმწიფო უნივერსიტეტების კონკურენციულ უპირატესობაზე.

აღსანიშნავია, რომ 2009 და 2018 წელს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ ცვლილებები შევიდა, რის საფუძველზეც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლობისთვის, მათ შორის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრების მოსახლეობისთვის, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის გამარტივებული მექანიზმი ე.წ „ქვოტირების სისტემა“ და „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ამოქმედდა. ცხრილის 2 მონაცემებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული კატეგორიის სტუდენტების ყველაზე მეტი რაოდენობა 2019-2020 წლებში ფიქსირდება 214 სტუდენტი სხვა წლებისგან განსხვავებით, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამომავლოდ მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

---

1 https://www.enqa.eu/ - განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია

2 http://www.mes.gov.ge/ - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ცხრილი 2.

სასწავლო საფეხური	2016/2017	2017/2018	2018/2019	2019/2020	2020/2021
	სასწავლო წელი				
ბაკალავრები	109 128	108 722	111 058	111 867	117 883
მაგისტრანტები	26 410	30 284	33 940	33 925	35 568
დოქტორანტები	4 076	3 977	3 512	3 976	4 010
სულ	140.3	143.8	147.7	148.8	157.3
მ.შ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან	91	126	145	201	214

წყარო: საქსტატი

სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2016/2017-2020/2021 სასწავლო წლებში საფეხურების მიხედვით საქართველოში

ცხრილი 3.

სტუდენტების მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესბულებებში 2016-1021 სასწავლო წლებში საქართველოში (ათასი კაცი)

	სასწავლო წლები				
	2016-2017	2017-2018	2018-2019	2019-2020	2020-2021
სახელმწიფო	25.9	27.6	27.8	27.9	29.3
კერძო	15.8	16.8	13.8	15.4	17.4

წყარო: საქსტატი

2020 წელს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაამთავრა 23.5 ათასმა სტუდენტმა, რაც წინა წელთან შედარებით 5.1%-ით ნაკლებია. აღნიშნული, ჩვენი აზრით, განპირობებულია Covid-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ფონზე სწავლის საფასურის გადაუხდელობით ან პანდემიის შიშით. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა 2.2-ჯერ აღემატება კერძო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების რიცხოვნობას. (იხ.ცხრილი4)

ცხრილი 4.

კურსდამთავრებულთა რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2016-2020 სასწავლო წლებში საქართველოში

	სასწავლო წელი				
	2016	2017	2018	2019	2020
სახელმწიფო	16.7	18.7	17.8	17.2	16.2
კერძო	6.6	7.5	6.4	7.6	7.3

წყარო: საქსტატი

2020 წლის მონაცემებით ყველაზე პოპულარული პროგრამები ბაკალავრის საფეხურზე არის სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი, ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება და მეცნიერება. მაგისტრატურის საფეხურზე უპირატესობას ანიჭებენ სოციალური მეცნიერებებს, ბიზნესს, სამართალს, ჯანდაცვასა და სოციალური უზრუნველყოფას. დოქტორანტების შემადგენლობა ასე ნაწილდება - სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი (45.9%), ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება (12.9%) და მეცნიერება (12.4).

საქსტატის მონაცემებით შემცირებულია იმ სტუდენტების რაოდენობა, ვინც საზღვარგარეთ სასწავლებლად გაიგზავნა, თუმცა გაიზარდა უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა საქართველოს უნივერსიტეტებში. 2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საზღვარგარეთ სასწავლებლად გაიგზავნა 289 სტუდენტი, რაც 367 სტუდენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნული შემცირება გამოწვეულია პანდემიის შედეგად დაწესებული საერთაშორისო ფრენების შეზღუდვით.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულია 9.8 ათასი პროფესორ-მასწავლებელი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.0%-ით ნაკლებია. პროფესორ-მასწავლებელთა 55.3% არის ქალი, ხოლო 44.7% - კაცი.

Covid-19-ის გავლენა უმაღლესი განათლების სისტემაზე

ცნობილია, რომ მიმდინარე პერიოდში მთელი მსოფლიო უდიდესი პრობლემის წინაშე დგას კორონავირუსის პანდემიის სახით. მსოფლიოს ქვეყნებში ცხოვრების ჩვეული რითმი შეჩერდა, შეზღუდვები გავრცელდა ყველა მიმართულებით მათ შორის განათლების სისტემაშიც.

ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, თუ რა გავლენა იქონია Covid-19-მა უმაღლესი განათლების სისტემაზე. უნივერსიტეტებში შეწყდა სააუდიტორიო მეცადინეობები, რამაც აიძულა მათ შორის ჩვენი ქვეყანაც გადასულიყო დისტანციურ სწავლებაზე, მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკულ/ლაბორატორიულ/კლინიკური კომპენენტების გარდა. დაინერგა ონლაინ-პლატფორმები სინქრონული და ასინქრონული მუშაობისთვის. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ონლაინ სწავლების შესაბამისად მოდიფიცირდა სასწავლო გეგმები, გადაიხედა სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემები. უნივერსიტეტებმა შეიმუშავეს შესაბამისი გზამკვლევები და ვიდეოინსტრუქციები სტუდენტებისა და ლექტორებისთვის. აგრეთვე, ონლაინ ლექციი/სემინარების ჩანაწერები იტვირთება შესაბამის პლატფორმაზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ რეკომენდაცია, იხელმძღვანელონ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნივერსიტეტებისთვის შეიმუშავა ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის დამხმარე დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც მონიტორინგის განხორციელება შეგვიძლია განათლების ხარისხზე.

სახელმწიფომ სტუდენტების ხელშეწყობისთვის, გაატარა რიგი რეფორმები:

- უნივერსიტეტებს მიეცათ რეკომენდაცია სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის საშეღავათო პოლიტიკასთან დაკავშირებით - სწავლის გადასახადი გადავადდა ან შეთავაზებულ იქნა გადახდის მოქნილი ინდივიდუალური გრაფიკი
- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 150 000 და ნაკლები ქულის მქონე სოციალურად დაუცველ 15 ათასამდე სტუდენტს სწავლის საფასური დაუფინანსდა
- სამინისტროს სოციალური პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მოწყვლადმა ჯგუფმა 13 კატეგორიის მიხედვით სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოიპოვა

- პანდემიის მიუხედავად, 130-ზე მეტი სტიპენდია გაიცა საზღვარგარეთ სწავლის მსურველი ახალგაზრდებისთვის.

თუმცა საქსტატის 2019 წლის მონაცემებით, კომპიუტერებით უზრუნველყოფილია საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 62%. ეს სასწავლო პროსეცესის უმტკივნეულოდ გაგრძელებას ნამდვილად ხელს უშლის. ამ პროცესმა თვალსაჩინო გახადა სოციალურ ფენებს შორის დიფერენცირება, რაც განათლების საზოგადოებისთვის უთანასწოროდ მიწოდების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

ქვეყანაში არსებული სოცილურ-ეკონომიკური საერთო მდგომარეობა და, აქედან გამომდინარე, მოქალაქეების, მოსახლეობის, ოჯახების საარსებო შემოსავლები არ იძლევა საშუალებას საკმარისი რესურსი გამოინახოს თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიების შეძენასა და მათ განახლებაზე. მწირი რესურსული უზრუნველყოფა, სამუშაო ადგილების ნაკლებობა, დასაქმების პრობლემები, პანდემიის გამო შექმნილი მძიმე ფსიქოლოგიური ფონი, ერთობლიობაში ქმნიან აქტიურობის არამოტივირებულ განწყობას, რაც კორელაციურ დამოკიდებულებაშია განათლების მიღებასთან, აგრეთვე ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფასთანაც.

საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემაში ონლაინსწავლების მიმოხილვა, კვლევის შედეგები

შექმნილ ვითარებაში ტრადიციული, საუნივერსიტეტო-სააუდიტორიო ფორმატი დისტანციური სწავლების პლატფორმამ Zoom-მა დროულად ჩაანაცვლა.შეფასების სისტემა მთლიანად სწავლების დისტანციურ ფორმატზე გადაეწყო. ამასთან, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს მიეცა სრული აკადემიური თავისუფლება.

ზეპირ და სემინარულ გამოკითხვასთან ერთად, უპირატესობა მიენიჭა სწავლების პროცესში პრაქტიკული ამოცანების, სიტუაციური შემთხვევების, ტესტური და თემატური კითხვების ჩართვას, დისკუსიას, დებატებს, პრეზენტაციას და ა.შ.

უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე გამოწვევების დასადგენად ჩატარდა კვლევა, რომელშიც გამოყენებული იქნა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, Google Survey პლატფორმის საშუალებით. კვლევის პერიოდად განისაზღვრა მიმდინარე წლის 5-16 მაისი.

კვლევის მიზანს წარმოადგენს უმაღლესი განათლების სისტემის ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების დადგენა კოვიდ პანდემიის პირობებში.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 307-მა რესპონდენტმა. იგი განხორციელდა ასაკობრივი ზღვარის გათვალისწინებით და გამოკითხულ რესპონდენტთა საერთო რაოდენობიდან უმრავლესობა 58% 18-23 წლის იყო. (იხ.დიაგრამა 1). დიაგრამა 2 ასახავს გამოკითხული რესპონდენტების სქესს - 91.2% ქალი, ხოლო 8.8% მამაკაცი იყო.

დიაგრამა 1. გამიკითხულ რესპონდენტთა ასაკი



დიაგრამა 2. გამოკითხულ რესპონდენთა სქესი



დიაგრამა 3. გამოკითხულ რესპოდენტთა განათლების დონე



დიაგრამა 3 გვიჩვენებს გამოკითხულ რესპონდენტთა განათლების დონეს.

გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი სწავლობს უნივერსიტეტ-ში (66.1%), სკოლაში - 13.7%, პროფესიულ სასწავლებელში - 1%, ხოლო საერთოდ არ სწავლობს 16%.

დიაგრამა 4-ის ანალიზის საუძველზე იკვეთება 3 მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთა წინაშეც დგას საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა, ესენია:

- ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები(24.1%)
- მასწავლებლების/ლექტორების დაბალი კვალიფიკაცია ონლაინ სწავლების დროს (23.7%)
- თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა/არარსებობა (16.9%)

დიაგრამა 5 თვალნათლივ აჩვენებს, რომ რესპონდენტა 55.4% არ ემხრობა დის-ტანციურ სწავლებას, ხოლო 28.7% პირიქით, მომხრეა. შესაბამისად გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი 64.8% მიიჩნევს, რომ მისი სწავლის მოტივაცია განსხვავდება პირის-პირ სწავლებისა და დინსტანციური სწავლების შემთხვევაში, უპირატესად ისინი თვლიან რომ მათი მოტივაცია შემცირებულია. (იხ. დიაგრამა 6)

დიაგრამა 4. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ძირითადი გამოწვევები



დიაგრამა 5. გამოკითხულ რესპონდენტთა დინსტანციური განწყობა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით



დიაგრამა 5 თვალნათლივ აჩვენებს, რომ რესპონდენტა 55.4% არ ემხრობა დისტანციურ სწავლებას, ხოლო 28.7% პირიქით, მომხრეა. შესაბამისად გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი 64.8% მიიჩნევს, რომ მისი სწავლის მოტივაცია განსხვავდება პირისპირ სწავლებისა და დისტანციური სწავლების შემთხვევაში, უპირატესად ისინი თვლიან რომ მათი მოტივაცია შემცირებულია. (იხ. დიაგრამა 6)



დიაგრამა 6. გამოკითხულ რესპონდენტთა პასუხების განაწილება პირისპირ და დინსტანციური სწავლების შესახებ

კვლევის ფარგლებში რესპოდენტებს საშუალება ჰქონდათ 10 ბალიანი სისტემით შეეფასებინათ დინსტანციური სწავლების ფარგლებში დაგროვილი გამოცდილება. აღნიშვნებით, 0 - ძალიან ცუდი, 10 - ძალიან კარგი. გამოკითხულთა 50%-ზე მეტი მას აფასებს 7-ზე მეტი ქულით, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ზოგადი შეფასება, ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით, დადებითია.

დიაგრამა 7. რესპონდენტთა შეფასებები ონლაინ სწავლების გამოცდილების შესახებ



დიაგრამა 8 ასახავს რესპონდენტთა მოლოდინებს, იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვლება უმაღლესი განათლების სისტემის მდგომარეობა მომდევნო 10 წლის შემ-დეგ თუ გაგრძელდება დინსტანციური სწავლება.რესპონდენტთა 66.8% თვლის, რომ სწავლის დონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაუარესდება, 15.4%-ის აზრით იგი არ შეიცვლება, ხოლო 8.8% თვლის, რომ სწავლის ხარისხი გაუმჯობესდება.

დიაგრამა 8. რესპოდენტთა მოლოდინი, მომდევნო 10 წლის განმავლობაში, უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში დინსტანციური ფორმით სწავლების გაგრძელების პირობებში



კვლევის ფარგლებში ერთ-ერთ კითხვას წარმოადგენდა რესპოდენტთა მოსაზ-რებით დინსტანციური წავლების დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა. აღნიშნული კითხვა ღია ტიპის იყო და შესაბამისად ძირითადად გამოიკვეთა, რომ დინსტანციური სწავლების *<u>დადებითი მხარეებია:</u>*

- პანდემიის გავრცელების პრევენცია
- მგზავრობის, ბინის ქირისა და სხვა სახის ფინანსური და დროითი ხარჯების დაზოგვა
- სამსახურის სასწავლო ცხრილთან შეთავსების მეტი შესაძლებლობა
- მეტი თავისუფალი დრო სხვა აქტივობებში ჩასართავად
- აქამდე უცნობი კომპიუტერული პროგრამების გაცნობა და ათვისება

ხოლო *<u>უარყოფითი მხარეებია:</u>*

- გართულებული პირისპირ კომუნიკაცია ლექტორსა და სტუდენტს შორის
- სწავლის მოტივაციის შემცირება
- სოციალიზაციისა და კომუნიკაციის ხარისხის კლება
- სწავლების ხარისხის შემცირება
- შეზღუდვებიდან გამომდინარე ფსოქოლოგიური წნეხი
- ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე ნაკლები ხელმისაწვდომობა
- ბეჯითი და არაბეჯითი სტუდენტის გარჩევის სირთულე.

დასკვნა და რეკომენდაციები

განათლება სწორედ ის მამოძრავებელი მოტივია, რომელიც ადამიანს უბიძგებს იცხოვროს უკეთესად, უფრო ეფექტიანად გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსები

და მიიღოს უფრო გონივრული გადაწყვეტილებები. ის სტიმულია, შექმნას რაიმე ინოვაციური და კრეატიული, გაამარტივოს ცხოვრება და მოიტანოს სარგებელი. განათლება უპირველეს ყოვლისა აამაღლებს ადამიანის მწარმოებლურობასა და კვალიფიკაციას, რასაც საბოლოოდ ხელფასის დონის ზრდამდე მივყავართ. განათლებულ ინდივიდს წარმატების მეტი პოტენციალი აქვს.

კორონავირუსის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია უმაღლესი განათლების სისტემაზე, რასაც ადასტურებს ჩატარებული კვლევაც. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესმა თვალსაჩინო გახადა სოციალურ ფენებს შორის დიფერენცირება, რაც განათლების საზოგადოებისთვის უთანასწოროდ მიწოდების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა სამი ძირითადი გამოწვევა, რომელსაც აწყდება საქართველოს უმაღალესი განათლების სისტემა, ესენია: ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები(24.1%); მასწავლებლების/ლექტორების დაბალი კვალიფიკაცია დინსტანციურ სწავლებაში (23.7%) და თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა/არარსებობა (16.9%).

მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გაკეთებული პროგნოზები, უახლოეს 5-10 წელიწადში მსოფლიო ეკონომიკაში მკვეთრი ცვლილებების პერიოდი დადგება, რასაც უწოდებენ მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას და აფასებენ ორგვარად. ერთი მხრივ, საუბრობენ მოსალოდნელ საფრთხეებზე (მრავალი სამუშაო ადგილის გაქრობა) და მეორე მხრივ, მოსალოდნელ ახალ შესაძლებლობებზე (მრავალი ახალი პროფესიის გაჩენა). ამრიგად, ქვეყანაში სიტუაცია საჭიროებს მნიშვნელოვან და სწრაფ რეფორმებს, რაც ხელს შეუწყობს როგორც განათლების დარგში დასაქმებული ადამიანების მოტივაციის ზრდას, ასევე ახალი პერსპექტიული კადრების მოზიდვას და დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება რამდენიმე მიმართულებით ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციები, კერძოდ:

- აუცილებელია შემუშავდეს პროგრამები და ტრენინგები, რომლებიც დაეხმარება პედაგოგებსა და სტუდენტებს აითვისონ და გაიღრმავონ ცოდნა კომპიუტერულ პროგრამებში;
- გადამზადდეს პროფესორ-მასწავლებლები სწავლების უახლესი მეთოდების დასანერგად, რათა სტუდენტებს გამოუმუშავდეთ შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ის უნარ-ჩვევები, რომლებიც განსაზღვრულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ;
- ინტერნეტისა და სათანადო ტექნიკური საშუალებების ყველასთვის უზრუნველყოფისთვის ხელშემწყობი მექანიზმების განხორცილება;
- სტუდენტთა პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებისთვის ხელშეწყობა;
- სასწავლო დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს დისტანციური სწავლების ეფექტიანობის ამაღლებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაიაშვილი ბ. სტატია - „კორონავირუსის გავლენა განათლების სექტორზე“ ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“ თბ., 2021. (ბოლო ნახვა 16 მაისი, 2021) http://geoeconomics.ge/?p=12984
2. ბრეგვაძე თ. ნაშრომი - „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში“. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი თბ. 2013. (ბოლო ნახვა 6 მაისი, 2021) https://www.tsu.ge/data/file_-db/xarisxis_martvis_dep/ganatlebis-politika-5.pdf
3. გაგნიძე ი. სტატია - „ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია - უმაღლესი განათლების უმნიშვნელოვანესი გამოწვევა საქართველოში“. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ ნომერი

3 თბ., 2019. (ბოლო ნახვა 18 მაისი, 2021) http://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge&adgi=843&title=%E1%83%9B

4. გოცაძე მ. სამაგისტრო ნაშრომი - „უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზები“ თბ.,2020. გვ.10-19. (ბოლო ნახვა 10 მაისი, 2021) https://openscience.ge/bitstream/1/2055/1/Mari%20Gotsadze%20Samagistro.pdf
5. გურგენაშვილი ი. სამაგიდო კვლევა - „საქართველოს განათლების სისტემა“ გვ.29-35. GEORGIA'S REFORMS ASSOCIATES თბ., 2018. (9 მაისი 2021) https://grass.org.ge/uploads/other/2019-02-08/288.pdf
6. კიკუტაძე ვ. სტატია - „უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გამოწვევები საქართველოში“. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ თბ., 2019 ნომერი 1. (ბოლო ნახვა 18 მაისი,2021) http://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge&adgi=776&title=%E1%83%A3%E1%83%9B
7. მაჩაბელი გ. ნაშრომი - ,,განათლების სახელმწიფო პოლიტიკა და რეფორმების სტრატეგიული დაგეგმვა“ განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბ., 2019 (ბოლო ნახვა 11 მაისი, 2021)http://eppm.org.ge/wp-content/uploads/2019/03/Policy_brief_strategic_planning.pdf
8. მჭედლიშვილი ქ. სამაგისტრო ნაშრომი - „უმაღლესი განათლების მიღების მოტივები საქართველოში“ თბ., 2018. გვ.11-14. (ბოლო ნახვა 10 მაისი, 2021) https://openscience.ge/bitstream/1/1495/1/MA%20Thesis.Mchedlishvili%20%20%20sociol.pdf
9. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830
10. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. - https://www.mes.gov.ge/higher_edu.php?id=2&lang=geo (ბოლო ნახვა 17 მაისი, 2021)
11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/ka (ბოლო ნახვა 18 მაქისი, 2021)
12. ტაბატაძე ლ. სადისერტაციო ნაშრომი - საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემები და გადამწყვეტი გზები“ თბ., 2016. გვ 5-10. (ბოლო ნახვა 7 მაისი, 2021) http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/175810/1/Disertacia.pdf
13. პაპასქუა ი., ჯალაღონია დ. სტატია-„ პანდემიის პირობებში უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის პერსპექტივა“ გვ43-52. ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა №2 ივლისი-დეკემბერი, თბ., 2020. (ბოლო ნახვა16 მაისი, 2021) file:///C:/Users/EmN.Elektronika/Downloads/698-Article%20Text-1323-1-10-20201226.pdf
14. „უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები 2020/2021წწ“. - (ბოლო ნახვა 18 მაისი, 2021) https://bit.ly/3x0DFWT
15. ჩიბჩიური ნ. სტატია - „2019-2020 წლებში გასამმაგდა ოკუპირებული რეგიონებიდან სტუდენტების რაოდენობა“ ფაქტ-მეტრი (www.factcheck.ge) „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ინოვაციური მედია, თბ.,2021 (ბოლო ნახვა14 მაისი, 2021) https://factcheck.ge/ka/story/39359-2019-2020
16. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2020, Forecasts for Labour Market Evolution in 2020-2025 (ბოლო ნახვა 18 მაისი, 2021) http://www3.weforum.org/docs/WEF_Future_of_Jobs_2020.pdf
17. The Future of Jobs Report 2018, Centre for the New Economy and Society. World Economic Forum. Committed to Improving the State of the World. ISBN 978-1-944835-18-7. http://www3.weforum.org/docs/WEF_Future_of_Jobs_2018.pdf (ბოლო ნახვა 18 მაისი, 2021)
18. The Future of Jobs: Employment, Skills and Workforce Strategy for the Fourth Industrial Revolution, World Economic Forum, 2016 http://www3.weforum.org/docs/WEF_Future_of_Jobs.pdf} (ბოლო ნახვა 18 მაისი, 2021)

გამოცემაზე მუშაობდნენ

ნინო ებრალიძე და ლელა წიკლაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა

2021

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house